პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრობ) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დ ღ ი უ რ ი

— საერთაშორისო დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ არნჰეიმში (ჰოლანდია).
— გერმანიის პრესა კელოგის წინადადების შესახებ.
— ბელგიის იარაღის სახ. ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
— მუშათა დემონსტრაციები ვარშავაში.
— ხელმოწერილია ტანჟერის ხელშეკრულება.
— მემარცხენე პროფკავშირების დევნა ლატვიაში.

შაბათი, 28 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 173 (2216)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა **აგვისტოსათვის**

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

# ამერიკა-იაპონიის ბრძოლა ჩინეთისათვის

იაპონიის იმპერიალიზმი სულ უფრო აჩენს თავისმტაცებლურ სახეს ჩინეთში. ის გადაჭრით გამოდის ჩინეთის გაერთიანების, ნანკინისადმი მუკდენის დაქვემდებარების წინააღმდეგ; ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების პეკინელ ელჩის აზრით, „იაპონია მანჯურიაში მოქმედებს ისე, თითქოს ის მისი საკუთარი ტერიტორია იყოს". ამავე დროს იოშიზავა (იაპონიის ელჩი ჩინეთში) პირდაპირ აცხადებს, რომ ჩინეთთან „თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკება უაზრობაა".

ტოკიოს მთავრობა ცდილობდა დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მიეღწია ერთიანი ფრონტისათვის ჩინეთის დამონების საკითხში, ისე რომ ჩინეთში უზრუნველეყო იაპონიის ჰეგემონია, მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ის სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ამერიკის იმპერიალიზმის მხრით.

ამერიკა- იაპონიის ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობის არსებობა შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ჩინეთში, ცნობილია. იაპონიას მძლავრი ეკონომიური პოზიციები უკავია ამ ქვეყანაში და იქ ის პოლიტიკურადაც გაბატონებულია. ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ამჟამად ყველგან შეტევას აწარმოებს, განსაკუთრებით დაინტერესებულია ჩინეთის თავის გავლენის ქვეშ მოქცევაში; მისი ამოცანაა— იქიდან თავის კონკურენტის, იაპონიის გაძევება.

ვაშინგტონის მთავრობა თავიდანვე თითქო ერთგვარი თანაგრძნობით ეკიდება ნაციონალურ- განმანათავისუფლებელ მოძრაობას ჩინეთში, რომ ეს მოძრაობა გამოიყენოს „მშვიდობიანი გზით" თავისი ბატონობის განსამტკიცებლად ამ ქვეყანაში. ამას სხვათა შორის, ადასტურებს კელოგის უკანასკნელი ნოტა ნანკინის მთავრობისადმი.

ამერიკის მთავრობა წინადადებას აძლევს ნანკინს დაუყოვნებლივ შეუდგეს სეპარატისტულ (ცალკე) მოლაპარაკებას სატარიფო ხელშეკრულების გადასასინჯავად და გამოსთქვამს თანაგრძნობას ჩინეთის ხალხის მისწრაფებისადმი „იცხოვროს სალი ნაციონალური ცხოვრებით და მიაღწიოს სუვერენიტეტს, რომელიც შეძლების დაგვარად არ იქნება შეზღუდული განსაკუთრებული ხასიათის ვალდებულებით". ნოტაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ამერიკის მთავრობას „განზრახვა არა აქვს ჩაერიოს ჩინეთის შინაურ საქმეებში" და გამოთქმულია რწმენა, რომ „სამოქალაქო ომის ქაოსიდან ჩამოყალიბდება ახალი გაერთიანებული ჩინეთი".

ხაზგასასმელია, რომ ვაშინგტონი ასეთ ნაბიჯს სდგამს სწორედ მაშინ, როცა იაპონია- ჩინეთის ურთიერთობა უაღრესად გამწვავებულია. ცხადია, რომ ესაა ამერიკა- იაპონიის ინტერესთა შეურიგებლობის და მათი ბრძოლის გამოხატულება. როცა ამერიკა ასეთ მომენტში ნანკინის „მფარველად" გამოდის, ის ამით ლახვარს სცემს იაპონიის იმპერიალიზმს ჩინეთში და იქ თავის პოზიციებს ამაგრებს.

რა თქმა უნდა, ამერიკელი იმპერიალისტები ნაკლებად ფიქრობენ ჩინეთის ნამდვილ განთავისუფლებაზე. და თუ ისინი ებრძვიან მის გაერთიანებას, ეს იმიტომ, რომ გაერთიანებული ჩინეთი, რომელშიაც ადგილი აღარ ექნება დაუსრულებელ სამოქალაქო ომებს, ფართე და ხელსაყრელი სარბიელი იქნება ამერიკის კაპიტალის საქმიანობისათვის, კაპიტალის, რომელსაც მეტოქეობას ვერ გაუწევს იაპონიის კაპიტალი, როგორც იმიტომ, რომ უკანასკნელი მასზე უფრო სუსტია, აგრეთვე იმიტომ, რომ ჩინეთის ხალხი ამხედრებულია იაპონიის წინააღმდეგ და მასში ძლიერდება ანტი-იაპონური ბოიკოტისტური მოძრაობა.

ვიმეორებთ, ამერიკას სრულებით არა აქვს განზრახული ჩინეთთან ურთიერთობა დაამყაროს თანასწორობის საფუძველზე, ის ხელს არ იღებს თავის პრივილეგიებზე. მხოლოდ მცირეოდენი დათმობების და ჩინეთის ხალხის მიმართ თვალთმაქცური „მეგობრობის" დემაგოგიით ის ცდილობს განახორციელოს თავისი იმპერიალისტური მიზნები.

იაპონიის მთავრობა, ამერიკის ასეთი გამოსვლის შემდეგ, უეჭველად იძულებული გახდება შეზღუდოს თავისი ყაჩაღური გეგმები და მადა ჩინეთის მიმართ. ეს მით უმეტეს, რომ ინგლისი, ამერიკასთან დამოკიდებულების გამწვავების შიშით, ვერ გაბედავს აშკარად გაუმაგროს ზურგი თავის „მოკავშირე" იაპონიას.

ამგვარად ჩვენ აქ საქმე გვაქვს ამერიკა - იაპონიის შეჯახებასთან, რომელსაც შეიძლება მოყვეს პირველის პოზიციების გაძლიერება ჩინეთში. თვით ჩინეთის განთავისუფლების საქმე ამით არსებითად არაფერს იგებს. ჩინეთი ჯერ ჯერობით ისევ რჩება იმპერიალიზმის ტყვეობაში, როგორადაც არ უნდა შეეცადოს ნანკინი ვაშინგტონის მთავრობის წინადადების თავის გამარჯვებად გასაღებას.

ნანკინი, რომელიც არ ეყრდნობა ფართე მასსებს და მათ დევნას აწარმოებს, უძლურია გადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს უცხოელ მოძალადეებთან, ის რა თქმა უნდა, არჩევს იმპერიალისტებთან ჩინეთისათვის უმნიშვნელო კომპრომისებით გაათავოს საქმე. აქედან ჩინეთის მუშურ - გლეხური მასსები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ჩინეთის ნამდვილი განთავისუფლება მოსახერხებელია მხოლოდ რევოლიუციონური ბრძოლით როგორც ნანკინელ მილიტარისტების, ისე იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ამავე დროს ჩინეთის განთავისუფლება—გულისხმობს ამ ქვეყანასა და საბჭოთა კავშირის შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ყოველთვის მეგობრად იცავდა ჩინეთის (ისე როგორც დანარჩენ სხვა ქვეყნების) დამოუკიდებლობას. ნანკინმა კი, რომელმაც ჩვენთან კავშირი გასწყვიტა, დაამტკიცა, რომ ჩინეთის განმანთავისუფლებლის როლი მისთვის სრულებით შეუფერებელია.

# პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გამწვავება

როდესაც, 1920 წელს, 8 ოქტომბერს, „გენერალ ჟელიგოვსკის ლიტველ-ბელორუსთა დივიზიამ" კავშირი დაჰკარგა „პოლონეთის არმიის სარდლობასთან" და როდესაც მან, კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ „აჯანყებულმა", ხელში ჩაიგდო ვილნო და ვილნოს ოლქი, მაშინ პოლონეთის სახელმწიფოს იმდროინდელმა მეთაურმა პილსუდსკიმ „მარჯვენა უკურთხა" გენერალ ჟელიგოვსკის „მახვილის სატრიალებლად". პოლონეთის ძალმომრეობით მომზადებულ ნიადაგზე წარმოიშვა პოლონეთ-ლიტვის ის კონფლიქტი, რომლის ალი დღევანდლამდე საბედისწეროდ სწვდება აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ მდგომარეობას.

ერთა ლიგის დეკემბრის სესიის შემდეგ, რომელზედაც ლიტვამ განაცხადა, რომ პოლონეთთან საომარ განწყობილებაში არა ვართ,— კენიგსბერგში 1928 წლის აპრილის დამდეგს გაიმართა პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია რამაც საფუძველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის უშუალო მოლაპარაკებას. როგორც ვიცით კონფერენციას შედეგად მოჰყვა პოლონეთ-ლიტვის სამი შერეული კომისიის შექმნა: უშიშროების, ეკონომიურ - კომუნიკაციური და სანაპირო მოძრაობის კომისიები. კომისიებს უნდა განეხილათ ის საკითხები, რომლებიც განსაზღვრავდენ კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას პოლონეთსა და ლიტვას შორის.

ამჟამად ყველა კომისიის მუშაობა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ჯერ-ჯერობით ამ მუშაობის ერთად-ერთ შედეგს წარმოადგენს ორივე ქვეყნის შეთანხმების პროექტი ადგილობრივი სანაპირო მოძრაობის შესახებ. „ვილენშჩინის" საკითხი კი გადაიქცა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მოწესრიგების შემფერხებელ მიზეზად. თუმცა აგვისტოს კენიგსბერგში უნდა გაიმართოს პოლონეთ-ლიტვის მეორე კონფერენცია, მაგრამ უკვე ახლავეა ამოძრავებული პოლონეთის პროპაგანდის ყოველგვარი იარაღი, რათა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი აამხედროს ლიტვის წინააღმდეგ და დასახოს იგი შფოთის მთესველად აღმოსავლეთ ევროპაში.

პოლონეთის მთავრობის პრესა ცოფმორეულია და ვოლდემარასს ხან გერმანიის, ხან საბჭოთა კავშირის აგენტად ნათლავს. პოლონეთის წყაროებიდან ვრცელდება ყოველგვარი ისტერიულ-პროვაკაციული ცნობები. მაგალითად, კოვნოში მოვიდაო „საბჭოთა სამხედრო მისია ბუდიონის მეთაურობით" იმ მიზნით რომ „კონტაქტი დაამყაროს ლიტვის არმიასა და საბჭოთა კავშირის წითელ არმიას შორის".

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვის საწინააღმდეგო პროპაგანდას პოხიერი ნიადაგი ხვდება, რამდენადაც ლიტვის ხარჯზე ლიტვა-პოლონეთის კონფლიქტის ლიკვიდაცია ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის გეგმაში შედის. ჯერ კიდევ ერთა ლიგის საბჭოს ივნისის სესიამ, სადაც ვოლდემარასს მოასმენინეს არასასიამოვნო სიტყვები და სადაც მას პროვაკაცია დასწამეს, გამოაშკარავა ლიტვის განმარტოება ერთა ლიგაში, რომლის მიმართ რწმენა, როგორც სჩანს, გადამწყვეტ როლს თამაშობს ლიტვის მთავრობის პოლიტიკურ მოქმედებაში.

საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა, ყოველგვარი „ტაიმსები" და „მატენები" დღითი-დღე აგიტაციას ეწევიან პოლონეთის სასარგებლოდ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში ვოლდემარასის ზოგიერთი გამოსვლა აადვილებს პოლონეთის პროვოკაციულ მუშაობას ლიტვის სატროდ. ეს გარემოება ზედმეტ იარაღს აძლევს ლიტვის წინააღმდეგ და ხელს უწყობს მის იზოლიაციას საერთაშორისო სარბიელზე. პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მიმართულება დღითი-დღე უფრო რეალურ ხასიათს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთა ლიგა პოლონეთს მანდატს მისცემს ლიტვასთან გასასწორებლად.

უკანასკნელ დროს პოლონეთის პრესაში ხელახლა გაისმა მუქარა ლიტვის მიმართ. პილსუდსკის ორგანომ „გლოს პრავდი"-მ 21 ივლისს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ლიტვას „კატასტროფიული შედეგებით" ემუქრება, თუ „ვოლდემარასი ისევ კეკლუცობას ითამაშებს". ერთა ლიგის სამდივნომ გამოაქვეყნა ერთა ლიგაში წარგზავნილი პოლონეთის დელეგატი სოკალის წერილი, რომელშიაც იგი პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების უნაყოფოდ დამთავრებას ლიტვას აბრალებს. პოლონეთი მარჯვედ იყენებს ლიტვის შინაური მდგომარეობით გამოწვეულ ვოლდემარასის პოზიციას, მას საშუალება აქვს მთელ მსოფლიოს თვალი აუხვიოს და მიაფუჩეჩოს ის ფაქტი, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს საფუძვლად უდევს პოლონეთის ძალმომრეობა ლიტვის მიმართ, ჟელიგოვსკიადა, რამაც პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის კვანძი დახლართა.

ყველა ცნობა იმას ადასტურებს, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში თავს იჩენს ახალი გამწვავება, რომლის შედეგების გამოცნობა ამჟამად ძნელი არის. როგორც ვიცით, პილსუდსკის მიერ წამოყენებული „ფედერატიული გეგმის" დამატებას წარმოადგენს „ბალტიის მხრის ბლოკი", რომელმაც ბალტიის მხრის ქვეყნები უნდა გააერთიანოს პოლონეთის ჰეგემონიის ქვეშ. მიუხედავად პოლონეთის დიპლომატიის ყოველგვარი ცდისა, დღევანდლამდე ვერ ხორციელდება ეს იდეა, რომელიც პოლონეთის პოლიტიკის ტრადიციულ ინვენტარს წარმოადგენს ბალტიის მხარეში. 18 ივლისის ნომერში მთავრობის წრეებთან დაახლოებული კრაკოვული კონსერვატიული ორგანო „ჩასი" ანალიზს უკეთებს ბალტიის მხრის ბლოკის შექმნის საქმეში პოლონეთის პოლიტიკის დამარცხების მიზეზებს და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ „ბალტიის კავშირი მანამდე ვერ განხორციელდება, სანამ პოლონეთ-ლიტვის დავის ლიკვიდაცია საბოლოოდ არ მოხდება". აქედან გასაგებია ის მოუთმენლობა, რომელსაც პოლონეთი იჩენს თავის მისწრაფებაში, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის „ლიკვიდაცია" თავისებურად მოახდინოს. გასაგებია ისიც, რომ მას არა სურს ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ ლიტვას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, უფლება აქვს მოლაპარაკება აწარმოოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე.

პოლონეთის ჯარების ახლანდელი დიდი მანევრები ვილენშჩინაში და აგვისტოს 12-სათვის ვილნოში დანიშნული ყოფილი პოლონელი ლეგიონერების ყრილობა, როგორც სჩანს, ლიტვის საწინააღმდეგო ახალი გამოსვლის პრელიუდიას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამერიკული გაზეთის „ჩიკაგო ტრიბუნის" პარიზული გამოცემის კომენტარიები ჩემბერლენის პოზიციის შესახებ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში.

„ჩიკაგო ტრიბუნის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: პოლონეთმა აუწყა ჩემბერლენს, რომ იგი პასუხისმგებლობას ერთა ლიგას დააკისრებს, რამდენადაც მან პოლონეთის მთავრობას ხელი შეუშალა და საშუალება არ მისცა—ძალით მოეხდინა კონფლიქტის ლიკვიდაცია; პოლონელებმა განუცხადეს ჩემბერლენს, რომ ისინი ერთა ლიგას მოსთხოვენ რათა მან მხარი დაუჭიროს პოლონეთის ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც კი საჭირო აღმოჩნდება. თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება,—როგორაც სჩანს, მართალი უნდა იყოს,—მაშინ აღმოსავლეთ ევროპას ახალი გართულებანი მოელის.

პოლონეთ-ლიტვის საზღვარს კვლავ ჟელიგოვსკიადას აჩრდილი დასტრიალებს. 1920 წელს პოლონეთმა ძალით გადასჭრა პოლონეთ-ლიტვის დავა. ამის სავალალო შედეგები დღევანდლამდე ამძიმებს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობას. ამიტომ, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ხელახლა ძალადობით გადაჭრის ყოველგვარ ცდას გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყველამ, ვინც მშვიდობიანობის დაცვას აფასებს.

„პრავდა", 27 ივლისი.

# გამწვავდა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

## პოლონეთის პრესა ხელს უწყობს ლიტვის საწინააღმდეგო ატმოსფერის შექმნას

## ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ნოტა ნანკინის მთავრობას

## ამერიკის წინადადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ სატარიფო ხელშეკრულების გადასასინჯად

## პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

### სახელმწიფოების მიმართვა ლიტვისადმი

**ლონდონი**, 26 ივლისი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის ელჩს რიგაში წინადადება მიეცა მიმართოს ლიტვას არაოფიციალურად და მიუთითოს ერთა ლიგის საბჭოს იმ წინადადებების განხორციელების სასურველობაზე, რომლებიც პოლონეთ- ლიტვის უთანხმოებას შეეხება. ჩემბერლენმა დასძინა, რომ მის განკარგულებაში არსებულ ცნობებით, ანალოგიური წინადადებები მიეცა ან მიეცემა საფრანგეთისა და გერმანიის ელჩების მიერ. (ადს).

### არა მანევრები, არამედ „სამხედრო ვარჯიშობა"

**ვარშავა**, 26 ივლისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„როგორც იუწყებოდნენ, ვოლდემარასმა მიმართა ერთა ლიგის მდივანს იმის გამო, რომ, თითქოს პოლონეთის არმიას განზრახული აქვს მოაწყოს მანევრები ვილნოს რაიონში. სააგენტომ გაიარკვია, რომ ვილნოს რაიონში არავითარი მანევრები არ არის განზრახული. ვილნოს რაიონში გაიმართება განსაკუთრებულ ნაწილების ჩვეულებრივი სამხედრო ვარჯიშობა, რომელიც ყოველწლიურად სწარმოებს პოლონეთის სხვადასხვა რაიონებში მოსავლის აკრეფის შემდეგ". (ადს)

### ატმოსფერა მუქარითაა გაჟღენთილი

**ვარშავა**, 26 ივლისი. ამ უკანასკნელ დღეებში პოლონეთ- ლიტვის დამოკიდებულების პრობლემა კვლავ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრშია.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო აუარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს ვილენშჩინის ტერიტორიაზე გაიმართება პოლონეთის არმიის მანევრები. პოლონეთის არმიის მანევრები. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს კატეგორიულმა ტონმა ვარშავაში და განსაკუთრებით უცხოეთის ჟურნალისტების წრეებში გამოიწვია გაკვირვება, ვინაიდან პირველი ცნობები ვილნოს რაიონში მანევრების გამართვის შესახებ გამოაქვეყნა მთავრობასთან ახლო მდგომ აღმოსავლეთის სააგენტომ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პოლონეთის მთავრობამ გადასდო მანევრები მას შემდეგ, რაც უცხოეთიდან მოვიდა ცნობები, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ამ მანევრებმა შიში გამოიწვიეს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ **პოლონეთის პრესა**, უმთავრესად, მთავრობასთან ახლო მდგომი, **აშკარად ქმნის ატმოსფერას, რომელიც გაჟღენთილია მუქარით ლიტვისადმი.**

ამ უკანასკნელ დროს პოლონეთის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ პოლონეთ- ლიტვის საზღვარზე მომხდარ შეტაკებას. ამ შეტაკების დროს მოჰკლეს პოლონეთის ერთი ჯარისკაცი და მეორე დასჭრეს. ამასთანავე პოლონეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები, თითქოს პოლონელ ტუსაღებს ლიტვის საპყრობილეებში აწამებენ.

საყურადღებოა გოლუვკოს ჩასვლა ვილნოში. (ადს)

### სინამდვილის დამახინჯება

**კოვნო**, 26 ივლისი. იმ ცნობების გამო, რომელსაც ავრცელებს პოლონეთის დეპეშათა სააგენტო სადემარკაციო ხაზის რაიონში ინციდენტების შესახებ, ლიტვის მთავრობის სააგენტო „ელტა" აცხადებს, რომ პოლონეთის ცნობები სინამდვილის დამახინჯებაა. პოლონეთის მტკიცებას, თითქოს ლიტვის სანაპირო რაზმები სადემარკაციო ხაზს გადასცდენიან, ელტა აშკარა სიცრუეს უწოდებს.

### გერმანიის პრესის კომენტარიები

**ბერლინი**, 26 ივლისი. გერმანიის პრესა კომენტარიებს უკეთებს პოლონეთ-ლიტვის საზღვრებზე მომხდარ უკანასკნელ ამბებს და საერთოდ პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულების მთელ პრობლემას.

ცენტრის ორგანო „გერმანია" აყენებს კითხვას: აღმოჩნდება თუ არა ერთა ლიგა სექტემბერში ხელმეორედ არასასიამოვნო მდგომარეობაში და მოუხდება თუ არა მას კვლავ გამოაშკარავოს მთელი ქვეყნის წინაშე თავისი უძლურება ამ საერთაშორისო დავის გადაჭრაში.

„ფორვერტს"-ი სასტიკად აკრიტიკებს ლიტვის პოზიციას პოლონეთის მიმართ. გაზეთის სიტყვით, გერმანიას სრული საბუთი აქვს მოახდინოს გავლენა ლიტვაზე, რათა მან შესცვალოს თავისი პოზიცია. გაზეთი აღნიშნავს რომ გამწვავებული მდგომარეობა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე მეტად სასურველად ხდის ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოების შეთანხმებულ გამოსვლას.

გუგენბერგის გაზეთი „ტაგ"-ი აღნიშნავს რომ პოლონეთ-ლიტვის საკითხით დაინტერესებულია საბჭოთა კავშირიც, რომელიც გადაჭრით უნდა წინაღუდგეს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების გაგრძელებას ერთა ლიგის კომისარის თავმჯდომარეობით, ვინაიდან, რიგის ხელშეკრულების თანახმად, ყველა სადავო ტერიტორიალური საკითხი პოლონეთსა და ლიტვას შორის უნდა გადასწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებულმა მხარეებმა.

## მდგომარეობა ჩინეთში

### შანდუნის ხელისუფლება მზადაა დააკმაყოფილოს იაპონიის მოთხოვნილებები

**შანხაი**, 26 ივლისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ტოხოს ცნობით, შანდუნის პროვინციის ხელისუფლებამ იაპონიის სამხედრო სარდლობას აცნობა, რომ ის თანახმაა დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილებები, რომლებიც იაპონელებმა წამოაყენეს იაპონიის და ჩინეთის ჯარებს შორის მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით. (ადს)

### „ოინბაზური პრეტენზიები"

**პეკინი**, 26 ივლისი. ამერიკელების ორგანო „ნორტ ჩაინა სტარ" სწერს, რომ არავითარი საერთაშორისო საიურისდიქციო საარბიტრაჟო ინსტანცია არ დაუჭერს მხარს იაპონიის „ოინბაზურ პრეტენზიებს", თითქოს ჩინეთ- იაპონიის ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს კიდევ განუსაზღვრელ დროით იმიტომ, რომ ის არ ყოფილა გადასინჯული 6 თვის განმავლობაში ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან. ასეთი არგუმენტებით, სწერს გაზეთი, იაპონიას შეუძლია სამუდამოდ შეინარჩუნოს უთანასწორო ხელშეკრულება ჩინეთთან. (ადს)

### ჩან-კაი-შის საიდუმლო გამგზავრება პეკინიდან

**პეკინი**, 26 ივლისი. ჩან-კაი-ში საიდუმლოდ გაემგზავრა პეკინიდან სამხრეთისაკენ. უახლოეს დღეებში პეკინს დასტოვებენ აგრეთვე დანარჩენი სამხედრო ლიდერები (ადს).

### ცაი-გუნ-ჩის ხსოვნისათვის

**პეკინი**, 26 ივლისი. შესდგა კრება ცზინანის ინციდენტის დროს იაპონელების მიერ მოკლულ ცაი-გუნ-ჩის (საგარეო საქმეთა რწმუნებული ცზინანში) ხსოვნის აღსანიშნავად. კრებას დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი. კრება ჩატარდა იაპონიის იმპერიალიზმთან ბრძოლის და იაპონელებისადმი ბოიკოტის ლოზუნგის ქვეშ. (ადს).

### ნოტა ნანკინის მთავრობისადმი

**ვაშინგტონი**, 26 ივლისი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნანკინის მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტაში წინადადება მისცა მას დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას სეპარატიული მოლაპარაკება სატარიფო ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით. სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის ხალხის მისწრაფებას „ჯანსაღი ნაციონალური ცხოვრებისა და სუვერენიტეტისაკენ, რომელიც რამდენადაც შესაძლებელია შეზღუდული არ უნდა იქნეს განსაკუთრებული ხასიათის ვალდებულებებით.

„ჩვენ განზრახული არა გვაქვს ჩავერიოთ ჩინეთის შინაურ საქმეებში — ნათქვამია ნოტაში, — ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ ამერიკელ მოქალაქეთა ქონების დაცვას და მათი კანონიერი უფლებების უზრუნველყოფას". ნოტა გამოსთქვამს რწმენას, რომ „სამოქალაქო ომის ქაოსიდან აღმოცენდება ახალი გაერთიანებული ჩინეთი".

„ჩვენ დარწმუნებული ვართ — ნათქვამია ნოტაში — რომ პასუხისმგებელი ხელისუფლების მოწყობა ჩინეთში, რაც დაწყებულია ეხლა, კეთილდღეობას მოუტანს ჩინეთის მოსახლეობას და ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს". ნოტა არ იხსენიებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ექსტერიტორიალობის უფლებას ანიჭებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთ. ნოტა აგრეთვე არ იხსენიებს არც სხვა უთანასწორო ხელშეკრულებებს და აცხადებს, რომ ამერიკა მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს ვაშინგტონის შეთანხმების საფუძველზე. ეს შეთანხმება გულისხმობს ჩინეთის ბაჟების დაწესებას პირველი საჭიროების საქონელზე, და აგრეთვე ფუფუნების საგნებზე. (ადს)

### „საუკეთესო შემთხვევა"

**შანხაი**, 26 ივლისი. პრესის ცნობებით, შვეიცარიის ელჩმა ჩინეთში ურჩია ნანკინის მთავრობას გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე, რომელიც აგვისტოს პირველ ნახევარში გაიხსნება ბრიუსელში. შვეიცარიის ელჩმა მიუთითა, რომ მეორე ინტერნაციონალის კონგრესი ნანკინის მთავრობისათვის წარმოადგენს საუკეთესო შემთხვევას, რათა მან მიიმხროს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი და სოციალისტები მისი მოთხოვნილების მხარის დასაჭერად უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებისათვის ჩინეთში. (ადს).

### იაპონიის „რჩევა"

**ტოკიო**, 26 ივლისი. „დიპლომატიკ რევიუ"-ს აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია წერილი, ოიძიროს ფსევდონიმით. ეს წერილი, როგორც სჩანს, გამომდინარეობს მანჯურიაში მცხოვრებ იაპონელი რეზიდენტების მემარჯვენე წრეებიდან. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მანჯურიის მოსახლეობა ჩინეთთან შეერთებისაკენ მიისწრაფის და ანტი იაპონურ განწყობილებებს მარტო ის გარემოება აჩერებს, რომ მანჯურიაში იაპონიის ჯარია.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უსარგებლოა ჩან-სუე-ლიანისათვის მხარის დაჭერა. ავტორი ამტკიცებს, რომ იაპონიამ საბოლოოთ უნდა მოსპოს მუკდენის ჯგუფი, რომელმაც მოჰკლა ჩან-ძო-ლინი. მანჯურიაში უნდა შეიქმნას სამანდატო მართვა-გამგეობის ფორმა.

დასასრულ, ავტორი იმეორებს, რომ იაპონიამ უნდა შესცვალოს მდგომარეობა მანჯურიაში, ან მოემზადოს მანჯურიიდან გასვლისათვის. (ადს)

### ჩინეთის ხელისუფლება მოითხოვს ედვარდსის განდევნას

**პეკინი**, 26 ივლისი. როგორც „იშიბაო" იუწყება, ჩინეთის ხელისუფლება იხილავს საკითხს ინგლისელის ედვარდსის გადაყენების შესახებ. ედვარდსს უჭირავს საზღვაო საბაჟოების სამმართველოს უფროსის თანამდებობა. ედვარდს აბრალებენ იმას, რომ ის აფერხებს ბოქსერთა კონტრიბუციის რუსეთის ნაწილის პეკინის უნივერსიტეტისათვის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი დაინტერესებული მხარე, არც საბჭოთა კავშირი, და არც ჩინეთი ამის წინააღმდეგ არ ილაშქრებს. გაზეთი მოითხოვს ედვარდსის გადაყენებას. (ადს)

### აღმოსავლეთის სამი პროვინციის ავტონომია

**პეკინი**, 26 ივლისი. მანჯურიის პრესაში გამოქვეყნებულია ცნობები აღმოსავლეთის სამი პროვინციის ავტონომიის შემდგომი ჩამოყალიბების შესახებ. **ჩჟან-სუე-ლიანი** დაინიშნა აღმოსავლეთის სამი პროვინციის კომისრად. აღმოსავლეთის სამი პროვინციის „პარლამენტების" საბჭომ **შან-ცზინ-კაი** (აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზის დუბანი), აირჩია კომისარის თანაშემწედ. 19 ივლისს მუშაობას შეუდგა დროებითი კომიტეტი „აღმოსავლეთის სამ პროვინციაში წესრიგისა და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად". კომიტეტის თავმჯდომარეა— **ჩჟან-სუე-ლიანი**. თავმჯდომარის მოადგილე **იან-ჩინ-ხაი** (ადს).

### ინგლისის და ამერიკის კაპიტალი მანჯურიაში

**პეკინი**, 26 ივლისი. მანჯურიის იაპონური წრეები შეშინებული არიან ინგლისელების და ამერიკელების ენერგიული ეკონომიური საქმიანობით, კერძოდ პროექტებით აღმოსავლეთის სამ პროვინციაში გზატკეცილების და რკინის გზების მშენებლობის ფინანსებით უზრუნველყოფის შესახებ. იუწყებიან, რომ მუკდენში ჩავიდა ფორდის წარმომადგენელი, რომელიც მუკდენის ხელისუფლებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას საავტომობილო გზების ქსელის გაყვანის შესახებ. სამაგიეროთ ხელისუფლებამ უნდა დასდოს პირობა, რომ მანჯურიისათვის ყოველწლიურად შეიძენს ფორდის მანქანების განსაზღვრულ რაოდენობას. სამხრეთ მანჯურიის რკ. გზის ოფიციოზი „მაისიუ ნიპო" და ხარბინის იაპონური ორგანო „ხარბინ ნიცი ნიცი" იუწყებიან, რომ ციციკარის ხელისუფლებამ გადასწყვიტა გააგრძელოს ტაონან-ციციკარის რკ. გზა გეშანამდე. გზის გაყვანა ჯდება 6 მილ. დოლარი. გაზეთი იუწყება, რომ მასალებს იძლევა პეკინ-მუკდენის რკ. გზა, რომლის ზურგს იქით სდგას ინგლისის კაპიტალი. გაზეთი, რომელიც დაკავშირებულია იაპონიის საკონსულოსთან ხარბინში, შიშს გამოსთქვამს ინგლისის კაპიტალის აგრესივობის გაძლიერების გამო მანჯურიაში (ადს).

### ჩრ. ამ. შეერთებული შტატების „იჭვები"

**ტოკიო**, 26 ივლისი. ტანაკამ 25 ივლისს მოიწვია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის ელჩები და ესაუბრა მათ იაპონიის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ ჩინეთში. გაზეთების ცნობებით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატების ელჩმა გამოსთქვა ეჭვი — იაპონიის უკანასკნელი გამოსვლა მანჯურიაში ხომ არ წარმოადგენს ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევასო. (ადს)

### მუკდენი სესხს დაეძებს

**ტოკიო**, 26 ივლისი. ტოკიოში ჩამოვიდა მუკდენის მთავრობის წარმომადგენელი დაო-შან-მინი 60 მილიონი დოლარის სესხის გამოსათხოვად. „ხოცი" კომენტარიებს უკეთებს მის ჩამოსვლას და ფიქრობს, რომ მუკდენი ნიადაგს იკვლევსო. თუ დაო-შან-მინი დარწმუნდა, რომ იაპონია დახმარებას არ ფიქრობს, მაშინ მუკდენის მთავრობა სამხრეთს მიმართავსო. (ადს)

### ბანკირები წინააღმდეგნი არიან დედაქალაქის გადატანის

**პეკინი**, 26 ივლისი. პეკინის ბანკირებმა ნანკინის მთავრობას აუწყეს, რომ იმ შემთხვევაში თუ დედა-ქალაქი გადატანილი იქნება ნანკინში, ისინი ნანკინის მთავრობას არავითარ ფინანსიურ დახმარებას არ აღმოუჩენენ

# მუშათა დემონსტრაციები ვარშავაში

**ვარშავა**, 26 ივლისი. 25 ივლისს ვარშავის მუშათა უბნებში გაიმართა დემონსტრაციები ყალბი ამნისტიის წინააღმდეგ. **მუშები მოითხოვდნენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას. დემონსტრაციები მოაწყო კომპარტიამ. დემონსტრაციებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მუშათა უბნებში, სადაც მუშები დროშებით გაემართნენ სატუსაღოსაკენ.**

პოლიციელებმა ხიშტებით გაჰფანტეს დემონსტრანტები. დაჭრილია ბევრი დემონსტრანტი და ბევრი დაპატიმრებულია.

იმავე დღეს მოხდა რამდენიმე დღის წინად მაშხალების ფაბრიკაში აფეთქების დროს დაღუპულ მუშების დემონსტრატიული დაკრძალვა; დაღუპულთა კუბოები შემკული იყო გვირგვინებით, რომელთაც გაკეთებული ჰქონდა წითელი ლენტები რევოლიუციონური წარწერებით. საავადმყოფოს წინ გაიმართა მიტინგი. პოლიციამ გაჰფანტა მუშები. (ადს).

# საერთაშორისო დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ

**ბერლინი**, 26 ივლისი. ჰოლანდიის კომპარტიის თაოსნობით, 26 აგვისტოს ჰარნჰეიმში (ჰოლანდია) შესდგება საერთაშორისო დემონსტრაცია იმპერიალისტური ომისა და რეაქციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს)

# გერმანიის პრესა კელოგის წინადადების შესახებ

**ბერლინი**, 26 ივლისი. ცნობილი მემარცხენე - ბურჟუაზიული მწერალი პერზიუსი „ველტ ამ აბენდ"-ში სწერს, რომ კელოგის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება, რომელიც ჰკიცხავს ომს, მხოლოდ მაშინ ეღირსებოდა იმ ქაღალდად, რომელზედაც დაწერილია იგი, თუ ყველა სახელმწიფო ერთდროულად შეთანხმებოდენ საბჭოთა მთავრობის მიერ წარდგენილი განიარაღების პროგრამის განხორციელებაზე. სანამ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ყველა ქვეყნის მთავრობების მიერ მიღებული არ იქნება, სწერს პერზიუსი, ზედმეტია თვალთმაქცობა და ცარიელი სიტყვების რახარუხი ომის უარყოფის შესახებ.

# საგაფიცვო მოძრაობა

### გაფიცვა ბელგიის სახელმწიფო სამხედრო იარაღის ქარხანაში

**პარიზი**, 26 ივლისი. ბელგიიდან მიღებული ცნობით, სახელმწიფო სამხედრო იარაღის ქარხანაში, ლიეჟის მახლობლად, გაიფიცა— 5.000 მუშაზე მეტი. გაფიცულები მოითხოვენ ყოველ წლიურად ერთი კვირის შვებულებას ჯამაგირის შენახვით. გაფიცულები აღელვებულნი არიან სამუშაოზე შტრეიკბრეხერების მიღების გამო. გაფიცვის პირველსავე დღეს ადგილი ჰქონდა პოლიციის შეტაკებას მუშებთან, რომელნიც ცდილობდენ აგიტაციისათვის დაპატიმრებული ამხანაგის განთავისუფლებას (ადს).

### პოლონეთის მემაღაროეთა დემონსტრატიული გაფიცვა

**ვარშავა**, 26 ივლისი. პოლონეთის ქვანახშირის ყველა რაიონში მოეწყო დემონსტრატიული გაფიცვა ერთი დღით. დომბროვის რაიონში გაფიცვა განხორციელებულ იქნა სრულიად, ზემო სილეზიაში — ნაწილობრივ.

### ფრანგ მეზღვაურთა გაფიცვა

**პარიზი**, 26 ივლისი. მეზღვაურებმა გააფრთხილეს გემის პატრონები, რომ გამოაცხადებენ გაფიცვას იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება. მეზღვაურთა დამოუკიდებელთა პროფკავშირმა დიუნკირხენში გაფიცვა 26 ივლისისათვის დანიშნა.

### გაფიცვა სამხრეთ - ინდოეთის რკ. გზაზე

**ლონდონი**, 26 ივლისი. გაზეთების ცნობებით, სამხრეთ ინდოეთის რკინის გზაზე მოძრაობა მოწესრიგებულია. მატარებლები დადიან შეიარაღებული მცველებით. შტრეიკბრეხერების გამოუცდელობის გამო, რკ. გზებზე გახშირდა უბედურებანი. მადურში და პალაკარში პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულებს. დაჭრილთა რაოდენობა დიდია. გაფიცვის ხელმძღვანელთა დაპატიმრება გრძელდება (ადს)

# როგორ „ეხმარება" ბულგარეთის მთავრობა

## მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

**ბერლინი**, 26 ივლისი. მაკედონიის ფედერალისტთა ლიდერის პროტოგეროვის მკვლელობასთან დაკავშირებით, ამერიკული გაზეთების კორესპონდენტთა ჯგუფმა განიზრახა ბულგარეთში, სამხრეთ – სლავიაში და რუმინეთში მოგზაურობა ბალკანეთის მდგომარეობის შესასწავლად. „ველტ ამ აბენდ"-ის თანამშრომლებთან საუბარში ამერიკელმა ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ბულგარეთის მთავრობა ფინანსიურ დახმარებას უწევს მაკედონიის შეიარაღებულ საიდუმლო ორგანიზაციას. მთავრობა მათზე ხარჯავს იმ შემოწირულებებს, რომლებიც გაიგზავნა მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დასახმარებლად.

„ჩვენ გამოვარკვიეთ, — სთქვა ერთმა ჟურნალისტმა, — რომ მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დახმარება მეტად ცალმხრივად სწარმოებს. შემოწირულებათა განაწილება ხდება მხოლოდ ჟანდარმერიის, არმიისა და საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა შორის. მუშათა საერთაშორისო დახმარების ბერლინის კომიტეტის მიერ შეკრებილი თანხებს, ბულგარეთის მთავრობამ კონფისკაცია უყო იმ მოსაზრებით, რომ „შემოწირულებათა განაწილების დროს პოლიტიკურ მომენტებს ადგილი არ უნდა ჰქონდესო". აღნიშნული თანხებიც პირდაპირ დანიშნულებას არ ხმარდება. (ადს)

# ობრეგონის მოკვლის შემდეგ

### სტოვებენ თანამდებობებს

**ლონდონი**, 26 ივლისი. მექსიკიდან იუწყებიან, რომ ყველა თანამდებობის პირმა, რომელიც მექსიკის მუშათა პარტიას ეკუთვნის, განაცხადა გადადგომის შესახებ. კაიესი, იმ წერილის საპასუხოთ, რომელშიაც არმიის ხელმძღვანელები მას ნდობას უცხადებენ თავიანთ ლოიალობაში, კვლავ იმეორებს ბრალდებას, რომ ობრეგონი კლერიკალებმა მოჰკლეს, და ამით სცდილობს დაიცვას მორონესი, მიუხედავად იმისა, რომ კაიესმა თანხმობა განაცხადა მორონესის სამსახურიდან გადადგომაზე. (ადს)

### ობრეგონის მომხრეთა მოთხოვნილება

**ნიუ-იორკი**, 26 ივლისი. ობრეგონის მომხრეები მოითხოვენ ან სასწრაფოდ მოხდეს საპრეზიდენტო არჩევნები, ან დანიშნულ იქნეს დროებითი პრეზიდენტი, რომელიც თავისი მოვალეობის ასრულებას უნდა შეუდგეს 1-ლი დეკემბრიდან. (ადს)

# კელოგი პარიზში მიემგზავრება

**პარიზი**, 26 ივლისი. როგორც კომპეტენტურ წყაროებიდან იუწყებიან, ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საფრანგეთში **გერრიკმა** აცნობა ბრიანს, რომ კელოგს სურს ჩამოვიდეს შემოდგომაზე პარიზში, რათა „ომის ამკრძალავ" ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა თანდასწრებით ხელი მოაწეროს „ომის ამკრძალავ" ხელშეკრულებასო. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ხელშეკრულებას [illegible] 27 აგვისტოს მოაწე- [illegible]

# კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

## 26 ივლისის დილის სხდომა

## კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო

**მოსკოვი**, 27 ივლისი. კომინტერნის კონგრესის 26 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **კაშენის** თავმჯდომარეობით.

გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

### ამხ. ვიკსის სიტყვა

ამხ. **ვიკსი** (ჩრ.-ამერიკ. შეერთებული შტატები) აღნიშნავს, რომ შემცდარნი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამერიკის კომპარტიის ცეკას ბრალს სდებენ, ვითომ იგი რეკლამას უკეთებს ამერიკის იმპერიალიზმს. ამერიკის კომპარტიის ცეკა დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ იგი, თანახმად ამხ. ბუხარინის თეზისებისა, ამერიკის იმპერიალიზმს აფასებს როგორც განვითარების სტადიაში მყოფ იმპერიალიზმს. ამერიკის იმპერიალიზმის სიძლიერე ცხადათ გამოაშკარავდა ამას წინად ამერიკის მრეწველობის კონფერენციაზე. მრეწველებმა განაცხადეს, რომ ისინი 48 საათის განმავლობაში შესძლებენ ამერიკის მთელი მრეწველობის გადაყვანას მშვიდობიანი მდგომარეობიდან სამხედრო მდგომარეობაზეო.

### ამხ. ხეიდერის სიტყვა

ამხ. **ხეიდერი** (პალესტინა) შეჩერდა იმ თეზისებზე, რომლებიც შეეხებიან ახლო აღმოსავლეთს, და აღნიშნავს, რომ ევროპის პროლეტარიატმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ეგვიპტისა და არაბეთის პრობლემებს და მხარი დაუჭიროს ამ ქვეყნების კომპარტიების გმირულ ბრძოლას.

### ამხ. კატოს სიტყვა

„იაპონიის იმპერიალიზმი, — ამბობს ამხ. **კატო** (იაპონია), — წარმოადგენს რეაქციის მთავარ დასაყრდენს აზიაში. იაპონიის პროლეტარიატის ძირითადი ამოცანაა — ხელი შეუშალოს იაპონიის ომს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და შეეცადოს, რომ ეს ომი გადაიქცეს იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ომად. იაპონიის კომპარტია 1927 წ. მომხდარ რეორგანიზაციის შემდეგ იმყოფება ნამდვილი ბოლშევიკური პროლეტარული პარტიის სწორ გზაზე".

### ამხ. ხორსკის სიტყვა

„ევროპის კომპარტიებმა, — ამბობს ამხ. **ხორსკი** (ჩეხო-სლოვაკია), — ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს გლეხობის ძირითად მასებთან პროლეტარიატის კავშირის განხორციელება. კომპარტიების გავლენა სოფლის მეურნეობის მუშებში უმნიშვნელოა. არ შეიძლება ხელისუფლების დაპყრობაზე ლაპარაკი და ამავე დროს პროლეტარიატის მთავარი მოკავშირეების საკითხის უყურადღებოდ დატოვება. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ მრავალი შეცდომა ჩაიდინა გლეხობისა და ნაციონალურ საკითხებში. ეს შეცდომები კონგრესის დახმარებით უნდა გამოვასწოროთ.

### ამხ. პეტრულესკუს სიტყვა

„რუმინეთის მუშებისა და გლეხების გარევოლიუციონერება, —ამბობს ამხ. **პეტრულესკუ** (რუმინეთი), — მოწმობს, რომ რუმინეთის კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მოკლებულია სიმტკიცეს და რომ კომპარტიის მუშაობის განვითარებისათვის არსებობენ ხელსაყრელი პირობები. მაგრამ კომპარტიამ საკმაოდ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი სიტუაცია, ვინაიდან იგი განიცდიდა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კრიზისს, რომელიც ხელმძღვანელობის ოპორტუნისტული შეცდომების ნიადაგზე წარმოიშვა. ამჟამად ჩვენ გვყავს საუკეთესო პროლეტარული ელემენტებისაგან შემდგარი ხელმძღვანელობა, რომელსაც სჭირდება კომინტერნის აქტიური დახმარება, რათა მან გადასჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აგრეთვე ბალკანეთის კომპარტიების მუშაობის კოორდინაციის საკითხს".

### ამხ. რუს სიტყვა

„იმპერიალიზმი სამხრეთ აფრიკაში სხვადასხვა მეთოდებს მიმართავს, — ამბობს ამხ. **რუ** (სამხრეთ-აფრიკა). სამხრეთ აფრიკაში ადგილობრივ არაკვალიფიციურ მუშებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ, თეთრკანიანი მუშები კი მუშათა არისტოკრატიას წარმოადგენენ. კომპარტიამ უნდა გამოიყენოს ადგილობრივი მუშების უკმაყოფილება და შეებრძოლოს რეფორმისტების გავლენას სამხრეთ-აფრიკის მუშათა მოძრაობაში".

### ამხ. რაკამონის სიტყვა

„საფრანგეთის პროლეტარიატის მდგომარეობა, — ამბობს ამხ. **რაკამონი** (საფრანგეთი), — რაციონალიზაციისა და დიდი სიძვირის გამო, თანდათან უარესდება. კაპიტალისტების შემოტევაზე პროლეტარიატი უპასუხებს თავდაცვითი ომით. ჩვენ გვსურს, რომ კომპარტიამ მეტი ყურადღება დაუთმოს პროფკავშირების მუშაობას. მთავარ ამოცანას წარმოადგენს უჯრედების გაძლიერება წარმოებებში, ფრაქციების შექმნა პროფკავშირებში, ენერგიული ბრძოლა რეფორმისტების ბელადების წინააღმდეგ და სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის წარმოებული ბრძოლის ხელმძღვანელობა.

ყოველდღიური ბრძოლა ომისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების წინააღმდეგ უნდა დაუკავშირდეს ჩვენს მთავარ მიზანს — პროლეტარული რევოლიუციის განვითარებას".

### ამხ. კატაიამას სიტყვა

„მე მინდა აღვნიშნო, — ამბობს ამხ. **კატაიამა** (იაპონია), — რომ მეტროპოლიის კომპარტიებს შორის სუსტი კავშირი არსებობს. ამერიკის, ინგლისის და ჰოლანდიის კომპარტიები სუსტ დახმარებას უწევენ მოძმე კომპარტიებს კოლონიებში. ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ბოლო მოეღოს ფრაქციულ ბრძოლას ამერიკის კომპარტიაში და მჭიდრო კავშირი დამყარდეს ამერიკისა და იაპონიის კომპარტიებს შორის".

### ამხ. განსენის სიტყვა

„ჩვენი ბრძოლა პროფკავშირებში, — ამბობს ამხ. **განსენი** (ნორვეგია), — სწარმოებს სკანდინავიის, ფინეთისა და საბჭოთა პროფმოძრაობის თანამშრომლობის ხაზით. მე მინდა აღვნიშნო, რომ ბრძოლას არბიტრაჟის წინააღმდეგ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ნორვეგიის მუშების მიერ წარმატებით ჩატარებულმა გაფიცვამ სამედიატორო სასამართლოსა, არბიტრაჟისა და ანტიპროფკავშირული კანონის წინააღმდეგ გააძლიერა ჩვენი პარტიის გავლენა, პარტიის, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამ ბრძოლას. გაფიცვამ დაუმტკიცა მუშებს, რომ ბრძოლა არბიტრაჟის წინააღმდეგ შესაძლებელია".

### ამხ. გარლანდის სიტყვა

„სოფლის მეურნეობაში ფინანსიური კაპიტალის შეჭრით გამოწვეული დიფერენციაციის პროცესი გლეხობის შორის და გლეხობის ულარიბესი ფენების გამემარცხენება, რაც შედეგად მოჰყვა აგრარულ კრიზისს,— ამბობს ამხ. **გარლანდი** (იტალია), — ქმნის ხელსაყრელ წინასწარ პირობებს მუშათა და გლეხთა ბლოკისათვის. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპარტიები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მუშაობას გლეხებს შორის. თვით კომინტერნის აგრარულ სექციასაც კი არ გამოუჩენია საკმაო აქტივობა. თუ გვინდა დავიპყრათ გლეხთა მასსები, საჭიროა წამოვაყენოთ ნათელი აგრარული პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ მასიური მუშაობა".

### ამხ. ზაპოტოცკის სიტყვა

„ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ, — ამბობს ამხ. **ზაპოტოცკი** (ჩეხო-სლოვაკია), — უნდა მიიღოს ენერგიული ზომები მუშაობის გასაძლიერებლად როგორც რეფორმისტულ პროფკავშირებში, ისე რევოლიუციონურ პროფკავშირებში, სადაც ძველი ტრადიციები ჯერ საკმაოდ არ მოსპობილა. საჭიროა საგაფიცვო ბრძოლის წარმოება უფრო გეგმიანად და მოფიქრებულად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ უმთავრესად საქმე გვაქვს არა ცალკე კაპიტალისტებთან, არამედ ვეებერთელა ტრესტებთან. ჩვენ რევოლიუციონურ პროფკავშირებში ჩავაბით ახალი 31.000 წევრი, რაც აიხსნება მუშაობის ახალი მეთოდებით".

### ამხ. პილოს სიტყვა

„პარიზის ორგანიზაციას, — ამბობს ამხ. **პილო** (საფრანგეთი), — ბრალს სდებენ, რომ ის ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მთლიანი ფრონტის ტაქტიკას. ჩვენ შეგვიძლია ფაქტებით დავამტკიცოთ, რომ პარიზის ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობდა მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გატარებას ქვევიდან, და ამ საკითხში მას არ წამოუყენებია განსაკუთრებული ხაზი. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ომის საფრთხეა მოსალოდნელი".

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

## 26 ივლისის საღამოს სხდომა

26 ივლისს კონგრესის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. **ლოვსტონი** (შეერთებული შტატები).

გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

### ამხ. გიკსონის სიტყვა

„აუცილებლად საჭიროა,—ამბობს ამხ. **გიკსონი** (შეერთებული შტატები),—რომ იმპერიალისტურ ქვეყნების კომპარტიებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ კოლონიალური ქვეყნების კომპარტიებთან".

### ამხ. გერშელის სიტყვა

„ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ,—ამბობს ამხ. **გერშელი** (ჩეხო-სლოვაკია),—ამ ცოტა ხნის წინად დიდი დამარცხება განიცადა. ამხ. ბუხარინის თეზისები საკმაოთ მკაცრად არ აკრიტიკებენ შეცდომებს, რომლებმაც გამოიწვიეს ეს დამარცხება.

### მუშების მისალმება

ტრიბუნაზე ადის კაშირის რაიონული ელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურეთა დელეგაცია. კონგრესის დელეგატები დიდ ოვაციას უმართავენ დელეგაციას, რომელმაც კონგრესს გადასცა ძმური სალამი კაშირის ელექტროსადგურის 3.500 მუშის სახელით.

„კრესტიანსკაია გაზეტა"-ს სტამბის 500 მუშის სახელით კონგრესს მიესალმა მუშა ქალი ამხ. **ზარმა**.

### ამხ. ტელმანის სიტყვა

მოსკოვის მუშათა დელეგაციების მისალმების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ტელმანს** (გერმანია), რომელსაც კონგრესი ოვაციას უმართავს.

„გერმანიის დელეგაცია,—განაცხადა ამხ. ტელმანმა,—სავსებით და მთლიანად ეთანხმება ბუხარინის თეზისების ძირითად ხაზს. ამჟამად, როცა ომის საფრთხე დღითი დღე იზრდება, ჩვენ მიზანს უნდა შეადგენდეს მასსების მობილიზაცია და დარაზმვა, რათა რევოლიუციონური მოქმედებით წინ გაუსწროთ ომის საფრთხეს. სოციალ-დემოკრატია აქტიურად ხელს უწყობს იმპერიალისტური ომის მომზადებას. რეფორმიზმის გადაქცევა სოციალ-ფაშიზმად საერთო მოვლენაა. გერმანიის სოციალდემოკრატიას, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის სიტყვით, სურს „რესპუბლიკანური დროშის" ორგანიზაცია გადააქციოს პოლიციის დამხმარე რაზმად.

ბრძოლა კოალიციის პოლიტიკის წინააღმდეგ კომპარტიების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ ქვეყნებში, სადაც სოციალდემოკრატები მონაწილეობას იღებენ მთავრობაში. სოციალ-დემოკრატიის ეგრ. წოდებული მარცხენა ფრთის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუშალოს პატიოსან სოციალ-დემოკრატ მუშების გადასვლას კომპარტიაში. ამიტომ ჩვენი პარტიის ესენის ყრილობამ დაადასტურა რომ, „მემარცხენე სოც.-დემოკრატები ყველაზე უფრო საშიში მტრები არიან მუშათა მოძრაობის შიგნით. პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში და განმათავისუფლებელ [illegible] ქვეყნებში. კაპიტალისტურ ქვეყნებში გამართულ პროლეტარულ ბრძოლაში და კოლონიალურ ქვეყნების განმანათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენ მათ შეგვიძლია დაუპირდაპიროთ საბჭოთა კავშირი. იმ სიხარულის პოლიტიკური აზრი, რომლითაც მთელი ქვეყნის პროლეტარიატი შეხვდა „კრასინის" ბრწყინვალე გამარჯვებას, აიხსნება არა სიხარულით რამოდენიმე ავანტიურისტი ფაშისტის გადარჩენის გამო, არამედ სიხარულით, რომელიც გამოწვეულია სოციალისტურ სახელმწიფოს მეცნიერულ და ტეხნიკურ მიღწევათა უპირატესობის შეგნებით.

საპარლამენტო არჩევნების შედეგები გერმანიაში მოწმობენ გერმანიის პროლეტარიატის გადახრას მარცხნით და კომპარტიის გავლენის ზრდას მსხვილ სამრეწველო რაიონებში. მიუხედავად ამისა, პარტიის წევრთა რიცხვი არ ეთანაბრება ჩვენს დიდ პოლიტიკურ გავლენას. პროლეტპატიმართა განთავისუფლება მიღწეულ იქნა პროლეტარიატის ზეგავლენით. კონგრესის ტრიბუნიდან მე აქ გამოვსთქვამ —დიდ სიხარულს მაქს ჰელცის და სხვა განთავისუფლებულ პატიმრების პროლეტარულ ბრძოლის ფრონტზე დაბრუნების გამო. (მქუხარე ტაში).

რამდენიმე სიტყვა შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. შეგვიძლია აქ აღვნიშნოთ, რომ ტროცკისტული რენეგატები ჩვენს პარტიაში საბოლოოდ დამარცხდნენ (მქუხარე ტაში). ისინი ნაწილობრივ გაითქვიფნენ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებში, ნაწილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. სამაგიეროდ ჩვენს პარტიაში კვლავ გაჩნდნენ მემარჯვენე გადახრები; ასეთია მაგალითად, ბრანდლერის ლოზუნგი წარმოებაზე კონტროლის დაწესების შესახებ, დათმობა პროფკავშირთა სოციალ-დემოკრატ ბიუროკრატებისათვის, მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმების ტენდენციები და სხვ. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა გარანტიების შექმნა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ გადახრების წინააღმდეგ. კონგრესმა წესრიგისაკენ უნდა მოუწოდოს ამ გადახრების წარმომადგენლებს.

გერმანიის კომპარტიის დელეგაციას ამხ. ბუხარინის თეზისებში შეაქვს შემდეგი დამატება, რომელიც მოწონებულია გერმანიის დელეგაციის უმრავლესობის მიერ:

„გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელიც ინტერნაციონალური პროლეტარული არმიის ერთ-ერთ საუკეთესო რაზმს წარმოადგენს, იბრძვის საუკეთესო ორგანიზაციის მქონე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის თვით კომუნისტური მოძრაობის შიგნით მემარჯვენე გადახრების წარმოშობისათვის. ამიტომ პარტიის მორიგი ამოცანაა—ენერგიული ბრძოლა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ და ამ გადახრების მიმართ ყოველგვარი კომპრომისის მოსპობა. მოსალოდნელია სერიოზული ამბები. ჩვენ არ ვიცით, მოგვცემენ თუ არა იმპერიალისტები საშუალებას მშვიდობიან პირობებში ჩავატაროთ კომინტერნის მეშვიდე მსოფლიო კონგრესი. ამიტომ ამჟამად, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა გაძლიერებ-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მუშაობა მუშათა და გლეხთა კავშირის განსამტკიცებლად, დაჩაგრული კოლონიალური ხალხებისთვის დახმარების გასაწევად და ინტერნაციონალური სოლიდარობის გასაძლიერებლად კომინტერნისადმი და მისი ხელმძღვანელი პარტიის—საკავშირო კომპარტიისადმი ნდობის ნიშნის ქვეშ.

### ამხ. სპექტორის სიტყვა

„კანადის მუშათა პარტიის დამოკიდებულება კომუნისტებისადმი,—ამბობს ამხ. სპექტორი (კანადა),—თანდათან უფრო მტრული ხდება. პროფმოძრაობის რიგებში ძლიერდება ანტიკომუნისტური ტენდენციები. კანადის მდგომარეობა ბრიტანეთის იმპერიალიზმის სისტემაში ავალებს ჩვენს პარტიას—დარაზმოს მუშათა მასები იმის საფრთხის წინააღმდეგ იმ ომის, რომელიც საბჭოთა კავშირს ემუქრება“.

### ამხ. ხითაროვის სიტყვა

„ჩვენ მოხარული ვართ,—ამბობს ამხ. ხითაროვი (ახალგაზრდობის კომინტერნი) რომ კონგრესი ასე დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის მოძრაობის საკითხებს. ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდობის კომინტერნს ბევრი დეფექტი აქვს, ჩვენ ამ დეფექტებს კრიტიკის ქარცეცხლში გავატარებთ და შევეცდებით მათ გამოსწორებას ჩვენს კონგრესზე“.

### ამხ. მანერის სიტყვა

„ფინეთის სოციალ-დემოკრატია,—ამბობს ამხ. მანერი (ფინეთი),—თეთრი ტერორის საიდუმლო დამხმარე ორგანიზაციიდან მის აშკარა დასაყრდენად გადაიქცა. ის ბურჟუაზიას აწვდის შტრეიკბრეხერთა რაზმებს და აბეზღებს კომუნისტებს პოლიციასთან. ჩვენი პარტია თანდათან მეტ ნდობას პოულობს მასებში“.

## კომინტერნის წესდების გადამსინჯველი კომისია

მოსკოვი, 27 ივლისი. კომინტერნის კონგრესმა აირჩია კომისია კომინტერნის წესდების გადასასინჯად. კომისიაში მოჰყვნენ: ამხ. ბერნარი (საფრანგეთი), ილეკი (ჩეხო-სლოვაკია), შულტე (გერმანია), პიატნიცკი, მანუილსკი, ლოვსტონი (შეერთებული შტატები) როხი (იტალია), ჩჟან კუანგი (ჩინეთი), ვიტკოვსკი (პოლონეთი), ლიბანოვსკი (ახალგაზრდობის კომინტერნი). კომისიის მდივნად არჩეულია ამხ. ხიმო (ადს).

## ნობილეს ექსპედიციის გარშემო

### ამხ. ს. ს. კამენევი „მონტე სერვანტეს“-ის გადარჩენის შესახებ

მოსკოვი, 27 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კამენევმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში „კრასინ“-ის მიერ გერმანიის გემის „მონტე სერვანტეს“-ის გადარჩენის შესახებ სთქვა შემდეგი:

25 ივლისს, საღამოთი, „კრასინ“-მა აცნობა კომიტეტს, რომ მან მიიღო რადიოთი თხოვნა დახმარების შესახებ გერმანიის გემ „მონტე-სერვანტეს“-იდგან, რომელსაც სერიოზულად დაზიანებია წინა ნაწილი. „მონტე-სერვანტეს“-ზე 1.5000 მგზავრია, რომელთაც დაღუპვა მოელოდათ. „კრასინ“-ი დაუყოვნებლივ გაემართა კატასტროფის ადგილისკენ. 26 ივლისს იგი მიადგა ავარიის ადგილას და სახიფათოდ აღმოუჩინა გემს დახმარება. ეს დახმარება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ „კრასინ“ ეკიპაჟი მშვენივრად არის მომზადებული ფრიად სერიოზული და მძიმე პირობებში მუშაობისათვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ „სერვანტეს“-ის დასახმარებლად წასვლის დროს „კრასინ“-ი თვითონ საკმაოდ სერიოზულად იყო დაზიანებული. დაზიანებული ჰქონდა საჭე და ვინტი.

„სერვანტეს“-ისათვის აღმოჩენილი დახმარება არაჩვეულებრივია. „კრასინ“-ის წყალში მომუშავეებმა აღმოაჩინეს სერიოზული დაზიანება, რის შემდეგაც „კრასინ“-ის ეკიპაჟი შეუდგა დაზიანებული ადგილის დროებით შეკეთებას. დაზიანებული ადგილის სიგრძე, როგორც გამოირკვა, 4 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე—1 მეტრს. ამრიგად, დაზიანება იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ გემი, ალბად, ჩაიძირებოდა, „კრასინ“-ს რომ დროზე არ მიესწრო. მგზავრები ოვაციებს უმართავდნენ ჩვენს ყინულისმჭრელს და სრულიად დაივიწყეს ის საშიშროება, რომელიც მათ მოელოდა. (ადს).

### ამუნდსენის და ალექსანდრის საძებნელად

მოსკოვი, 27 ივლისი. როდესაც „იტალიის“ დამხმარე კომიტეტმა მიიღო ცნობა გერმანიის გემის „მონტე - სერვანტეს“-ს გადარჩენის შესახებ, მან დაუყოვნებლივ უბრძანა „კრასინ“-ს — დაიჩქაროს გადასარჩენი მუშაობის დამთავრება, სასწრაფო რემონტისა, გემის ნახშირით დატვირთვისა და ამუნდსენისა და ალექსანდრის ძებნის განსაგრძობად.

### ნობილე მადლობას უთვლის სამეცნიერო აკადემიას

ლენინგრადი, 27 ივლისი. სამეცნიერო აკადემიამ მიიღო დეპეშა ნობილესაგან. ნობილე მადლობას უთვლის სამეცნიერო აკადემიას და რუსეთის ყველა მეცნიერს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს მის ექსპედიციას.

### ნობილეს ექსპედიციის მონაწილენი ოსლოში

ოსლო, 26 ივლისი. ნარვიკიდან ჩამოსულმა ნობილეს ექსპედიციის მონაწილეებმა მთელი დღე „ჩიტა დი მილანო“-ზე გაატარეს. ნაპირზე გადმოვიდა მხოლოდ გემის კაპიტანი. სადგურთან პირდაპირ გემთან მიიყვანეს სპეციალური ვაგონი, რომელზედაც „ჩიტა დი მილანო“-დან ხიდი გასდეს. 26 ივლისს, საღამოთი, ჩვეულებრივი მატარებლით ექსპედიციის მონაწილენი შვეციისაკენ გაემგზავრნენ. (ადს)

### მალმგრენის და „ლატამ“-ის ძებნა

ოსლო, 26 ივლისი. კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ როგორც კი „ჩიტა დი მილანო“ ნარვიკიდან დაბრუნდება, გემი „ბრაგანცა“ აღმოსავლეთის მიმართულებით გაიგზავნება. შეიძლება „ბრაგანცა“ ფრანც იოსების მიწაზე გაიგზავნოს. ნორვეგიული მეზღვაურები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელი შეუწყონ ძებნას, მით უმეტეს გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ მალმგრენის გვამის მპოვნელს მიეცემა ჯილდო — 10.000 კრონი, 10.000 კრონი ჯილდო დანიშნულია აგრეთვე იმისათვის, ვინც თვითმფრინავს „ლატამ“-ს აღმოაჩენს. (ადს)

### „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტში

მოსკოვი, 27 ივლისი. 25 ივლისს საღამოს „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა გადასწყვიტა, ლენინგრადიდან სტოკჰოლმში გაგზავნოს აეროპლანი, რომელიც ჩუხნოვსკის წაუღებს თხილამურებს და სათადარიგო ნაწილებს! (ადს).

### „კრასინ“-ის შესახვედრად სტავანგერში

მოსკოვი, 27 ივლისი. ნორვეგიიდან მიღებული ცნობებით, „კრასინ“-ის სტავანგერში შესვლის ცნობამ ენტუზიაზმი გამოიწვია მთელ ნორვეგიაში. „კრასინ“-ის შესახვედრად სტავანგერში მიდიან არა მარტო ნორვეგიის კორესპონდენტები, არამედ ევროპის ყველა ქვეყნის კორესპონდენტები. (ადს).

### საბჭოთა უცხადებენ სამოილოვიჩის და ჩუხნოვსკის ჩამოსვლას

ვაშინგტონი, 26 ივლისი. სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები არ მალავენ თავიანთ უკმაყოფილებას სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის მიწვევის გამო შეერთებულ შტატებში. ისინი ცხადია, სიამოვნებით გამოიყენებენ ყოველგვარ საბაბს მოწვეულთათვის ვიზების მიცემაზე უარის სათქმელად. კელოგს ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამის შესახებ. ამერიკა - საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატას ეუწები ჯერ არ მოუთხოვია (ადს).

## ღამის ცნობები

### ახალი ხელშეკრულება ამერიკასა და ჩინეთის შორის

პეკინი, 27 ივლისი. 25 ივლისს აქ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებაზე ჩინეთსა და ამერიკას შორის. ხელშეკრულება დღეს გამოქვეყნდა პრესაში. ახალი ხელშეკრულება შეიცავს ამერიკის თანხმობას — აღადგინოს ჩინეთის საბაჟო ავტონომია. ფაქტიურად ხელშეკრულება მოასწავებს ნანკინის მთავრობის იურიდიულ ცნობას შეერთებული შტატების მიერ. ხელშეკრულების თანახმად ჩინეთი ღებულობს საბაჟო ავტონომიას 1929 წლის 1 იანვრიდან იმ პირობით, თუ იმ დროისთვის ხელშეკრულებას ორივე მხარე დაამტკიცებს. იაპონიის პრემიერმა ივასავამ ჩინეთ-ამერიკის ახალი ხელშეკრულების შესახებ განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება მხოლოდ საბაჟო განაკვეთებს ეხება და „მეტად უმნიშვნელო საქმეს წარმოადგენს“. მაგრამ ამასთანავე იოშიზავა აღიარებს, რომ ეს ხელშეკრულება „სავსებით გამოხატავს ამერიკის მეგობრულ გრძნობებს ჩინეთის მიმართ“. შემდეგ იოსიხავამ განაცხადა, რომ „იაპონია დიდხანს ცდილობდა ანგარიში გაეწია ჩინეთის მისწრაფებებისათვის“ და სთქვა, რომ ვინაიდან ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულება, იაპონია იძულებული გახდა დასდგომოდა ცხლანდელ პოზიციას (ადს)

### „სიტყვების რახარუხი“

პეკინი, 27 ივლისი. იაპონიის მისიის ოფიციოზი პეკინში „ჩაინა სტანდარტ“-ი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ცნობას ამერიკის მიერ ჩინეთისათვის გაგზავნილი ნოტის შესახებ. ცნობას შემდეგი ქვესათაურები აქვს: „ამერიკა გაურბის ხელშეკრულებათა სრულ გადასინჯვას“, „ნოტა ნაკლებს იძლევა, ვიდრე სხვა ერები, რომლებიც მზად არიან აწარმოონ მოლაპარაკება ჩინეთთან“, „ამერიკის ნოტის სიტყვების რახარუხი 90 პროცენტით — პოლიტიკური გაბრიყვება და ლითონობა“. გაზეთი აცხადებს, რომ ამერიკამ ძალიან მოხერხებული დრო შეარჩია თავისი ნოტის გასაგზავნად, სახელდობრ ის მომენტი, როდესაც იაპონია ებრძვის იმის ცდას, რომ მიღწეული იქნას ყველა ხელშეკრულებათა სრული გადასინჯვა. (ადს)

### გერმანიის დაინტერესება ლიტვის საკითხში

ბერლინი, 27 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის მოსკოველი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანია ნაკლებ არ არის დაინტერესებული ლიტვის სრული დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობაში, ვიდრე საბჭოთა კავშირი. კორესპონდენტის სიტყვით, შეხედულებათა ერთგვარობა ამ საკითხში უეჭველად იქნება გერმანია საბჭოთა კავშირის შეთანხმებული პოზიციის ერთ-ერთი მთავარი მომენტი.

### პოლონეთის სეიმის სესია

ვარშავა, 27 ივლისი. დღეს ზოგიერთი გაზეთები იტყობინებიან, რომ სეიმის საშემოდგომო სესია გაიხსნება არა ოქტომბრის დამდეგს, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, არამედ ოქტომბრის დამლევს. გაზეთების აზრით, სეიმის გახსნის გადადება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთავრობა ვერ მოასწრებს კანონპროექტის შედგენას კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ავტორიტეტულ წრეების დასკვნით, კი სეიმის გახსნის ვადის გაგრძელება აიხსნება მთავრობის სურვილით დაიწყოს ამ პროექტის განხილვა შუა ნოემბერში. ამ დროისათვის თითქმის პოლონეთის ათი წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად, პროვინციებიდან ვარშავაში ჩამოვა 100 ათასამდე შეიარაღებული მსროლელთა ლაშქარი, როგორც სჩანს, მთავრობა ფიქრობს, რომ ვარშავაში ამდენ მსროლელთა ლაშქრის ჩამოსვლა, — საკმაოდ დამარწმუნებელი არგუმენტად გამოდგება.

### მარიანო ნარვიკში დარჩა

სტოკჰოლმი, 27 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ლიუდლიას ერთ-ერთი გაზეთის ცნობით მარიანო დარჩა ნარვიკის ჰოსპიტალში, ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთია, რომ ის ხანგრძლივ მგზავრობას ვერ აიტანს. დანარჩენები ნარვიკიდან იტალიაში გაემგზავრნენ.“ (ადს)

### ნორვეგიის მთავრობის მადლობა

მოსკოვი, 27 ივლისი. ნორვეგიის რწმუნებული საბჭოთა კავშირში ირგენსი ამხ. ჩიჩერინის სახელზე გამოგზავნილ ნოტაში მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას ამა წლის გაზაფხულზე ნორვეგიის დაზარალებულ სთევზაო გემებისთვის დახმარების აღმოჩენისათვის (ადს).

## ციკლონი პრიმორიეში

მოსკოვი, 27 ივლისი. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობამ ხაბაროვსკიდან მიიღო დეპეშა, რომ სამხრეთ-ჩინეთის ციკლონმა, რომელმაც 23 ივლისს პრიმორიეზე გადაიარა დიდი ზარალი ვერ გამოიწვია. ზარალი სულ რამდენიმე ათეულ ათას მანეთს შეადგენს.

25 ივლისს დილით ამოვარდა ახალი ციკლონი, რომელიც თანდათან ძლიერდება და საშიშრად ხდის რამდენიმე სოფლის დაცლას მდინარე ზეიას მიაქვს სახლები და ხიდები. როგორც იუწყებიან, არის ადამიანის მსხვერპლი, ილუპება საქონელიც. ჩესნოკოვსკაიას და ბლაგოვეშჩენსკის შუა ადიდებულმა მდინარემ დაანგრია რკინის გზის ლიანდაგი 150 მეტრის სიგრძით. მატარებლების მიმოსვლა გაძნელებულია. დამხმარე ზომების წყალობით მოსახლეობა მხნედ არის. საშიშარ რაიონებში გაიგზავნა სამი გემი, ბარჟები და კატერები. გაიგზავნა აგრეთვე 250 ტონა სურსათი, მოძრავი სამზარეულოები, პურის საცხობები და სანიტარული რაზმი.

წყლის დონე ზეიაში ამჟამად ბევრად უფრო მაღალია 1924 წ. წყალდიდობის დროინდელ დონეზე. ჰიდრომეტეოროლოგიური ბიურო წინასწარმეტყველებს შემდეგ მომატებას.

## „სამხედრო მოწყობილობის ფაბრიკანტების კონცერნი“

ვარშავა, 26 ივლისი. კრაკოვის გაზეთი „ილუსტრიროვანი კურიერ პოძენნი“ ათავსებს მოწინავე წერილს, რომელიც სასტიკ პროტესტს აცხადებს „სამხ. მოწყობილობის ფაბრიკანტების საერთაშორისო კონცერნის“ წინააღმდეგ, რომელიც ავრცელებს ხმებს, თითქოს ახლო მომავალში დაიწყება ომი პოლონეთის მონაწილეობით. ეს ხმები, გაზეთის სიტყვით ვრცელდება იტალიისა და სამხედრო მოწყობილობის გასაღებისათვის ხელსაყრელ კონიუნქტურის შესაქმნელად. „ამ ხმებმა, სწერს გაზეთი, პოლონეთს უკვე მოუტანა ზარალი, ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს სრულიად შეწყდა უცხოეთის კაპიტალის დენა პოლონეთში.

## ტიტულესკუს გადადგომა

ვენა, 26 ივლისი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტიტულესკუ პარლამენტის საგანგებო სესიის დამთავრების შემდეგ, გადადგება თანამდებობიდან ავადმყოფობის საბაბით. ტიტულესკუს გადადგომის მიზეზია მისი უთანხმოება მთავრობის სხვა წევრებთან, განსაკუთრებით პრემიერ ბრატიანუსა და დუკასთან.

## კეიდელის ახალი მანევრი

ბერლინი, 26 ივლისი. შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კეიდელმა, სხვა ნაციონალისტებთან ერთად, რეიხსტაგში შეიტანა სახალხო კანონის პროექტი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კეიდელის მანევრი მიზნად ისახავს სოციალ-დემოკრატებისა და ცენტრის პარტიის ურთიერთობის გამწვავებას.

## პატიება უფლებების ახდით

პარიზი, 26 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ელზასის ავტონომისტების პროცესზე მსჯავრდადებულ როკლეჰსა და როსსის პატიება არ აუქმებს სასამართლოს დადგენილებას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების ახდის შესახებ (ადს).

## საკავშირო სპარტაკიადაზე

### მოემგზავრებიან

ლონდონი, 26 ივლისი. საბჭოთა გემით „იუშარ“ ლენინგრადში გაემგზავრა მუშათა სასპორტო გუნდი 30 კაცის შემადგენლობით, საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად. (ადს)

# მაქსიმ გორკი თბილისში

## გორკი მუშკორებში

ჯერ კიდევ სომხეთში გამგზავრებამდე აღუთქვა მაქსიმ გორკიმ თბილისის გაზეთების მუშა - კორესპონდენტებს, რომ დაბრუნებისას ის რამოდენიმე საათს გაატარებდა მათთან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე საუბრის ჩასატარებლად.

გუშინ, ძვირფასი სტუმრის შესახვედრათ მშენებელთა კლუბში შეიკრიბა თბილისის ყველა გაზეთების მუშა, სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტთა ხვამო მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელსაც ძლივს იტევს კლუბის საზაფხულო დარბაზი.

მაქსიმის მოსვლას კრებაზე დანიშნულ დროზე თითქმის ერთი საათი დააგვიანდა.

სრულ 4 საათზე კლუბის ეზოში გამოჩნდა მაქსიმის ახოვანი ფიგურა, იგრიალა მქუხარე ტაშმა. მალე მწერალი მთავრობის წევრების და პროლეტარულ მწერლების თანხლებით ავიდა კლუბის ესტრადაზე. ტაშის გრიალი დიდხანს არ ცხრება. ამ საზეიმო შეხვედრას მწერალი მორცხვათ არიდებს თვალს.

კრებას ხსნის ამხ. ასრიბეკოვი, რომელიც დამსწრეებს უხსნის მაქსიმთან შეხვედრის მიზანს.

— ამ შეხვედრას ამბობს იგი არ უნდა მიეცეს საზეიმო ხასიათი, მიუხედავათ იმისა, რომ მწერლისადმი მისალმების მსურველი ჩვენ შორის ბევრია. ამ კრების დანიშნულებაა ძვირფას სტუმართან შეხვედრა გამოვიყენოთ აზრთა გაცვლა - გამოცვლისათვის იმ მტკივნეულ საკითხებზე რომელიც აღელვებს მუშკორმოსანთა ლაშქარს. ამგვარათ ამხ. ასრიბეკოვის წინადადების თანახმად კრებას თავიდანვე მიეცა საქმიანი ხასიათი.

მუშა - კორესპონდენტის მიერ მწერლისადმი მიცემულმა პირველმა შეკითხვამ ჩააყენა აზრთა გაცვლა - გამოცვლა სწორ კალაპოტში.

როგორ უყურებს მწერალი მუშკორთა მოძრაობას, მათ ბრძოლას ჩვენი ცხოვრების სიმახინჯეებთან, საბჭოთა მშენებლობის უარყოფით მხარეებთან, ბიუროკრატიზმთან და სხვა?

ამ კითხვაზე მწერალმა გასცა ნათელი და გარკვეული პასუხი, რომელიც ზედმიწევნით განმარტავს მუშკორის დანიშნულებას საბჭოთა ცხოვრების და მშენებლობის სინამდვილეში.

მწერლის დასკვნით, დღეს ჩვენი გაზეთის მუშა - კორესპონდენტები უმთავრესად ასრულებენ ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მოვლენების გამომაშკარავებლის და მამხილებლის როლს. ეს მეტად დიდი და საპატიო მოვალეობაა, რომელიც მას დაკისრებული აქვს იმ წრიდან, საიდანაც მუშკორი გამოსულია. იმ დიდ საქმეში, რომელსაც მუშკორი აკეთებს მას დიდი სიფრთხილე მართებს. მან ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი მოვლენას უნდა შეხედოს თავისი კლასის თვალსაზრისით. მუშკორმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს; რომ მას უხდება შეფასება იმ საქმის; რომელსაც ხელმძღვანელობენ და აკეთებენ მისივე ამხანაგები და თანამებრძოლები. სწორეთ ისეთი პირები; რომელნიც გუშინ დაზგასთან მუშაობდნენ და მუშათა კლასის საუკეთესო შვილებთან ერთად იბრძოდნენ. ის საქმე, რომელსაც ესინი აკეთებენ, საქვეყნო მნიშვნელობის საქმეა; იგი მოითხოვს ცოდნას; გამოცდილებას შეჩვევას, დაკვირვებას. გუშინდელ მუშას; დღეს კი ამ დიდი საქმის მეთაურს, რასაკვირველია ხშირათ ეს თვისებები აკლია. ამის გამო იგი ხშირად სჩადის შეცდომებს, რაც ბუნებრივი და აუცილებელია. ეს გარემოება აუცილებლათ უნდა გაითვალისწინოს ყოველმა მუშკორმა, როცა იგი ამა თუ იმ საქმის გასაკრიტიკებლათ,ან ამა თუ იმ შეცდომის სამხილებლად იღებს კალამს ხელში.მან უნდა იცოდეს, რომ საქმე აქვს არა თავის კლასიურ მოწინააღმდეგესთან; არამედ თავის ამხანაგთან; რომელიც სჩადის შეცდომებს არა ბოროტი განზრახვის; არამედ უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო. მუშკორი უნდა ერიდოს არამეგობრულ კილოს, გამაღიზიანებელ ტონს და სხვის პიროვნების უსაფუძვლო და უმართებულო შეურაცხყოფას. ახალ ცხოვრებას ბევრი ნაკლი ახასიათებს. მუშკორმა იგი უნდა გამოაშკარაოს, მაგრამ იმდენად არ უნდა გააზვიადოს იგი, რომ დაჩრდილოს ჩვენი მშენებლობის უდიდესი მიღწევები. კრიტიკის დროს მუშკორს არ უნდა გამორჩეს ის კარგი მხარეებიც, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში უხვად მოიპოება. ჩვენი ცხოვრების დადებითი მხარეების შეუმჩნევლობა ბევრ ჩვენს გაზეთს და მათ თანამშრომელ მუშკორებს ახასიათებს. ეს აუცილებლად მავნებელი მოვლენაა, რომელსაც შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს.

შემდეგ მწერალს მოსდის ასეთი შეკითხვა: სად უნდა ვეძიოთ ახალი ყოფა - ცხოვრების სათავე?

— პირველყოვლისა თავისთავში. ასეთია მწერლის პასუხი. პირველყოვლისა თვითონ უნდა გარდავქმნათ ჩვენი თავი, შევსცვალოთ დამოკიდებულება ერთმანეთთან, შევეჩვიოთ ერთი - მეორის პიროვნების დაფასებას. ერთი მეორის შრომის დაფასება აუცილებელი პირობაა თანამშრომლობისათვის და ახალი სამართლიანი ცხოვრების შესაქმნელად.

მაქსიმ გორკი მუშკორებში

მწერალი ისევ უბრუნდება მუშკორთა ამოცანებს და ჩერდება თვითკრიტიკის საკითხებზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშკორებს, როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქეებს შეუმჩნეველი რჩებათ გრანდიოზული მიღწევები, რომელიც საბჭოთა მშენებლობის ყოველ დარგს ახასიათებს. ეს ადვილი გასაგებია ამბობს იგი. რადგან თქვენ გავხართ გაშენებულ ცხენზე შემჯდარ მხედარს, რომლის თვალი ხანგრძლივათ ვერ ჩერდება მის გარშემო მყოფ საგნებზე. ჩვენს მიღწევებს, ამბობს მწერალი, უფრო უკეთ ხედავს გარეშე თვალი, ამას ამტკიცებს თუნდაც კიოლნის გამოფენა, სადაც მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ არსად გაზეთებს იმდენი ტირაჟი, იმდენი მკითხველი და იმდენი მუშა - კორესპონდენტი არა ჰყავს, რამდენიც საბჭოთა გამოცემებს. იგივე ითქმის საბჭოთა წიგნზე. მაშინ, როცა ევროპის საუკეთესო მწერალთა მკითხველების რიცხვი რამოდენიმე ათასით განისაზღვრება, საბჭოთა მწერლის მკითხველთა რაოდენობა ათეულ ათასს აღწევს. თუ რამდენათ სწრაფია საბჭოთა ქვეყნების კულტურული წარმატების ტემპი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩუვაშებს წინათ ჩაგრულ და წამებულ ერს, რომელსაც 7—8 წლის წინათ ანბანიც კი არა ჰქონდა, დღეს აქვს ათი გაზეთი და მათ შორის ერთი 10 ათასი ტირაჟით. ცხადია, თუ ასეთი ტემპით წავიდა ჩვენი ცხოვრება, საბჭოთა რესპუბლიკები კულტურულად ძალიან მალე გაუთანასწორდებიან ევროპის ხალხებს.

კრებაზე გამოჩნდენ სკეპტიკოსებიც, რომელთაგან ერთმა ასეთი შეკითხვა მისცა გორკის: რით აიხსნება რუსული ხელოვნების დაწვრილმანება? ამ ათი წლის განმავლობაში განაგრძობს სკეპტიკოსი — რუსეთმა ვერ მოგვცა ვერც ერთი შალიაპინი, ვერც ერთი კომისარჟევსკაია, ვერც ერთი რიმსკი-კორსაკოვი, ვერც ერთი გამოჩენილი მწერალი, მხატვარი.

შეკითხვების პესიმისტური განწყობილება უსაფუძვლოა. ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელოვნების ყოველ დარგს მრავალი ნიჭიერი მოღვაწე შეემატა. წარმოიდგინეთ შალიაპინსაც გამოუჩნდა მემკვიდრე — მუშათა წრიდან. შარშან იტალიაში სასწავლებლად გაემგზავრა ახალგაზრდა მომღერალი დვარიანიკოვი, რომელსაც მთელი მუსიკალური იტალია აღფრთოვანებით შეეგება და შალიაპინის მომავალი უწინასწარმეტყველა. ასეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა მსახიობმა ქალმა პავლოვამ. მართალია ჯერ - ჯერობით ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას არ მოუცია რიმსკი - კორსაკოვები, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ ისინიც გაჩნდებიან. საბჭოთა ახალგაზრდა მწერლებით კი ჩვენ შეგვიძლია მთელი ქვეყნის წინაშე ვიამაყოთ. კ. ფედინი, ბაბელი, სემიონოვი, ვ. ივანოვი, ნიკულინი და მრავალი კიდევ სხვები ისეთი მწერლებია, რომელნიც დაამშვენებენ დაწინაურებულ ქვეყნების ლიტერატურულ ცხოვრებას.

ერთ-ერთი მუშკორის შეკითხვამ შეეხო მწერლის მიერ გამოსაცემად განზრახულ ჟურნალს „ჩვენი მიღწევები“ დანიშნულებას და მუშკორთა და სოფლის კორესპონდენტთა მონაწილეობას ამ ჟურნალში. შეუძლიან თუ არა მუშკორებმა მიიღონ ამ გამოცემაში მონაწილეობა და რა სახით?

რასაკვირველია, უპასუხებს გორკი: იშვიათია წარმოება ან სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი, რომელსაც არ ჰქონდეს რაიმე მიღწევა. მარტო ის რათ ღირს, რომ ამჟამად აღრიცხულია 19 ათასი გამოგონება, რომელთა ავტორები მეტ წილად მუშები არიან. ამ მხრივ ჩვენ ამერიკასაც გავუსწარით. მრავალი ამ გამოგონებათაგანი პრაქტიკულათ ხორციელდება. ეს წინ სწევს ჩვენს მრეწველობას, ჩვენს მეურნეობას. მუშკორს, სოფლის კორესპონდენტს არ უნდა გამორჩეს ის მოვლენა, რომელიც მან უნდა აცნობოს ზემოხსენებულ ჟურნალს. ამ ჟურნალში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ეროვნულ რესპუბლიკების მუშაკებმა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერთა კულტურულ მოძრაობას და ლიტერატურულ ცხოვრებას, საამისოთ მე განზრახვა მაქვს დავაარსო სპეციალური ჟურნალი, რომელიც მიზნათ დაისახავს გააცნოს საბჭოთა კავშირის ერებს ურთიერთ კულტურული და ლიტერატურული მოძრაობა.

დასასრულ მწერალი უპასუხებს შემდეგ პრაქტიკულ კითხვაზე: რა უნდა გაკეთდეს, რომ ამაღლდეს მუშკორის ნაწარმოების ღირსება? უნდა ვაღიაროთ, ამბობს გორკი, რომ ბევრმა მუშკორმა და პროფესიონალურმა მწერალმაც არ იცის წერა. ბევრს არ ემარჯვება მოხერხებულათ გამოსთქვას თავისი აზრი და ამის გამო ხშირად ნაწერი უხეშ ტლანქ იერს ატარებს დამწერის ნების გარეშე. ამ გარემოებამ მუშკორებს გული არ უნდა გაუტეხოს. ეს ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია. თუ კი მუშა შეეჩვია წარმოების ფაბრიკა - ქარხნების ხელმძღვანელობას, სახელმწიფოს მმართველობას, რასაკვირველია იგივე მუშა შეეჩვევა წესიერ წერასაც. საჭიროა მხოლოდ მონდომება. პრაქტიკულად ამ საკითხის გადაჭრა მე ასე წარმომიდგენია: საჭიროა მოეწყოს მოკლევადიანი კურსები, სადაც მუშკორები, პროლეტარული მწერლები გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით შეისწავლიან თავისი აზრების წესიერათ გამოთქმასა და დალაგებას.

მე თავისთავზე ისეთი წარმოდგენის არა ვარ, ათავებს თავის საუბარს მაქსიმი, რომ ვიფიქრო, რომ სავსებით დავაკმაყოფილე თქვენი ცოდნის მოყვარეობა. შეიძლება ბევრ კითხვაზე მე ვერ გავეცით საკმაოდ სრული და ამომწურავი პასუხი. თვით მე კი ძალიან კმაყოფილი ვარ ამ კრებით, რომელმაც კიდევ ერთხელ მიჩვენა, თუ რა განმაცვიფრებელი სისწრაფით მიმდინარეობს ჩვენი მუშათა მასების კულტურული წარმატების პროცესი. ეს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შეკითხვები, ერთი თქვენი დიდ მიღწევათაგანია, რომელსაც თქვენ ვერ ხედავთ და ვერ ამჩნევთ. ეს თქვენი ნაკლია, ისე კი თქვენ განსაცვიფრებელი ხალხი ხართ,—დაამთავრა ხუმრობით თავისი სიტყვა საყვარელმა მწერალმა.

კრების შემდეგ, გორკიმ სურათი გადაიღო მუშკორებთან ერთად.

მუშკორებმა მაქსიმი მქუხარე ტაშის ცემით გააცილეს.

## გორკი თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე

თბილისის პროლეტარიატმა თავისი დიდი სტუმრის შესახვედრათ და პატივსაცემათ გუშინ, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში, მოიწვია თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა. წევრების გარდა, საბჭოს სხდომას დაესწრნენ დიდი ძალი მუშა - მოსამსახურეები.

მწერლის გამოჩენას საბჭო შეხვდა ხანგრძლივი და მქუხარე ტაშის ცემით.

სხდომა გაიხსნა ძველი მებრძოლის, ვანო სტურუას მისასალმებელი სიტყვით.

### ამხ. ვანო სტურუას სიტყვა

დღევანდელი სხდომა, — ამბობს, მომხსენებელი — მოწვეულია მშრომელი ხალხის საუკეთესო მწერლის — მაქსიმ გორკის პატივსაცემათ. მშრომელი ხალხი დიდათ აფასებს თავის ზრახვების საუკეთესო გამომხატველს, დიდი ნიჭით დაჯილდოვებულ მხატვარს, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში მას საუკეთესო გრძნობებს უღვიძებდა და ასწავლიდა ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის, ჩვენთვის, მუშებისათვის ძვირფასი იყო და არის გორკი იმიტომ, რომ მისი ნაწარმოები ჩვენთვის ყველაზე უფრო გასაგები და საგრძნობი იყო. მან თავის ნაწარმოებით შეგვაგნებინა ჩვენი საკუთარი ძალა, გაგვაგებინა, თუ ვინ იყო ჩვენი მტერი, ჩვენი მოყვარე, გორკი მუშათა კლასისათვის დაუფასებელია არა მარტო, როგორც მხატვარი, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწე და რევოლიუციონერი. მე მაგონდება არალეგალური სტამბა ბაქოში, სადაც ჩვენ არა ერთხელ აგვიწყვია გორკის მიერ დაწერილი პროკლამაციები და მოწოდებები, რომელნიც ბრძოლის ცეცხლს აღვივებდენ მუშათა შორის. გორკი მუდამ ჩვენთან იყო და იგი ეხლაც ჩვენთან არის. დღეს მას ჩვენ ვეგებებით არა როგორც უცხო სტუმარს, არამედ როგორც ჩვენს გაუყრელ მეგობარსა და თანამებრძოლს. (ტაში).

### ამხ. შალვა ელიავას სიტყვა

ამხანაგებო, — მე მივმართავ არა იმ ძველ მებრძოლებს, რომელნიც ყოფილან მოწმე მაქსიმ გორკის ლიტერატურულ - პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის, არა იმათ, რომელნიც აღზრდილან მაქსიმ გორკის ნაწარმოებზე. მე მსურს გორკის მოღვაწეობა გავაცნო ჩვენს ახალგაზრდა თაობას, რომელიც არ ყოფილა ჩვენი ბრძოლის მონაწილე და მხოლოდ ეხლა ებმება ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში, ძველი თაობის მიერ დაწყებულ ბრძოლაში. მაქსიმ გორკი უდიდესი და ამავე დროს უბედნიერესი მწერალია. იგი, როგორც მწერალი დაიბადა მაშინ, როცა რუსეთის მშრომელი ხალხი შეუდგა თავისი ძალების ორგანიზაციას თვითმპყრობელობის დასამხობათ. მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ფეხდაფეხ მისდევდა მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას, იგი იყო მუშათა კლასის საუკეთესო მწერალი, მისი ზრახვების უბადლო გამომხატველი, რომელიც მუდამ ეძებდა ახალ ადამიანს და წინასწარმეტყველებდა მის წარმოშობას. მის ნაწერებში მუდამ გაისმოდა განუზომელი სიყვარული შრომისადმი და დაუშრეტელი სიძულვილი მუშათა კლასის მტრებისადმი. თავის ნაწარმოებით იგი იყო რევოლიუციონური მოძრაობის მედროშე, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა მუშათა კლასის უერთგულესი თანამებრძოლის დიდი სახელი. ბედმა მას დიდი ბედნიერება არგუნა წილად, იგი გახდა არა მარტო პროლეტარიატის ბრძოლების მონაწილე, არამედ მისი ბრწყინვალე გამარჯვების მოწმეც, დღეს იგი წარმოადგენს ჩვენი მშენებლობის ერთ აქტიურ მუშაკთაგანს, რომელსაც მომარჯვებული აქვს თავისი იარაღი, თავისი კალამი.

გორკი უნიჭიერესი რუსი მწერალია, მაგრამ ამასთან ერთად იგი დიდი ინტერნაციონალური მწერალიც არის, რადგან იგი ეძებდა და ეძებს ახალ ადამიანს, ახალი ცხოვრების შემომქმედს. მთელი მისი ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა წარმოადგენს სანიმუშო მაგალითს ყველა იმ მწერლებისათვის, რომელთაც მიზნათ დაისახეს ბრძოლა მუშათა საბოლოო გამარჯვებისათვის. ყველა ეროვნებათა ლიტერატურის განვითარება უნდა გაჰყვეს იმ გზას, რომელიც გაჭკაფა მაქსიმ გორკიმ, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე.

გაუმარჯოს მუშათა კლასს, რომელმაც მოგვცა და აღზარდა მაქსიმ გორკი. (მქუხარე ტაში).

### ამხ. სოლომონ დოლიძის სიტყვა

ამხანაგებო, მე წილად მხვდა ბედნიერება თბილისის საბჭოს სახელით მივესალმო ჩვენს უდიდეს მწერალს მაქსიმ გორკის. თბილისის მუშებს შორის გორკი პირველად არ არის. მან აქ დაიწყო თავისი სამწერლო მოღვაწეობა, რომელიც შემდეგ გაიშალა და პროლეტარიატის მწერლად აქცია იგი. დღეს, როცა გამარჯვებული მშრომელი ხალხი ეწევა თავის მრავალფეროვან ნაყოფიერ მუშაობას, განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელია მისი სტუმრობა. რამოდენიმე ათეული წლის წინათ იგი, როგორც მწერალი მარტო იყო. ეხლა მას გვერდს უმშვენებს მრავალი მუშა-მწერლები, რომელნიც აღზრდილნი არიან მის დიად ნაწერებზე. გაუმარჯოს მაქსიმ გორკის მშრომელი ხალხის საუკეთესო მწერალს და მის ცხოვრების უბადლო გამომხატველს.

### ამხ. თოდრიას სიტყვა

როდესაც ცხოვრება დამყაყებული და ქვეყანა რეაქციის წყვდიადით მოცული იყო, გაისმა გორკის ძლიერი ხმა, რომელმაც ქარიშხლის ამოვარდნა იწინასწარმეტყველა. იმ დროს, როცა ადამიანის პიროვნება შელახული იყო, გაისმა მისი ძლიერი იმღერა, რომელმაც ადამიანს აგრძნობინა, რომ ადამიანი ამ ცხოვრებაში ყველაფერია. გორკი ჭირში მუდამ ჩაგრულ ხალხთან იყო იგი მასთანაა დღეს ლხინშიაც, როცა მშრომელი ხალხი თავის გამარჯვებას ზეიმობს. გორკი ჩვენ გვასწავლის ახალი ცხოვრების შენებას. ჩვენ მივყვებით მის კვალს, რომელიც საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანს!

### პოეტ ს. აბაშელის სიტყვა

საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს სახელით მწერალს ესალმება პოეტი ს. აბაშელი, რომელიც ამბობს შემდეგს: „ქართული მწერლობა განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა უდიდეს მწერალს თბილისში ჩამოსვლას. მის სიტყვას განსაკუთრებული გულისყურით უსმენს ყოველი ქართველი მწერალი განურჩევლად მიმდინარეობისა. მას, როგორც უნიჭიერეს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, შეუძლია უჩვენოს გზა ქართველ მწერლებს, რომელთაც გულწრფელად სურთ გახდენ ახალი ცხოვრების მშენებლები, ნიშნად მისდამი ულრმესი პატივისცემისა, საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭო მას ირჩევს, საბჭოს საპატიო წევრათ.

### ივანე გომართელის სიტყვა

ქართველი ინტელიგენციის სახელით მწერალს მიესალმა ექ. ივანე გომართელი. რომელმაც მოკლედ დაახასიათა მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა — გორკი,— განაცხადა მან — თავის ნაწერებით ყოველთვის გამოდიოდა ჩაგრული კლასების, ჩაგრული ერების ქომაგად. წარსულში ერთი ჩაგრული ერთაგანი იყო ქართველი ერი. გორკი მისი ერთი საუკეთესო ქომაგიც იყო. უცხო მწერალთა შორის ქართველ ერს არა ჰყავს გორკიზე უფრო უსაყვარლესი და ძვირფასი მწერალი. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი მუშაობა.

### მაქსიმ გორკის სიტყვა

მქუხარე ტაში მცხოვან მწერალს დიდხანს საშუალებას არ აძლევს დაიწყოს თავისი სიტყვა.

— მართალი სთქვა — ამხ. ელიავამ ამბობს, —იგი, რომ მე ბედნიერი კაცი ვარ. დიახ მე ბედნიერად ვთვლი თავს. რადგან მე ცხოვრებამ ამისრულა ყველაფერი, რაზედაც მუდამ ვოცნებობდი. მე რომ კრიტიკოსი ვყოფილიყო დავსწერდი წიგნს მაქსიმ გორკიზე, სადაც ვიტყოდი, რომ ალექსი პეშკოვი მაქსიმ გორკით გახადა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ მან სიყრმიდანვე შეიგნო შრომის უდიდესი მნიშვნელობა, მხოლოდ ეს არის ჩემი ღვაწლი, არა მართალი, თითქოს მე ბუნებისაგან განსაკუთრებული ნიჭით ვიყო დაჯილდოვებული. ცხოვრებამ, ყოველგვარ წიგნებს გარეშე, მე დამარწმუნა, რომ ბუნება ადამიანისათვის უფრო მტერია ვიდრე მწყალობელი. ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს ბრძოლას ბუნების დასამორჩილებლად. ადამიანს სამტროდ უპირდაპირდება არა მარტო ბუნება, არამედ სოციალური ცხოვრებაც, რომლის გარდასაქმნელად და გასაუმჯობესებლად იგი ეწევა ისეთივე ბრძოლას, როგორც ბუნების წინააღმდეგ. ადამიანი არის შემოქმედი მეორე ბუნების, ახალი სოციალური ურთიერთობის. მე გამონაკლისს არ წარმოვადგენ დანარჩენ ადამიანთა შორის და არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭით ვარ დაჯილდოვებული. ასეთი ათასობით და ათიათასობით მიიპოვებიან თქვენს შორის. წინანდელ პეშკოვთან შედარებით თქვენ ერთი უპირატესობა გაქვთ — ის, რომ დღეს თქვენ თავისუფალი ადამიანები ხართ და საშუალება გაქვთ, უფრო მეტი ნაყოფი გამოაღებინოთ თქვენს ბრძოლას, ეს ასეც არის. სულ ცოტა ხანში თქვენ უდიდეს შედეგს მიაღწევთ. თქვენ ამას ვერ გრძნობთ, — ვერ ხედავთ. თქვენ ვერ აფასებთ თქვენს ნამუშევარს; თქვენ ვერ აფასებთ ერთი მეორის და ვერც თავის თავს, თქვენ უნდა შეიგნოთ, თუ რა გაგიკეთებიათ, რას აკეთებთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ისტორია თქვენს მხარეზეა, ის თქვენს საქმეს აკეთებს. ეს თქვენ შეგმატებთ ძალას და გაგითრკეცებთ ნებისყოფას, იყავით მხნედ და დაემყარეთ ერთი მეორეს. — (მქუხარე ტაში).

## თბილისის საბჭოს დადგენილებანი

საბჭო მქუხარე ტაშის-ცემით ამტკიცებს პრეზიდიუმის დადგენილებებს მ. გორკის საბჭოს საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

საბჭოს დადგენილებით მეორე შრომის სკოლას ამიერიდან ეწოდება მაქსიმ გორკის სახელობის სკოლა და კრასნაგორის ქუჩა, სადაც თბილისში პირველად ყოფნის დროს ცხოვრობდა ახალგაზრდა პეშკოვი, ამიერიდან ეწოდება მაქსიმ გორკის ქუჩა.

ამხ. თოდრიას ცნობის თანახმად, შრომის სახალხო კომისარიატი ამხ. მაქსიმ გორკის სახელობაზე აშენებს უმწეო ბავშვთა სახლს სხვადასხვა სახელოსნოებით.

მრავალ რიცხოვანმა აუდიტორიამ მქუხარე ტაშისცემით გააცილა საყვარელი მწერალი.

## მოსკოვის სახალხო ბანკის მუშაობა ლონდონში

მოსკოვი, 27 ივლისი. 25 ივლისს საკავშირო კოოპერატიული ბანკის საბჭოს პლენუმმა მოისმინა მოსკოვის სახელმწიფო ბანკის ლონდონის განყოფილების გამგის ამხ. ზიმბლოუსტერის მოხსენება.

მიუხედავად მუშაობის მეტად არახელსაყრელ პირობებისა, რომელნიც შეიქმნა ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მოსკოვის სახალხო ბანკმა 1928 წლის პირველ ნახევარში მაინც შესძლო გადიდებინა თავისი ოპერაციები როგორც კლიენტებისათვის კრედიტის მიწოდების დარგში, ისე უცხოეთის სახსრების მიზიდვის დარგში. ბანკის ბრუნვა 1928 წლის პირველ მეოთხედში 1927 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 21 პროც. გაიზარდა. განსაკუთრებით დამახასიათებელია უცხოეთის კაპიტალების მიზიდვა. მოსკოვის სახალხო ბანკისათვის გახსნილი კრედიტების რაოდენობა ნახევარი წლის განმავლობაში 13 პროც. გაიზარდა. მათი საერთო თანხა 3.553.000 გირვ. სტერლინგს უდრის; ამასთანავე საბჭოთა თამასუქებით გაცემული წმინდა კრედიტების რაოდენობა ნახევარი წლის განმავლობაში 25 პროც. გაიზარდა და უდრის 1 მილიონ გირ. სტერლინგს. იზრდება ბანკის პარიზის განყოფილების ოპერაციებიც. (ადს)

## კონკურსი საუკეთესო აღმშენებლობაზე

მოსკოვი, 27 ივლისი. საუკეთესო აღმშენებლობის საკავშირო კონკურსის ჩამტარებელი კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა იმ აღმშენებლობათა სია, რომლებიც პირველ რიგში იქნებიან ჩაბმული კონკურსში. სიაში შეტანილია შემდეგ უდიდესი აღმშენებლობანი, ივანოვო - ვოზნესენსკის მელანჟის კომბინატი, აღმშენებლობა „ბელი ბიჩოკ“-ი. შატურის აღმშენებლობა, სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანა დონის როსტოვში, კერჩის მეტალურგიული ქარხანა, გროზნო - ტუაფსეს ნავთსადენი და სხვ. სულ სიაში 50-ზე მეტი აღმშენებლობაა.

# მენშევიკ-ბოლშევიკთა უთანხმოების სათავეებთან *)

## პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის გამო

## პირველიდან მეორე ყრილობამდე

### ბრძოლა „ეკონომისტებთან“.—„ისკრა“-ს დაარსება.—ლენინი და „ეკონომისტები“.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ლენინმა ჯერ კიდევ 1894—95 წელს დაინახა რევიზიონიზმის ნიშნები ზოგიერთ ლეგალური მარქსისტების ნაწერებში. რომ უკანასკნელთა ნაწერებში ადგილი ჰქონებოდა მარქსიზმის ისეთ აშკარა გაყალბებას, როგორსაც ბერნშტეინის რევიზიონიზმში, მაშინ არავითარი შორსმჭვრეტელობა არ იქნებოდა საჭირო ამის დასანახად.

მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენელთა ანტიმარქსისტულ გადახრებს მაშინ არ ჰქონდა გარკვეული ხასიათი. „ლეგალურ მარქსისტებს“ გულწრფელად სჯეროდათ, რომ ისინი იყვნენ ჭეშმარიტი მარქსისტები. „ვაღიაროთ ჩვენი უკულტურობა და ვისწავლოთ კაპიტალიზმისაგან“, — ამგვარი დებულებები ლეგალური მარქსისტების ნაწერებში იმ ხანებში წარმოადგენდა მათი კლასობრივი ბუნების უფრო შეუგნებელ გამოვლინებას, ვინემ შეგნებულ რევიზიონისტულ იერიშებს. უკანასკნელი ე. ი. ეს შეგნებული იერიშები დაიწყო უფრო გვიან. მაგრამ მაშინაც, როცა ძნელი იყო იმის თქმა — შემთხვევითი შეცდომაა, მაგ. პ. სტრუვეს ზოგიერთი გადახრები თუ გარკვეული მიმართულების მაჩვენებელი, ლენინმა კატეგორიულად საჭიროდ აღიარა ან ლიკვიდაცია ამ შეცდომების ან სააშკარაოზე გამოყვანა ნილაბმოფარებული ოპორტიუნიზმის. თავის წიგნში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა პ. სტრუვეს წიგნში“ ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა პ. სტრუვეს ყალბი მარქსისტული დებულებები. შემდეგში, როცა ოპორტიუნიზმმა „ეკონომიზმის“ სახით მტკიცე ფესვები გაიდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, ლენინმა შემდეგნაირად დაასაბუთა ყოველგვარ გადახრებთან სასტიკი ბრძოლის აუცილებლობა:

„...... ჩვენი პარტია მხოლოდ ახლა ეწყობა, მხოლოდ ახლა არკვევს თავის ფიზიონომიას და ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ანგარიში სხვა რევოლიუციონური აზროვნების მიმართულებებთან... ასეთ პირობებში პირველი შეხედვით „უმნიშვნელო“ შეცდომას შეუძლია გამოიწვიოს მეტად სამწუხარო შედეგები, და მხოლოდ ბეცს ხალხს შეუძლია უდროოდ და ზედმეტად აღიაროს ფრაქციული დავა და აზრთა სხვადასხვაობის (ОТТЕНКИ) გარკვევით გარჩევა. ამა თუ იმ სხვადასხვაობის განმტკიცებაზე შეიძლება იქნეს დამოკიდებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განვითარება მრავალი წლით *).

ზემოთ ჩვენ გავეცანით, თუ როგორის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ლენინი რუსეთის „ლეგალური მარქსიზმის“ ყველა ნაბიჯს და როგორი აღშფოთებით აღსავსე პროტესტით უპასუხა მან „კრედო“-ზე — მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ლიკვიდაციის ცდაზე. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოთხმოცდაათიანი წლების ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა ხელს უწყობდა „ეკონომიზმის“ იდეების გავრცელებას მუშათა მასებში. ბაზრის ფართო მოთხოვნილება არახელსაყრელად ხდიდა მრეწველებისათვის მუშაობის შეჩერებას თუ გინდ უმნიშვნელო დროის განმავლობაში და ამიტომ მუშები შედარებით იოლად აღწევდნენ „კაპეიკის მომატებას მანეთზე“. მთელი ოთხმოცდაათიანი წლების ეპოქა ხასიათდება საგაფიცვო მოძრაობის ფართე განვითარებით. ეს საგაფიცვო მოძრაობა წმინდა ეკონომიური ხასიათის იყო და მუშათა კლასმა შესძლო მთელ რიგ გაუმჯობესებათა მიღწევა.

თუ „ეკონომისტები“ მაშინდელ ხელსაყრელ ეკონომიურ კონიუნქტურას თვლიდენ მარად მოვლენად და ბერნშტეინის მსგავსად აცხადებდენ, რომ რახან კაპიტალიზმი აყვავების ხანას განიცდის და მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება, პროლეტარიატისათვის არ არის საჭირო პოლიტიკური ბრძოლაო, ლენინი წინასწარმეტყველობდა, რომ ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა არის დროებითი მოვლენა, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ეკონომიური კრიზისი და მუშათა კლასს შესაფერი შეგნება უნდა ჩაუნერგოთო.

ჯერ კიდევ 1897 წ. ბროშურაში: „რუსეთის სოციალ - დემოკრატების ამოცანები“ ლენინი სწერდა:

„ამჟამად, როგორც ჩანს, ჩვენ განვიცდით კაპიტალური ციკლის (ბრუნვას, ერთი და იმავე მოვლენების განმეორებას, როგორადაც მეორდება ზამთარ - ზაფხული) იმ პერიოდს, როცა მრეწველობა „ყვავის“, ვაჭრობა წარმატებით მიმდინარეობს, ფაბრიკები გამალებით მუშაობენ, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ ჩნდება აურაცხელი ახალი ქარხნები, წარმოებები, სააქციო საზოგადოებები, რკინისგზები და სხვადასხვა. საჭირო არ არის გულთმისანი იყო, რომ იწინასწარმეტყველო აუცილებლობა კრახის (ცოტათ თუ ბევრათ სწრაფის), რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ „აყვავებას“. ასეთი კრახი გააკოტრებს აურაცხელ წვრილ მრეწველებს, აურაცხელ მუშებს ისვრის უმუშევართა რიგებში“..

1900 წელს ამ კრიზისის ნიშნებმა აშკარად იჩინა თავი და ერთბაშად გამოიწვია ღრმა გარდატეხა მუშათა კლასისა და მოწინავე ინტელიგენციის განწყობილებაში.

დაქსაქსული პროლეტარიატისათვის, რომელმაც „ეკონომიზმის“ წყალობით არ შექმნა და ვერ შექმნა თავისი მძლავრი კლასობრივი ორგანიზაციები, მრეწველობის კრიზისის პირობებში გაფიცვა უკვე აღარ წარმოადგენდა ხელსაყრელ იარაღს. იმ დროს, როცა წარმოება მცირდებოდა და იზრდებოდა უმუშევართა არმია, მუშებს ვერ ექნებოდა იმედი, რომ მათი გაფიცვა გამარჯვებით დასრულდება. მეორე მხრივ ეკონომიურმა კრიზისმა შეარყია სახელმწიფოებ[illegible]მარეობა და გამოიწვია იმ საგადასახადო ტვირთის გაძლიერება, რომელიც სოფელს აწვა.

ვ. ი. ლენინი 1901 წ.

იმ მიზნით, რომ ჩაექრო ღრმა ეკონომიური კრიზისის ნიადაგზე მოსახლეობის ფართე მასებში წარმოშობილი უკმაყოფილება, მეფის მთავრობამ გააძლიერა პოლიტიკური ტერორი, რასაც მოჰყვა საპასუხო რევოლიუციონური ტალღა.

სწორედ ამ პერიოდში ლენინი ამხანაგებთან (მარტოვი, პოტრესოვი და სხვ.) ერთად ბრუნდება გადასახლებიდან და მაშინათვე აყენებს პოლიტიკური ცენტრის აღდგენის საკითხს [illegible] იმ იდეური არევ - დარევის გამო, რომელიც მაშინ სუფევდა სოციალ - დემოკრატიის რიგებში, ეს შეუძლებელი ამოცანა შეიქნა.

მაშინ ლენინმა განიზრახა პოლიტიკური გაზეთის გამოცემა საზღვარ-გარეთ (ასეთი გაზეთის გამოცემის იდეა ლენინს ჯერ კიდევ გადასახლების დროს დაებადა.) — ახალ გაზეთს, ლენინის აზრით, უნდა ეთამაშა ყველა რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატების დამრაზმველის როლი და ხელი შეეწყო ოპორტიუნიზმის ლიკვიდაციისათვის სოციალ - დემოკრატიის რიგებში.

1900 წ. მაისში პსკოვში გამართულ არალეგალურ თათბირზე გადაწყდა ასეთი გაზეთის გამოცემა უცხოეთში. საგულისხმო ის არის, რომ ამ თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ სტრუვე და ტუგან - ბარანოვსკიც, რომლებიც იმ ხანებში თუმცა უკვე შორდებოდნენ მარქსიზმის პოზიციებს, მაგრამ იზიარებდენ საერთო რუსეთის პოლიტიკური გაზეთის გამოშვების იდეას.

თათბირის შემდეგ ლენინი პოტრესოვთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ და გაზეთის გამოცემის შესახებ მოლაპარაკებას მართავს „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან“, რომელსაც უკვე გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი „ეკონომისტებთან“ და გამოსული იყო „რუსეთის სოციალ - დემოკრატების კავშირიდან“ *).

„შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრები თუმცა სწორად აღიარებდნენ ლენინის პოზიციას „ეკონომისტების“ მიმართ, მაგრამ რუსეთის მუშათა მოძრაობისგან მოწყვეტილებს, საეჭვოდ მიაჩნდათ ასეთი გაზეთის გამოშვების საჭიროება. როცა ლენინმა დაინახა „მოხუცების“ ასეთი დამოკიდებულება, გადასწყვიტა გაზეთის გამოცემა მოეწყო არა ჟენევაში, სადაც „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ იმყოფებოდა, არამედ მიუნხენში. ამხ. პ. ლეპეშინსკის სიტყვით „ეს იყო არა მარტო ტერიტორიალური განცალკევება, არამედ ორგანიზაციულიც: „ისკრა“-ს ჯგუფი არ შეუერთდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფს“, და ორივე ისინი განაგრძობდნენ დამოუკიდებლად არსებობას, ვინაიდან შესაძლებელი იყო იდეური უთანხმოების წარმოშობა მათ შორის და, შესაძლოა —კავშირის გაწყვეტაც *).

ეს ასეც მოხდა შემდეგში.

ასე იშვა „ისკრა“, რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიის პირველი ორგანო, რომელმაც ნათლად და გარკვევით წამოაყენა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული ამოცანები, განსაზღვრა მუშათა მოძრაობის განვითარების გზები და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ოპორტიუნიზმს.

თუ რამდენად ძლიერი იყო სკეპტიკური დამოკიდებულება ლენინის მიერ დაწყებული საქმისადმი „შრომის განთავისუფლების ჯგუფში“, ამას ამტკიცებს თუგინდ ის გარემოება, რომ „ისკრა“-ს პირველ ნომერში ჩვენ ვერ ვხვდებით პლეხანოვის წერილს. ლენინი კი გვიამბობს, რომ როცა მას პლეხანოვისა და ზასულიჩისათვის მიუტანია „ისკრა“-ს პირველი ნომერი, „პლეხანოვი და ზასულიჩი კითხულობდენ და ზასულიჩი ამბობდა: „სულელია თქვენი „ნაპერწკალი“, („ისკრა“) არავითარი ალი მისგან არ აინთება**). მათ იმედი არ ჰქონდათ, რომ აქედან რამე გამოვიდოდა***).

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ და კერძოდ პლეხანოვი უარყოფდნენ „ეკონომიზმთან“ ბრძოლის საჭიროებას. ისინი საჭიროდ თვლიდენ ამ ბრძოლას, მაგრამ ამისთვის, მათის აზრით, საჭირო იყო არა წმინდა პოლიტიკური გაზეთი, არამედ მარქსისტული სამეცნიერო ჟურნალი. პლეხანოვი მხარს უჭერდა უფრო „აკადემიურ“ ბრძოლას. ამ მხრივ იგი ლენინის დიამეტრიალურ წინააღმდეგობას წარმოადგენდა.

ასეა თუ ისე, მიუხედავათ „მოხუცების“ სკეპტიციზმისა „ისკრა“-მ დაიწყო გამოსვლა. მეორე ნომერში ჩვენ უკვე ვხვდებით პლეხანოვის წერილს. ვერა ზასულიჩმა კი მხოლოდ მეხუთე ნომრისათვის დასძლია თავისი სკეპტიციზმი და „სულელ“ „ისკრა“-ში დაიწყო თანამშრომლობა წერილით „თანამედროვე ამბების შესახებ“.

⁂

რა ამოცანებს ისახავდა „ისკრა“?

ეს ამოცანები ნათლად არის ჩამოყალიბებული „ისკრა“-ს სარედაქციო განცხადებაში.

„....ჩვენი მოძრაობის მთავარი დამახასიათებელი თვისება, რომელიც თვალში გვხვდება უკანასკნელ ხანებში, ეს არის— მისი დაქსაქსულობა, მისი, ასე ვსთქვათ, კუსტარული ხასიათი: ადგილობრივი წრეები არსდებიან და მოქმედებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და (რაც უფრო მნიშვნელოვანია) დამოუკიდებლად იმ წრეებისაგანაც კი, რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ იმავე ცენტრებში; არ მუშავდება ტრადიციები და ადგილობრივი ლიტერატურა მთლიანად გამოხატავს დაქსაქსულობას და კავშირის უქონლობას იმასთან, რაც უკვე შექმნილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ.

ამ დაქსაქსულობის შეუფარდებლობა მოძრაობის ძლიერებითა და ფორმებით გამოწვეულ მოთხოვნილებებთან, ჩვენის აზრით ქმნის მის კრიზისს. თვით მოძრაობაში შეუკავებელი ძალით იჩენს თავს ლტოლვა განმტკიცებისაკენ, გარკვეული ფიზიონომიისა და ორგანიზაციის გამომუშავებისაკენ. ამავე დროს კი, პრაქტიკულად მომქმედ სოციალ-დემოკრატებს მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე გადასვლის საჭიროება ყველგან როდი აქვთ შეგნებული. საკმაოდ ფართე წრეებში, პირიქით, შემჩნეულია აზროვნების მერყეობა, გატაცება მოდაში შემოსულ „მარქსიზმის კრიტიკით“ და „ბერნშტეინიადით“, ე. წ. „ეკონომიური“ მიმართულების შეხედულებების გავრცელება და ამასთან დაკავშირებით ლტოლვა — შეაჩერონ მოძრაობა მის უმდაბლეს სტადიაზე, ლტოლვა — მეორე რიგში მოაქციონ ამოცანა რევოლიუციონური პარტიის შექმნისა, რომელიც ბრძოლას აწარმოებს მთელი ხალხის სათავეში, რომ აზროვნების ამგვარ მერყეობას ადგილი აქვს რუს სოციალ - დემოკრატებს შორის, რომ მთლიანად მოძრაობის თეორიტიულად გაშუქებიდან მოწყვეტილი ვიწრო პრაქტიციზმი მოძრაობას ყალბ გზაზე გადაყვანით ემუქრება, ეს ფაქტია. ამაში ეჭვის შეტანა არ შეუძლია ხალხს, რომელიც უშუალოდ გაცნობილია საქმის ვითარებასთან ჩვენი ორგანიზაციების უმრავლესობაში“.

და შემდეგ:

„....პრაქტიკული დასკვნა აქედან ასეთია: ჩვენ, რუსეთის სოციალ - დემოკრატები, უნდა გავერთიანდეთ და მთელი ღონისძიება მივმართოთ იქითკენ, რომ შევქმნათ მტკიცე პარტია, რომელიც იბრძოლებს რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიის საერთო დროშის ქვეშ“.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 172.

*) ლენინი. ტ. 5 [illegible]

*) კიდევ უფრო ადრე, ვიდრე „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ გამოვიდოდა „კავშირიდან“, ჯგუფმა გამოსცა დოკუმენტების კრებული („Vademecum“—„გზის მაჩვენებელი“), რომელშიც ნათლად იყო გარკვეული, რომ „ეკონომისტების“ მთელ პრაქტიკულ საქმიანობასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. ამავე დროს პლეხანოვმა გამოუშვა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ მიმართული მკაცრი პამფლეტი „ერთხელ კიდევ სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელშიც არკვევდა რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიის ამოცანებს. ასეთ პირობებში აღარაფერი უშლიდა ხელს ლენინის თანამშრომლობას „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან“.

*) იხ. „ისკრა“-ს რევოლიუციის შემდგომი ხელ-ახალი გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. V.

**) „ისკრა“-ს დევიზი იყო „ნაპერწკლიდან ალი დაინთება“, ამ დევიზიდანაც სჩანს, თუ რამდენად ფართე რევოლიუციონურ ამოცანებს ისახავდა ლენინი „ისკრა“-ს გამოცემის დროს. „ნაპერწკლიდან“ („ისკრა“) შემდეგში მართლა აინთო ოქტომბრის რევოლიუციის ალი.

***) გ. ზინოვიევი—„პარტიის ისტორიიდან“.

## IV. რევოლუციის საკითხები კოლონიებსა და ნახევარ კოლონიებში

### ძირითადი ხაზის სისწორე და შეცდომები ამ ხაზის გატარების დროს ჩინეთში

ჩვენი მთავარი ამოცანების ანალიზზე [illegible]ოდე, მინდა შევეხო კოლონიალუ[illegible]ების პრობლემას. მე შევეხე[illegible]ა და ინდოეთს და დავკმაყოფილდე[illegible]ოდ რამდენიმე შენიშვნით, ვინაიდან [illegible]ლემებს ნაწილობრივ შევეხებით პრო[illegible] განხილვის დროსაც, განსაკუთრებით [illegible]იალური საკითხის განხილვის დროს.

[illegible]თის რევოლუციის საკითხების შესახებ პრინციპიალური დისკუსია გვქონდა [illegible]ოპოზიციასთან. აქ ერთხელ კიდევ შევ[illegible]ობა გაკვრით გავაშუქოთ ჩინეთის რევო[illegible]ციის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა. [illegible]ის კომპარტიამ, როგორც ყველამ იცის, დიდი დამარცხება განიცადა. ეს ფაქ[illegible]ადება კითხვა, ეს დამარცხება იმ შემც[illegible]აქტიკასთან ხომ არ არის დაკავშირებუ[illegible]ომელსაც კომინტერნი ატარებდა ჩინე[illegible]ევოლუციაში? შეიძლება, მართლაც, [illegible]შეწყობილი ყოფილიყო ბურჟუაზიასთან [illegible]ქი, შეიძლება აქ იყო მთავარი შეცდომა, [illegible]მაც გამოიწვია სხვა შეცდომები და [illegible]დათანობით მიგვიყვანა ჩინეთის პროლე[illegible]რიატის დამარცხებამდე! ამ საკითხს ჩვენს [illegible]ონგრესზე, ალბად, დაწვრილებით შევეხებით კოლონიალური საკითხის განხილვის დროს ვინაიდან ამ საკითხს მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მისი კრიტიკულად და ძირითადად გაშუქება და განხილვა. მაგრამ ვფიქრობ, და ამას ანალიზიც გვიჩვენებს, რომ შეცდომა ამაში არ მდგომარეობს.

საერთოდ და მთლიანად შეცდომა მდგომარეობს არა ძირითად ტაქტიკურ გეზში, არამედ პოლიტიკურ მოქმედებასა და პრაქტიკულ ხაზში, რომელიც რეალურად ტარდებოდა ჩინეთში. **პირველი:** ჩინეთის რევოლუციის პირველ პერიოდში, გომინდანთან თანამშრომლობის პერიოდში, შეცდომა მდგომარეობდა ჩვენი პარტიის არა საკმაო დამოუკიდებლობაში და გომინდანის არა საკმაო კრიტიკაში ჩვენი პარტიის მხრით. მოკავშირის ნაცვლად ჩვენი პარტია ზოგჯერ გომინდანის დამატებად ხდებოდა. **მეორე:** შეცდომა იყო ის, რომ ჩინეთის კომპარტიამ ვერ გაიგო ობიექტური მდგომარეობის შეცვლა, ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა. ასე, მაგალითად, განსაზღვრული დროის განმავლობაში შეიძლებოდა ნაციონალურ-რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან ერთად სიარული, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე საჭირო იყო მოკლე ხანში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინება. საჭირო იყო მზადება ამისათვის. ყოველგვარი ბლოკის შეკვრის დროს საჭიროა ასეთი ცვლილებების შესაძლებლობის გათვალისწინება და, მაშასადამე, ბრძოლისათვის მზადება. ჩინეთის რევოლუციის ყველა ეტაპის კრიტიკული ანალიზის დროს ვხედავთ, რომ ჩინეთის კომპარტიის ცეკამ და ნაწილობრივ ჩვენმა წარმომადგენელმა ჩინეთში დიდი შეცდომა დაუშვეს. მათ ეს გარდატეხა ვერ გაითვალისწინეს, ვერ დაინახეს და ამიტომ თავის დროზე არ შესცვალეს გეზი, როცა ყოფილი მოკავშირე გადაუტრებულ მტრად გადაიქცა. **მესამე:** ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტია ზოგჯერ მასიური მოძრაობის, აგრარული რევოლუციისა და მუშათა მოძრაობის შემაფერხებელ როლს თამაშობდა. ამ სავალალო შეცდომებმა, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყვეს კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის პროლეტარიატის დამარცხებას. მთელი რიგი დამარცხების შემდეგ პარტიამ გაასწორა თავისი ოპორტუნისტული შეცდომები და მასთან საკმაოდ გაბედულადაც. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, როგორც ეს ხშირად ხდება, სხვა ამხანაგები მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ: მათ საკმაოდ სერიოზულად ვერ მოამზადეს აჯანყება, გამოიჩინეს პუტჩისტური ტენდენციები და ყველაზე ცუდი ავანტიურიზმი. კომინტერნის მე-9 პლენუმმა შესცვალა ჩინეთის კომპარტიის ტაქტიკა, მაგრამ სხვა მიმართულებით, ვიდრე დასავლეთ ევროპის პარტიებში.

თუ ისეთ ტერმინებს ვიხმართ, როგორიცაა „მემარჯვენე", „მემარცხენე" და სხვა შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთსა და ინგლისში მოხდა „მარცხნივ" გადახრა, ხოლო ჩინეთში „მარჯვნივ". მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მე არ მომწონს ასეთი ტერმინოლოგია. იგი შესაფერისი არ არის და არაფერს არ განმარტავს. ანალიზმა, უნდა გამოაშკარავოს არა ტაქტიკის „მემარჯვენე" ან „მემარცხენე" ხასიათი, არამედ მისი სისწორე ან შეცდომა ობიექტურ მდგომარეობასთან შეფარდება ან შეუფარდებლობა.

### რევოლუციის ტალღის გაძლიერება ჩინეთში აუცილებელია

ჩინეთის რევოლუციის მიმდინარე მომენტს ჩვენ ვაფასებთ როგორც იმ დიდი პერიოდის დამთავრებას, როცა აზვირთებული იყვნენ რევოლუციის ტალღები, და როგორც იმ პერიოდის დასაწყისს, როცა მთავარი ამოცანა იქნება მასების გაერთიანება, ძალების დაგროვება და მზადება ახალი დიდი რევოლუციონური ბრძოლისათვის.

ყველა ობიექტური ნიშანი იმას მოწმობს, რომ რევოლუციონური ტალღის გაძლიერება აუცილებელია. წარსული ბრძოლის მთელი გამოცდილება იმას მოწმობს, რომ გიგანტური მასიური მოძრაობის გარეშე შეუძლებელია ჩინეთის რევოლუციის პრობლემის გადაჭრა და რომ არსებობენ ობიექტური წინასწარი პირობები ამ რევოლუციის წარმატებით დასაგვირგვინებლად. მაგრამ ეს ჩვენს წინაშე აყენებს, როგორც ცენტრალურ ამოცანას, მასების გაერთიანების აუცილებლობას, რათა მტერს წავართვათ საშუალება, რომ მან თანდათანობით არ გაანადგუროს ფიზიკურად ჩვენი პროლეტარული არმია. გარდაუვალი აუცილებლობა მოითხოვდა, რომ პარტია დაუყოვნებლივი აჯანყების პოზიციიდან გადასულიყო აჯანყების მასიური მომზადების პოზიციაზე გამარჯვების მაქსიმალური შანსებით. მე ვფიქრობ, მე-9 პლენუმის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ ჩინეთის საკითხის შესახებ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩინეთის კომპარტიის შემდგომ განვითარებას. იმედი მაქვს რომ კონგრესი ამ რეზოლუციის შესაფერ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

### ახალი პროცესები ინდოეთში

სხვა გვარი მდგომარეობაა **ინდოეთში**: იქ სხვანაირი პირობები და ძალთა განწყობილებაა, ვიდრე ჩინეთში, სადაც მთელი პერიოდის განმავლობაში, მრავალი წლის განმავლობაში ბურჟუაზია იარაღით ხელში ებრძოდა იმპერიალისტებს, ეს ფაქტია. სულ სხვა მდგომარეობაა ინდოეთში. ინდოეთის ბურჟუაზიას არ უთამაშია ასეთივე რევოლუციონური როლი ხანგრძლივად. რა თქმა უნდა, ეს არ შეეხება იმ სხვადასხვა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ინდოეთში არსებობენ. მე მხედველობაში მაქვს ბურჟუაზიის მთავარი კადრები, სვარაჯისტების პარტია.

მე არ შემიძლია ინდოეთის ეკონომიური მდგომარეობის ანალიზის მოცემა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ არ ვიზიარებ იმ თვალსაზრისს, ვითომ ინდოეთი აღარ წარმოადგენს კოლონიალურ ქვეყანას, ვითომ ინდოეთში დეკოლონიზაციის პროცესი სწარმოებდეს. ეს ცალმხრივი მტკიცება იქნება. პირიქით, ამ უკანასკნელ დროს, იმპერიალისტების დათმობების პერიოდის შემდეგ, ბრიტანეთის იმპერიალიზმმა გააძლიერა საერთოდ ინდოეთისა და კერძოდ კი ინდოეთის ბურჟუაზიის ჩაგვრა. ეს გარემოება სვარაჯისტების პარტიას აიძულებს კვლავ გაუწიოს წინააღმდეგობა ბრიტანეთის იმპერიალიზმს. იგი უწევს კიდეც წინააღმდეგობას, მაგრამ შეიარაღებულ ბრძოლამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია. მასების პირველ გამოსვლისთანავე სვარაჯისტების პარტია ფრონტს იცვლის და იგი შეუთანხმდება ინგლისის იმპერიალიზმს. მე მხედველობაში მაქვს მასების ისეთი გამოსვლა, როცა ისინი საკუთარ რადიკალურ ლოზუნგებს გადაისვრიან, ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, მიწის კონფისკაციის ლოზუნგი, ან მუშათა ინტერესების დაცვის რადიკალური ლოზუნგები. მე ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მასები გამოვლენ დამოუკიდებლად ცოტად თუ ბევრად რევოლუციონური ლოზუნგებით, სვარაჯისტული ბურჟუაზია ძალიან მალე წავა დათმობაზე და შეუთანხმდება ბრიტანეთის იმპერიალიზმს. ამჟამად კი იგი წინააღმდეგობას უწევს ამ იმპერიალიზმს. ზოგიერთ მომენტში მას შეუძლია ითამაშოს ობიექტურად რევოლუციონური როლი, მაგრამ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რევოლუციონური როლი შეასრულოს. ეჭვს გარეშეა,—და ამას ხაზი უნდა გაესვას,—რომ ბურჟუაზია მასიური მოძრაობის დაწყებისთანავე გადაბარგდება კონტრ-რევოლუციის ბანაკში. კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე უნდა გამოააშკარავოს ბურჟუაზიის ორპირობა და გადაისროლოს რადიკალური ლოზუნგები, თავიდანვე უნდა გამოვიდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ და თვალი ადევნოს მუშათა მასებს ინდოეთის სვარაჯისტული ბურჟუაზიის შემდგომ მოქმედებაზე. ტაქტიკის მექანიკურად გადატანა ჩინეთიდან ინდოეთში მეტად სახიფათოა. აქ საჭიროა სპეციალური ანალიზი, განსაკუთრებული ტაქტიკა, შემუშავებული ინდოეთის თავისებური პირობების მიხედვით.

## V. ჩვენი ძირითადი ამოცანები და ჩვენი დეფექტები

### საჭიროა მეტი ინტერნაციონალისტობა!

ამხანაგებო! გადავდივარ **ჩვენი ძირითადი ამოცანების და ჩვენი დეფექტების** საკითხზე. იმ მსოფლიო სიტუაციის ანალიზიდან, რომელიც მე ზემოდ გავაკეთე, გამომდინარეობენ გარკვეული დასკვნები ჩვენი ძირითადი ორიენტაციის შესახებ ტაქტიკურ პრობლემათა დარგში. უწინარეს ყოვლისა შევჩერდები ჩვენი მოძრაობის **ინტერნაციონალისტობის** საკითხზე. თავის თავად ცხადია, რომ დღევანდელ პერიოდში, როდესაც კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში სდგას დიდი პოლიტიკური საკითხები, როდესაც **სამხედრო პრობლემა ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს**, კომუნისტური ინტერნაციონალის მოქმედების ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს საკითხი საერთაშორისო აღზრდის შესახებ და კომუნისტური პარტიების ამასთან დაკავშირებული ყველა სხვა ამოცანა. თუ ჩვენ პარტიულ მოქმედებას ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ რომ, ჩვენი კომუნისტური პარტიების შედარებითი მცირე რიცხოვანების მიუხედავად, ჩვენ, ეჭვს გარეშეა, მივაღწიეთ დიდ წარმატებას კომპარტიების ბოლშევიზაციის საქმეში. ბევრი რამ შევიძინეთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი გავლენის ზრდა, იდეოლოგიურად კომუნიზმისათვის დავიპყარით ახალი ტერიტორიები და სხვა. მიუხედავად ამისა, კომპარტიების ინტერნაციონალისტობის დონე ჯერ კიდევ დაბალია იმ ამოცანებთან შედარებით რომელიც სდგანან კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი სექციების წინაშე. ამ უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გამოაშკარავა ეს ნაკლი, და მე ვფიქრობ, ჩვენი მოვალეობაა აშკარად ვილაპარაკოთ ამის შესახებ ამასთან ერთად ამ ფაქტის აშკარად აღიარება, წარმოადგენს ამ ნაკლის აღმოფხვრის მთავარ პირობას.

ინგლისის გაფიცვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ—ეს შეტანილია კომუნისტური ინტერნაციონალის გაფართოებული პლენუმების რეზოლუციებშიაც,—რომ ბევრმა პარტიამ საკმაოდ ვერ დაუჭირა მხარი ინგლისის მუშათა კლასს. ზოგიერთი პარტიის და, უწინარეს ყოვლისა, სსკ. კ. პ. (ბ) გარდა, ყველა სხვა პარტია მეტად მცირე დახმარებას უწევდა ინგლისის პროლეტარიატს.

თითქმის ესევე მოხდა ჩინეთის ამბების დროს. ჩინეთის რევოლუციის დაცვის საერთაშორისო კამპანიის მასშტაბით ნაკლებად შეეფერებოდა ამ პერიოდის ობიექტურ მოთხოვნილებებს და პარტიების რევოლუციონურ მოვალეობას. ჩინეთის რევოლუციისადმი ინტერესებმაც ვერ ჰპოვა საკმაო გამოხატულება. რაც შეეხება პრესას, არც ის შეიცავდა საკმაო ინფორმაციას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბოლშევიზაციის, ჩინეთში მუშურ-გლეხური მოძრაობის ბოლშევიზაციის შესახებ. არ ჰქონია ადგილი ცოტად თუ ბევრად ღრმა და სისტემატიურ მუშაობას ამ დარგში, არ ჩატარებულა ფართო პოლიტიკური კამპანია სათანადო მასშტაბით. იყო სხვადასხვა ცდა ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ არ ჩატარებულა მტკიცე სისტემატიური მუშაობა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ პარტიები დიდ კამპანიების პერიოდში ყოველთვის ვერ იდგენ სათანადო სიმაღლეზე.

### საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რევოლუციის დასაცავად

ავიღოთ შემდეგ ისეთი საკითხი, როგორიცა არის ფაშიზმი. აქ მე, ვგულისხმობ არა მარტო იტალიის ფაშიზმს,—მე ამ საკითხს ცოტა უფრო ფართოდ ვსვამ, ე. ი. მე ვეხები ფაშიზმს იტალიაში, პოლონეთში და ფაშიზმს საზოგადოდ. კომპარტიების ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, ყურადღება ამ საკითხისადმი სრულებითაც არ იყო საკმაოდ ინტენსიური.

ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო შეერთებული შტატების შეტევა ნიკარაგუაზე, არ გამოიწვიეს საკმაო რეაქცია უწინარეს ყოვლისა ამერიკული პარტიის მხრივ. თუ ძმურმა ამერიკულმა პარტიამ, რომლისთვისაც ეს საკითხი **ცენტრალური** უნდა იყოს მთელ მის მუშაობაში, ვერ შესძლო გადაეშალა სათანადო კამპანია, ეს არა ნაკლებად შეეხება სხვა პარტიებსაც. ნიკარაგუა შორსაა ევროპიდან მაგრამ გეოგრაფიული პირობები არ უნდა თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს კომუნისტური პარტიების მუშაობაში. ამ შემთხვევაში ზოგიერთ პარტიას, როგორც მცირე, ისე დიდ პარტიას, განსაკუთრებით ევროპაში, კიდევ ემჩნევა **პროვინციალიზმის** ერთგვარი ნაშთი; მათ საკმაოდ არ ესმით დიდი საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელობა: თუ ჩვენ ნამდვილად გვმართებს სერიოზული მომზადება ისეთი მსოფლიო-ისტორიული ამბებისათვის, როგორიცაა მომავალი ომი, მაშინ ჩვენ დღევანდელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დიდი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს—წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებთ ომისათვის სერიოზულ მომზადებას. თავის თავად ცხადია, რომ ამ კამპანიის კარგად ჩატარებისათვის, მისი სათანადო ენერგიით გადასაშლელად, ჩვენ უნდა შევუთანხმოთ დიდი ინტერნაციონალური პოლიტიკის საკითხები, ყოველდღიური ცხოვრებისა და რევოლუციონური მუშაობის საკითხებს სათანადო ქვეყნებში. აქ ისევ დგება ომის პრობლემა. თითქმის ყველა შინაგან პარტიულ საკითხს, მათ შორის მუშათა მოძრაობის საკითხსაც ყოველ ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს ამ პრობლემამდე მივყავართ. კაპიტალის შეტევა დაკავშირებულია ბურჟუაზიის მომზადებასთან ომისათვის და გამოწვეულია თავის პოზიციებზე გამაგრებისა, სამოქალაქო მშვიდობიანობის დამყარებისა და მუშების წინააღ[illegible] მაგ[illegible] გარანტიების შექმნის აუცილებლობი[illegible] ვინაი[illegible] მოთხოვნილებით. საზოგადოდ, ეს მეტად ხაზ[illegible] რი პრობლემაა. საჭიროა დავუწყოთ [illegible] ლი ნ[illegible]ლიური საკითხებიდან და იმავე დროს [illegible] რი აქვთ ისინი ჩვენი უფრო ზოგადი ლოზუ[illegible] ლია. [illegible] და ამოცანების შემდგომ განვითარებ[illegible] უფრო ძლიერ. ეს წარმოადგენს განსაზღვრუ[illegible] ნაბიჯ ლიტიკურ-ტაქტიკურ ხელოვნებას. მა[illegible] ეს არის არგუმენტაცია დიდი პოლიტიკური საკითხების დაყენების სასარგებლოდ, სწორედ ამაში მდგომარეობს ბოლშევიკური მთავრობის ხელოვნება: დაიწყოს წვრილმანებიდან და წინ წამოაყენოს დიდი საკითხები. თუ ვერ შევსძლებთ ამ ხელოვნების შეთვისებას, თუ ვერ გავსცემთ სათანადო პასუხს დიდ ინტერნაციონალურ საკითხებზე, ეს მომასწავებელი იქნება იმისა, რომ ჩვენ ვერ ჩავატარებთ სისტემატიურ მუშაობას ომთან ბრძოლის მოსამზადებლად. საჭიროა ეს შევიგნოთ და შევიტანოთ ჩვენს რეზოლუციაში. ომის საკითხი, რევოლუციის დაცვის საკითხი საბჭოთა კავშირში და ჩინეთში,—ამ საკითხებს ცენტრალური, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. სისტემატიური მუშაობა ამ მიმართულებით წარმოადგენს ცენტრალურ ამოცანას ყველა პარტიისათვის, კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციისათვის თავის ქვეყანაში.

საკითხი კომპარტიების საერთო ხაზის შესახებ არის კაპიტალიზმის დღევანდელი ფორმებისადმი და კაპიტალისტურ სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულების საკითხი და ამ დარგში პატარა საკითხები შეუმჩნევლად იზრდებიან დიდ პოლიტიკურ პრობლემებად. თუ ჩვენ ავიღებთ, მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ტაქტიკურ ორიენტაციას,—ამას მე უკვე შევეხე გაკვრით,—ჩვენ ვნახავთ აქ სრულიად თანამიმდევარ ხაზს. ეს არის ხაზი კაპიტალისტთა ორგანიზაციებთან გაერთიანებისა. იგი ცალკე ფაბრიკიდან ერთა ლიგამდე მიდის. სოციალ-დემოკრატები იწვევენ „სამრეწველო მშვიდობიანობისა" და შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის ეგრეთ წოდებული „ამერიკული" მეთოდის პროპაგანდას. ასეთია დღევანდელი სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ხაზი. ეს ძირითადი კურსი პოულობს თავის გამოხატულებას საგარეო პოლიტიკის დარგშიაც. მაგრამ მასვე ვხედებით შინაური პოლიტიკის საკითხებშიაც, სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხშიც, კოალიციის საკითხშიც, ეგრეთ წოდებულ „დამქირავებელთა" ორგანიზაციებთან, ე. ი. **სატრესტო კაპიტალის** მაგნატებთან ურთიერთობის საკითხშიც. სოციალ-დემოკრატიული ლოზუნგი არის ლოზუნგი გაერთიანებისა სატრესტო კაპიტალთან. სოც.-დემოკრატებისთვის კლასობრივი ბრძოლის საკითხი აღარ არსებობს. ეკონომიურ დარგში ისინი მიდიან გაფიცვებისა და ეკონომიური ბრძოლის წინააღმდეგ, მათ ნაცვლად ქადაგებენ სამრეწველო მშვიდობიანობას. გაფიცვების გამწვავების ნაცვლად—იძულებით არბიტრაჟს. მუშათა ორგანიზაციების დამოუკიდებლობის თუ დამოკიდებულების საკითხი შეიცვალა ამ მუშათა ორგანიზაციების კაპიტალისტებთან თანამშრომლობის საკითხად. ეს მთლიანი ტაქტიკური სისტემაა. მუშათა ორგანიზაციებმა, რეფორმიზმის თვალსაზრისით, უნდა დაჰკარგონ თავიანთი კლასობრივი დამოუკიდებლობა. კლასობრივი ბრძო- და „მოძველდა" ამ ვაჟბატონების აზრით. სოციალ-დემოკრატიას ხაზი მუშათა რეფორმისტული ორგანიზაციების მონოპოლიური კაპიტალისა და მონოპოლიურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციებთან შეზრდის ხაზია. მთელი ფრონტის სიგრძეზე ვხედავთ ჩვენ სოციალ-დემოკრატიის მიერ ამ თანამშრომლობით გატარებულ ტაქტიკას.



კავშირების სახლი, სადაც მიმდინარეობს კონგრესი

### მთლიანი ფრონტის ტაქტიკა—მხოლოდ ქვემოდან

როგორია **ჩვენი** ტაქტიკური ორიენტაცია? ჩვენი ტაქტიკური ორიენტაცია ყველა ამ საკითხში პირდაპირ საწინააღმდეგოა. ეს მთლიანად **ანტაგონისტური** ორიენტაციაა სოციალ-დემოკრატების მიმართ. არა სამრეწველო მშვიდობიანობა, არამედ კლასობრივი ბრძოლა, არა არბიტრაჟი, არამედ ბრძოლა იძულებითი არბიტრაჟის წინააღმდეგ. ბრძოლა ყველა იმ ბორკილების წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავენ კაპიტალისტური ორგანიზაციები ან კაპიტალისტური სახელმწიფო ბრძოლა საგაფიცვო მოძრაობის შებოჭვის წინააღმდეგ და სხვ. აი ჩვენი ძირითადი ტაქტიკური ორიენტაცია, ჩვენ ამ საკითხებზე უწინაც ბევრჯერ ვიმსჯელეთ და პასუხი მათზე ჩემის აზრით, სრულიად ნათელია. უკანასკნელი დასკვნა ამ ტაქტიკური ხაზიდან არის კურსის აღება ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელისუფლების აფეთქებისაკენ, რევოლუციისაკენ. ეს ჩვენი ხაზი სრულიადაც არ ნიშნავს მთლიანი ფრონტის ტაქტიკის უარყოფას. მაგრამ, ჩვენ ბრძოლასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, ჩვენ უნდა შევიტანოთ ბრძოლაში შემდეგი ცვლილება მთლიანი ფრონტის ტაქტიკა ამჟამად უნდა ვაწარმოოთ მეტ წილად მხოლოდ **ქვევიდან** არავითარი აპელაცია სოციალ-დემოკრატიული ცენტრებისადმი,—მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ არის დასაშვები. აპელაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცალკე ადგილობრივ ორგანიზაციისადმი. მაგრამ საფუძვლათ კი მიღებულ უნდა იქნეს აპელიაცია სოც.-დემოკრატიულ მასებისადმი, უბრალო სოციალ-დემოკრატიულ მუშებისადმი.

მთლიანი ფრონტის ტაქტიკა მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი სისტემატიური მუშაობის საკითხებთან.

### პროფკავშირებში მუშაობა—უმნიშვნელოვანესი პრობლემაა

აქ საქმე ამა თუ იმ კამპანიის დროს გამოშვებით წარმოებაში როდია—ყველა ეს ტაქტიკური საკითხები უწინარეს ყოვლისა სწორედ სისტემატიური მუშაობის საკითხებს წარმოადგენენ. ყველა იცნობს კომუნისტური ინტერნაციონალის მრავალრიცხოვან რეზოლუციებში აღნიშნულ თეზისს, რომ ამ დარგში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს **პროფკავშირებში** მუშაობა. დღემდე პარტიებს ამ დარგში ბევრი ნაკლი ჰქონდათ. ამ კონგრესზე ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ პროფკავშირების მუშაობის პრობლემას, ჩვენი პარტიების გამოცდილებას, და შევეცდებით კრიტიკულ-სინდისიერად მოვახდინოთ ამ გამოცდილების ანალიზი და გამოვარკვიოთ—საიდან წარმოსდგება ჩვენი ნაკლი ამ დარგში, თუ ჩვენ გვჭირდება თვითკრიტიკა, მაშინ, მე ვფიქრობ, ცოტა მოიპოვება ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის ფრონტზე ისეთი დარგი, რომელშიაც თვითკრიტიკა თავისი მნიშვნელობითა და აუცილებლობით შეედრებოდეს ამ დარგს—პროფკავშირებში მუშაობას. ჩვენი იდეოლოგიური გავლენა იზრდება პროფკავშირებშიაც, მაგრამ დღემდე ჩვენი ამხანაგები—**პროფმუშაკები** ჯერ-ჯერობით მეტად უმნიშვნელო ავტორიტეტით სარგებლობენ. იზრდება ჩვენი მუშაკების როგორც პოლიტიკური ბელადების, როგორც ფართო პოლიტიკური კამპანიების ინიციატორების, როგორც პროლეტარიატის რევოლუციონური კლასობრივი ფრონტის მონაწილეთა, როგორც პროლეტარიატის დიადი ისტორიული ინტერესების დამცველთა ავტორიტეტი. მაგრამ პროფმუშაკების, როგორც საგაფიცვო მოძრაობის კარგი ხელმძღვანელების სპეციფიური ავტორიტეტი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი არ არის. დისპროპორცია ჩვენი ამხანაგების, როგორც პოლიტიკური ბელადებისა და როგორც პროფ-მუშაკების, ავტორიტეტს შორის მეტად დიდია, და ეს აიხსნება პროფკავშირებში მუშაობის სხვადასხვა დეფექტებით. მე მინდოდა აქ მომეყვანა რამდენიმე ილუსტრაცია. თუ, მაგალითად, ავიღებთ ისეთ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია, დავინახავთ, რომ იქ კომუნისტებმა მრავალი შეცდომა დაუშვეს პროფმოძრაობის დარგში. კომუნისტებსა და პროფკავშირების უპარტიო წევრებს შორის არ არსებობს საკმაოდ სწორი ურთიერთობა, ვინაიდან კომუნისტები ხშირად ბრძანებლობენ და ძალიან მცირეს არწმუნებენ, საკმაოდ სისტემატიურად არ მუშაობენ. ადგილი აქვს სხვა დეფექტებსაც. მეორეს მხრით, არიან პროფმუშაკები, რომლებიც „კარგად" მუშაობენ პროფკავშირებში. მაგრამ ეს მუშაობა პროფკავშირებში თითქმის სოციალ-დემოკრატიული მუშაობაა, ხოლო პროფმუშაობის სპეციფიურ ბოლშევიკურ პრობლემებს, სპეციფიურ კომუნისტურ პრობლემებს ისინი თითქმის სრულიად არ აყენებენ. ასეთ პროფმუშაკს შეიძლება ძალიან კარგი რეპუტაცია ჰქონდეს პროფკავშირების ფართო მასებში, მაგრამ იგი დიდათ მოსაწონი არაა კომუნისტური თვალსაზრისით. როგორც გერმანიაში მომხდარი შემთხვევები მოწმობენ, ზოგიერთი ამხანაგები ისე შეეჩვივნენ მუშაობის სოციალ-დემოკრატიულ მეთოდებს, რომ არ ასრულებდნენ პარტიის დირექტივებს და არჩევნების დროს არ სცემდნენ ჩვენი პარტიის მოწოდებებს და სხ. ისინი ემორჩილებოდნენ საერთო რეფორმისტულ პროფდისციპლინას იმ მიზნით, რომ „კარგ" პროფმუშაკებად დარჩენილიყვნენ. ეს კომუნისტ-პროფმუშაკების არა დამაკმაყოფილებელი მუშაობის მეორე სახეა. არა ერთხელ შეგვიმჩნევია აგრეთვე, რომ ჩვენ პროფმუშაკებს სხვადასხვა ხასიათის საკმაოდ დიდი შეცდომები დაუშვიათ საგაფიცვო მოძრაობის დროსაც,—ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პროფმუშაობის დარგში. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ეგრედწოდებულ **კუდში ჩანჩალს**, ე. ი. ინიციატივის უქონლობას და საგაფიცვო მოძრაობაში **ხელმძღვანელ როლის** განხორციელების მოუხერხებლობას. ყოფილა შემთხვევა, როცა გაფიცვის დროს ჩვენ კუდში მივსდევდით მასას იმის ნაცვლად, რომ მასის ბელადები ვყოფილიყავით. განვლილ პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა გაფიცვები, მაგალითად, საფრანგეთში, ჩვენს გარეშე მიმდინარეობდნენ.

მეორეს მხრით, საგაფიცვო მოძრაობაში ხშირად მივმართავთ ხოლმე რევოლუციონურ ფრაზას, მაგრამ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ გაფიცვასთან დაკავშირებულ კამპანიის სერიოზულ მომზადებას, საკმაოდ არ ვითვალისწინებთ კონიუნქტურას და გაფიცვის ყველა შესაძლებლობას, არ შეგვიძლია მომენტის შერჩევა გაფიცვის გამოსაცხადებლად და მის შესაწყვეტად, არ შეგვიძლია გაფიცვის დახელოვნებული გაძღოლა, და სხ., ამავე დროს ყველა ეს თვისება აბსოლუტურად აუცილებელია სწორედ ამჟამად, ვინაიდან მდგომარეობა გაფიცვების ხელმძღვანელობის დარგში მეტად რთულია. პოტენციალურად თითქმის ყოველ გაფიცვას ცოტად თუ ბევრად აქვს ტენდენცია გადაიქცეს მსხვილ პოლიტიკურ მოვლენად. კარგად გამოანგარიშება,—როგორ უნდა გაუძღვეთ გაფიცვას ასეთ პირობებში, შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კარგად ვიცნობთ კონიუნქტურას და თუ მხედველობაში მივიღებთ მოძრაობის ყველა მხარეს. აქ საჭიროა **არა მარტო** რევოლუციონური ტემპერამენტი,—ესეც საჭიროა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა,—აქ საჭიროა ბრძოლის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების ცოდნა.. არასოდეს საგაფიცვო მოძრაობის საკითხები არ ყოფილა ისე რთული, როგორც დღეს. კერძოდ, ამ რთულ კომპლექსს საფუძვლად უდევს კაპიტალისა და გაერთიანებულ მუშათა კლასის ძალთა განწყობილება. მაგრამ, ამხანაგებო, ამჟამად ისეთი სიტუაციაა, რომ ხშირად ეს სპეციფიური პირობები შეგნებული არა აქვთ. მაგალითად, ტრესტების ხაზით ფაბრიკ-ქარხნების გაერთიანების პრობლემა დღემდე არ არის კიდევ გადაჭრილი და სათანადოთ არ სწარმოებს მისი პროპაგანდა ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტურ პარტიებშიაც კი. ამავე დროს ეს პროპაგანდა გაერთიანების სასარგებლოდ და ბრძოლის ეს ცენტრალიზაცია უნდა დაუპირისპიროთ ტრესტების კაპიტალის გაერთიანებას. ამჟამად ჩვენ პროფმუშაობის დარგში იმდენად ცალკე კაპიტალისტების წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ ბრძოლას, რამდენადაც **ტრესტებში** გაერთიანებული კაპიტალის წინააღმდეგ. სიტყვა „ტრესტს" ხაზი უნდა გაესვას. ეს ის სპეციფიური თავისებურობაა, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ამჟამად.

### ახალგაზრდობის პრობლემა—ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა

ჩვენ, ამხანაგებო, სხვა დეფექტებიც გვაქვს, რომლებიც შეეხებიან ჩვენს მასიურ ორგანიზაციებს,—მიუხედავად ჩვენი დიდი მიღწევებისა ამ დარგში, ავიღებ, მაგალითად, მუშაობის მეორე დარგს,—ჩვენი **ახალგაზრდობის მოძრაობას**. ამ დარგში ჩვენ გვაქვს ზოგიერთი საკმაოდ დიდი მიღწევა, პირველ ყოვლისა,—ანტიმილიტარისტულ ბრძოლაში, სხვადასხვა სამხედრო კამპანიებში. ავიღოთ საფრანგეთის ახალგაზრდობის ორგანიზაცია მაროკოს ომის დროს, ჩვენი კომკავშირელების მუშაობა საერთოდ ომის საფრთხესთან ბრძოლის დარგში. მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენ აქ ძალიან დიდი დეფექტებიცა გვაქვს. ორგანიზაციულად შეკავშირებული ახალგაზრდა ამხანაგების რიცხვი ან კლებულობს, ან ერთ დონეზე რჩება. ეჭვს გარეშეა, რომ ახალგაზრდობის მოძრაობას მეტის-მეტი სექტანტური გეზი ახასიათებს, რომ ჩვენს ახალგაზრდობის ინტერნაციონალს არ ძალუძს შეიპრას ყველა ორგანიზაციაში, სადაც არიან მუშათა ახალგაზრდობის მასები, და გაავრცელოს მათზე თავისი გავლენა. დღემდე ჩვენი ტაქტიკური ორიენტაცია ახალგაზრდობის ორგანიზაციაში კიდევ ერთგვარი სივიწროვით ხასიათდება, ხოლო ეს დეფექტები უკანასკნელ დროს შეიძლება უფრო მეტადაც ძლიერდებიან. ეს არის ერთ-ერთი განსაკუთრებით საშიში პუნქტი ჩვენს მუშაობაში. ზოგიერთი ამხანაგი, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ აქ დაშვებულია დიდი შეცდომები, რომ აქ დიდ დეფექტებს აქვს ადგილი, სცდილობს ისეთი კოლოსალური დოზით გამოაცოცხლოს მუშაობა, რომელიც კომკავშირს დაუკარგავს განსაკუთრებულ პოლიტიკურ და კომუნისტურ სახეს. მე ვფიქრობ, რომ ეს სწორი არ არის. ახალგაზრდობის ორგანიზაცია კომუნისტურ ორგანიზაციად უნდა დარჩეს, რა თქმა უნდა, ის პარტიის განმეორებას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ საერთო კომუნისტური ორიენტაცია ბრძოლაში კომკავშირის განვითარებას საფუძვლად უნდა დარჩეს მომავალშიაც.

### მუშაობის მეთოდების მაქსიმალური მრავალფეროვნებისა და მოქნილობისათვის

მაგრამ ის, რაც ჩვენ გვაკლია, და რის მიღწევასაც უნდა ვცდილობდეთ, არის **მუშაობის მეთოდების მრავალფეროვნება**. უნდა ვცდილობდეთ, რომ ახალგაზრდობის ორგანიზაცია მარტო დიდი პოლიტიკის, დიდი პოლიტ. კამპანიების საკითხებს კი არ ეხმაურებოდეს, არამედ პოლიტ.-კულტურულ საკითხებსაც, ყველა საკითხს, რომელიც ახალგაზრდობას აინტერესებს; ყველა სფეროში, დაწყებული სპორტიდან და დამთავრებული ჩინეთის რევოლუციით, ჩვენმა ახალგაზრდა ამხანაგებმა უნდა სთქვან თავიანთი სიტყვა, გამოეხმაურონ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, როგორც ამას მოითხოვენ დირექტივები ჩვენი გავლენის გავრცელების შესახებ ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც ახალგაზრდა მუშები არიან. საჭირო არ არის სექტანტობა, საჭირო არ არიან ისეთი შეზღუდული მეთოდები, რომლებიც საერთოდ ფაქტიურად მოისპობენ მთლიან ფრონტს ახალგაზრდობის მოძრაობის დარგში.

ამხანაგებო, **ახალგაზრდობის პრობლემა ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა**. დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში ამ პრობლემას ჩვენთვის უდიდესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ბურჟუაზია დიდი ენერგიით და მარჯვედ აწარმოებს ბრძოლას ახალგაზრდობის დასაპყრობად, ბევრად უფრო მარჯვედ, ვიდრე ჩვენ. ყველა ამ დიდი სასპორტო ორგანიზაციას, რომელიც ზოგიერთს ბურჟუაზიული ცივილიზაციის მეთოდათ მოაჩნია, საერთოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სასპორტო ორგანიზაციების მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკის ცენტრალურ საკითხებთან, პირველ რიგში—ომის საკითხთან. ახალგაზრდობის ეს ერთგვარი სამხედრო ვარჯიშობა, რომელსაც იმპერიალისტური ბურჟუაზია ზოგჯერ ვითომ უცოდველი და პოლიტიკური ფორმით აწარმოებს,—თუ ამ პროცესებს განვიხილავთ არა განცალკევებულად, არამედ საერთო განვითარების თვალსაზრისით,—ამჟამად ძლიერ დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობს. ახალგაზრდა მუშა მიდის და აღტაცებით მყვება, თუ როგორ კარგად თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ ის უკვე მოხვედრილია ბურჟუაზიული ორგანიზაციის ბადეში. სხვადასხვა სამხედრო გიმნასტიური ვარჯიშობა წარმოადგენს სამხედრო წვრთნის მაგიერობას არა მარტო ტექნიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკის თვალსაზრისით და სამხედრო პრობლემის თვალსაზრისითაც. და თუ ჩვენ მთავარ ყურადღება დიდ პოლიტიკურ საკითხებს მივაპყარით და ამავე დროს არ შევეცდებით განვმტკიცდეთ ყველა მასიურ ორგანიზაციაში,—არ ვლაპარაკობ მაინცდამაინც ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, მხედველობაში მაქვს ჩვენი გავლენა და ჩვენი პოლიტიკური ავტორიტეტი,—ახალგაზრდობის დიდი მასები დაკარგული იქნებიან ჩვენი საქმისათვის.

რატომ ვლაპარაკობ, რომ ახალგაზრდობის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს? ჯერ-ერთი იმიტომ, რომ ჩვენ, მაგალითად, ძლიერ ბევრს ვლაპარაკობდით პროფკავშირების პრობლემაზე, ხოლო ამავე დროს უკანასკნელ ხანებში სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით ახალგაზრდობის მოძრაობას. მაგრამ შეაჩერეთ თქვენი ყურადღება რამდენიმე ძირითად ფაქტზე ამ დარგში. **ახალგაზრდობა ეხლა ბევრად უფრო ცუდად არის დარაზმული, ვიდრე სრულასაკოვანი პროლეტარიატი, ამასთან სოციალ-დემოკრატებთანაც იმდენადვე, რამდენად ჩვენთან.**

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პარადოქსია ის, რომ ომის შემდგომი თაობა, ომის დროს დაბადებული თაობა, უფრო ცუდად არის დარაზმული, ვიდრე ომის წინა დროის თაობა. რას ნიშნავს ეს? მე მგონია, ნაწილობრივად ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობის დიდი ფენები პირდაპირ ან არა პირდაპირ ბურჟუაზიამ ნეიტრალურად გადააქცია, ან ახალგაზრდობაში აპოლიტიკური განწყობილებაა გავრცელებული. მაგრამ სწორედ ეს აიხსნება იმპერიალისტური ბურჟუაზიის გავლენით, ვინაიდან თუ ბურჟუაზიამ მოახერხა მხოლოდ ნეიტრალურად გადააქციოს ახალგაზრდობა, ეს მისთვის უკვე ყველაფერი იქნება.

ამიტომ აბსოლუტურად საჭიროა ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში. ამაზე ჩვენ ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ და კონგრესმა სათანადო დირექტივები უნდა მისცეს ამ დარგში ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს.

### მეტი ყურადღება გლეხთა საკითხს

შემდეგ არის საკითხი **ჩვენი თანამშრომლობის ორგანიზაციების** შესახებ. თუ მართალია, რომ ჩვენ კატასტროფიულ მოვლენებს ვუახლოვდებით, თუმცა კი არ ვიცით—საბედისწერო როდის, რომელ წელში და რა წუთში გვეწვევიან ისინი,—ჩვენ ყოველ შემთხვევაში უნდა შევიგნოთ, რომ სწორედ ასეთი პერსპექტივის დროს საკითხმა დამხმარე ორგანიზაციების შესახებ უნდა ითამაშოს მეტად მნიშვნელოვანი როლი. შესაძლებელია სულ ახლო მომავალში იძულებულნი გავხდეთ ცალკე გავუკეთოთ ანალიზი გლეხთა მოძრაობის საკითხს და ისეთი ორგანიზაციის საკითხს, როგორიც არის გლეხთა ინტერნაციონალი. არჩევნების შედეგებმა გერმანიასა და საფრანგეთში გვიჩვენეს, რომ გლეხურ ოლქებში ჩვენი გავლენა არ გაზრდილა, პირიქით, დაცემულა კიდეც, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში, ეს მნიშვნელოვანი სიმპტომია. რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობა მრავალი მოწინავე კაპიტ.-სტური ქვეყნის გლეხთა შორის ადგილი არ არის, მაგრამ საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი მტრები სწორედ გლეხთა კონტინგენტებს გამოიყენებენ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. არც ის გარემოება უნდა დავივიწყოთ, რომ ბურჟუაზია ინტენსიური ენერგიით მუშაობს ამ დარგში. გლეხთა მასების დასაპყრობისათვის ბურჟუაზია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს იმ დროს, როდესაც კომუნისტურმა პარტიებმა რამოდენიმედ დაივიწყეს გლეხობის შორის მუშაობის ამოცანა. ზოგიერთ ქვეყანაში, ხელიდან გაუშვით შესაფერი მომენტი,—გავიხსენოთ გლეხთა დიდი მოძრაობა რუმინეთში. მართალია, ჩვენი პარტია რუმინეთში გაანადგურეს, მაგრამ არავის არ გავუფრთხილებივართ, რომ რუმინეთში საზოგადოდ ასეთი დიდი ამბებია მოსალოდნელი. ვერც კომინტერნმა მთლიანად და ვერც აღმასკომმა ვერ გაითვალისწინეს ეს ამბები, მათ არ მიიღეს თავის დროზე საჭირო ღონისძიებები, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იყო, თუნდაც მხედველობაში მივიღოთ ის, რომ მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, რომ არ იყო თითქმის არავითარი კავშირი და სხვ., ეს ამბები მოხდა თითქმის ჩვენი პარტიის გავლენის გარეშე, ამიტომ ჩვენ გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ გლეხური მოძრაობის მიმართ ბალკანეთის ყველა ქვეყანაში, გლეხური მოძრაობის მიმართ არა მარტო რუმინეთში, არამედ სამხრეთ-სლავიაშიც, ბოლგარეთშიც და სხვაგან, აგრეთვე პოლონეთში.

ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ გლეხთა საკითხს და ამ თვალსაზრისით უნდა დავეხმაროთ გლეხთა ინტერნაციონალს—გადაიქცეს ნამდვილ ცოცხალ ორგანიზაციად. მე არ შემიძლია წარმოგიდგინოთ ამ ორგანიზაციის მუშაობის ანგარიში, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მას ცოტა თუ ბევრად პროპაგანდისტული ხასიათი აქვს, რომ მისი მუშაობა არსებითად გამოიხატება სხვადასხვა მასალის გამოცემაში, ხოლო რაც შეეხება მის ორგანიზაციულ კავშირს—იგი საკმარისად ვერ ჩაითვლება. ეს ორგანიზაცია მეტად მცირერიცხოვანია, თუმცა ცოტაოდენი მიღწევები მასაც აქვს. მე ვფიქრობ, რომ ამაში ბრალი უდევს არა მარტო გლეხთა ინტერნაციონალს, არამედ კომინტერნსაც. ეს ჩვენი კოლექტიური შეცდომაა. ჩვენ არ გამოვყავით ამ ორგანიზაციისათვის საკმაო ძალები, არ მივაქციეთ მის მუშაობას საკმაოდ დიდი ყურადღება. ამას ნათლად ადასტურებენ რუმინეთის ამბები და საფრანგეთსა და გერმანიაში მომხდარი არჩევნების შედეგები. ეს საკითხი ჩვენ უნდა დავაყენოთ უახლოეს მომავალში და ყოველი ღონე ვიხმაროთ მისი გაუმჯობესების მისაღწევად.

ჩემის აზრით, არ არის საკმარისი ის დახმარება, რომელსაც ჩვენ ვუწევთ ისეთ ორგანიზაციას, როგორიც არის **ანტიიმპერიალისტური ლიგა**. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ეს ლიგა არ არის საბედოდ სიცოცხლის უნარის მქონე ინსტიტუტი, გამოცდილება კი სხვა რამეს გვეუბნება—იგი მოწმობს, რა ძლიერია ამ ორგანიზაციის პოტენციალური ძალები და მისი განვითარების შესაძლებლობანი და რა ცოტას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ნამდვილად დავეხმაროთ ამ პოტენციალური ძალების გაშლას. ამბობენ, ლიგის კონგრესი ალლუმი იყოო, დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია, მაგრამ ეს ხომ შემთხვევითი რამ არ იყო. ეს „ალლუმი" იმიტომ წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციას, რომ არსებობდა ასეთი ალლუმის ობიექტური მოთხოვნილება და რევოლუციონური ძალები ნამდვილად საჭიროებდენ გაერთიანებას. და ჩვენი საერთო სტრატეგიის თვალსაზრისით უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მეტი იქნება ძლიერი პუნქტების რიცხვი ჩვენ ხაზზე ან ჩვენ მიმართ თანამგრძნობ გამსჭვალულ ძალთა ხაზზე—სულ ერთია იქნება ეს ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, თუ სხვა რომელიმე ქვეყანაში,—მით უფრო მეტად მომზადებულნი ვიქნებით ჩვენ კატასტროფიული მომენტისათვის, მით უფრო მეტ [illegible] გავაერთიანებთ რევოლუციის ბანაკში ნამდვილად ცოცხალი ორგანიზაციებს—რაც უნდა მოვი[illegible]ლოთ ამ საკითხში ლიკვიდატორული თვალსაზრისი—არ მესმის. ხადიხან ზოგიერთი ხალხი სცდილობს თავისი პასუხისმგებლობა გადაიტანოს ობიექტურ მდგომარეობაზე, ჩვენს გარეშე მდგომ ძალებსა და მოვლენებზე. ეს მეთოდი ცუდი მეთოდია. უწინარეს ყოვლისა დამნაშავე ვართ ჩვენ თვითონ, რადგანაც ამ ორგანიზაციას ძალიან ცოტა დახმარება გავუწიეთ.

### ლეგალურ მუშაობის დაკავშირება არალეგალურ მუშაობასთან

ეხლა შევეხები სხვა საკითხს—**ლეგალური მუშაობის არალეგალურ მუშაობასთან დაკავშირების პრობლემას**. კიდევ და კიდევ, თუ ჩვენი ანალიზი საერთოდ და მთლიანად სწორია, ეხლავე უნდა შევუდგეთ არალეგალურ მუშაობასაც, ეხლავე უნდა დავისვათ ლეგალური მუშაობის არალეგალურ მუშაობასთან დაკავშირების ამოცანა. რაც შეეხება არალეგალურ მუშაობას, ამ მხრივ ჩვენი გამოცდილება ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდია. ასეთი გამოცდილება გვაქვს პოლონეთში, ბალკანეთის ქვეყნებში, იტალიაში, ხოლო ამჟამად იაპონიაშიც. ბოლოს, დიდი გამოცდილება გვაქვს ჩინეთში და სხვაგანაც. ზოგიერთ პარტიას ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული ეს გამოცდილება. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის პარტიებს. მაგრამ, ამხანაგებო, შეტევები ჩვენს პარტიაზე ამიერიდან გაძლიერდება. ჩვენი ძმური ფრანგული პარტია უკვე გრძნობს, თუ რა მოელის მომავალში. თანდათან გამწვავდება იერიშები, მიტანილი ჩვენს პარტიაზე. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ომის დაწყების წინ და თითქმის მანამდეც ჩვენს პარტიას თავზე დაატყდება მრავალი განსაკუთრებული კანონი. ეს აუცილებელია, საჭიროა წინასწარ გათვალისწინება ამისა. ამიტომ ეხლავე უნდა ჩავუყაროთ საძირკველი ჩვენ არალეგალურ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ფლოტში, არმიაში და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი მოულოდნელი იქნება ჩვენთვის და ბევრს დავკარგავთ მოუმზადებლობის გამო. საკითხი არალეგალური ორგანიზაციების შესახებ, აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ლეგალური და არალეგალური კავშირი გაიბას ფლოტთან და არმიასთან, ამჟამად მეტად მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რატომ არ შემიძლია დაწვრილებით შევეხო ამ თემას, რატომ არ შემიძლია რჩევებისა და დირექტივების მიცემა. მაგრამ თვით ამოცანა პირველ რიგში სდგას და საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს მას. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ზოგადი ადგილებით. უნდა გამოვიმუშაოთ კონკრეტიული დირექტივები ნამდვილი პრაქტიკული მუშაობისათვის. საჭიროა ამ დირექტივების ჩამოყალიბება.

თუ სისწორით შევუფარდებთ მთლიანი ფრონტის ტაქტიკას პროფესიონალურ მუშაობაში, ახალგაზრდათა ორგანიზაციებში და მონათესავე ორგანიზაციებში, შევსძლებთ **მოვსპოთ ის შეუსაბამობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი პოლიტიკური გავლენის ზრდასა და მის ორგანიზაციულ განმტკიცებას შორის.**

### ბიუროკრატიზმის სიმპტომები

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ზოგიერთ ჩვენ დეფექტებს. მე ვფიქრობ,—და ეს აშკარად უნდა განვაცხადო,—რომ ამ ბოლო დროს არა მარტო ჩვენს პარტიაში, საკავშირო კომპარტიაში (ბ), არამედ ბევრ სხვა პარტიაშიაც გაძლიერდენ **ბიუროკრატიზმის სიმპტომები**. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გამოიხატა ხელმძღვანელობის უკიდურეს ცენტრალიზმში, ადგილობრივი ორგანიზაციების უინიციატივობაში და სხვ. თავისთავად ცხადია, ცენტრალიზმი საჭიროა, საჭიროა ცენტრალური ხელმძღვანელობა. ცენტრალური კომიტეტები ძლიერ ხელმძღვანელ ორგანოებს უნდა წარმოადგენდნენ. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ჩვენში ხშირად ადგილობრივი ორგანიზაციები ინიციატივას არ იჩენენ ქვედა საფეხურის უჯრედებში ყოველთვის არ სცემს პოლიტიკური ცხოვრების ძლიერი პულსი, ბევრი კამპანია და პროფმოძრაობის საკითხი მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობს ქვედა საფეხურის უჯრედებში, ფუნქციონერები და უბრალო წევრები მეტად მცირე მასშტაბით მუშაობენ, და შინაპარტიული ცხოვრებაში ხშირად ჩაბმულია მხოლოდ ფუნქციონერთა წრე. ეს დიდი ნაკლია. ეს ნაკლი დაკავშირებულია სხვა დეფექტებთან. ჩვენ ენერგიულად ვქადაგებთ: გამოაცოცხლეთ კადრები, ჩააბით ახალი ხალხი ხელმძღვანელობაში, მიიზიდეთ ახალი მუშაკები პარტიის რიგებში. მაგრამ ეს ახალი მუშაკები ზეციდან მზამზა პრაქტიკოსებად ხომ არ ჩამოცვივიან. ისინი უნდა აღიზარდონ არა მარტო ფუნქციონერების, არამედ პარტიული მასის ინტენსიური ცხოვრების პროცესში. თუ ვერ მოვახერხებთ ამ დეფექტების გამოსწორებას, ძალიან გაძნელდება ახალი კადრების შერჩევა და გადარჩევა,—პარტიის ქვედა ფენებში ცხოველი პულსის უქონლობის დროს მეტად ძნელია ბელადების ან პარტიული კადრების სასურველად შერჩევა და გადარჩევა. თუ თვალს გადავავლებთ პარტიის ყრილობებს და კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესებს, დავინახავთ, რომ მათში მონაწილე უბრალო მუშაკების პროცენტი არ გაზრდილა. აქაც თავი იჩინა წარმომადგენლებად მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ფუნქციონერთა გაგზავნის ტენდენციამ. ეს ტენდენცია აშკარაა. თავისთავად ცხადია, ეს საფრთხე არ უნდა გავაზვიადოთ, მაგრამ არც ხელი უნდა დავაფაროთ მას. ეს დაკავშირებულია შინაპარტიული ცხოვრების მთელ რიგ მეტად რთულ პრობლემებთან. საჭიროა აღინიშნოს შინაპარტიული ცხოვრების არასაკმაოდ ცხოველი პულსი, განსაკუთრებით პარტიის ქვედა ფენებში, საწარმოო უჯრედებში და სხვ. ეს ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, თუ გვინდა მდგომარეობის გაუმჯობესება.

### ბრძოლა საკადრო შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის

კიდევ რამდენიმე სიტყვა **ჩვენი პარტიების, ჩვენი პარტიული კადრების კულტურულ-პოლიტიკური დონის შესახებ**,—შინაპარტიული დისკუსიების მეთოდის შესახებ. აქ კვლავ ვხედავთ შეუსაბამობას წევრთა მასის ობიექტურ მოთხოვნილებებსა და ჩვენი პარტიული კადრების კვალიფიკაციას შორის. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უყურადღებოდ დავტოვეთ მრავალი თეორეტიული ამოცანა, რომ ჩვენი პარტიული კადრები ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ სწავლას, რომ ლიტერატურა მეტად სუსტია და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობის ობიექტურ მოთხოვნილებებს, რომ ჩვენ ძალიან ცოტა დროს ვანდომებთ სწავლას, არასაკმაოდ ღრმად და მოფიქრებულად ვამუშავებთ საკითხებს, და ეს აშკარად სჩანს დისკუსიის მეთოდებში. წინა კონგრესზე თუ პლენუმზე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი შინაპარტიული დისკუსიები ხშირად გამოიხატება მოხდენილი სიტყვების სროლაში. ეს გვიჩვენებს, რომ დისკუსიის მონაწილენი არასერიოზულად, ზერელედ ეპყრობიან განსახილველ პრობლემებს. სხვადასხვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლა მშვენივრად ვისწავლეთ, ამას ჩვენ ბრწყინვალედ ვასრულებთ. რაც შეეხება პრობლემების ნამდვილ შესწავლას, ნამდვილ არგუმენტაციას და არა მექანიკურ ბრძოლას მოწინააღმდეგესთან,—ჩვენ ჯერ ჯერობით ვერ ვისწავლეთ ისე, როგორც საჭიროა.

ამავე დროს ჩვენი პარტიის განვითარების ყოველი შემდგომი ნაბიჯი მოითხოვს ჩვენი პოლიტიკური აზროვნების გაღრმავებას, მოფიქრებულ მანევრებსა და ყოველ ახალ სიტუაციაზე გამოხმაურებას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ჩემის აზრით, სერიოზულ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ **თეორეტიულ** დონეს, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის უკეთ დაყენებას და სწავლის გაძლიერებას ჩვენს პარტიებში.

## VI. გადახრები კომუნისტურ ინტერნაციონალში

### ცენტრალურ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა

ეხლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა **სხვადასხვაგვარი გადახრების შესახებ კომუნისტურ ინტერნაციონალში**. ამ ცოტა ხნის წინად კომუნისტურ ინტერნაციონალში მთავარ საფრთხეს წარმოადგენდნენ ეგრედწოდებული „ულტრამემარცხენეები", რომლებიც ცდილობდნენ ინტერნაციონალური ორგანიზაციის შექმნას. საკავშირო კომპარტიაში (ბ) ოპოზიციის დამარცხების შემდეგ ეს ცდა დამარცხდა, მაგრამ ოპოზიციის დამარცხების თვით პროცესი, რომლის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა ეგრედწოდებული „ლენინბუნდ"-ის დაშლა,—ეს პროცესი ზოგიერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ტროცკიზმი არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა. ზოგიერთი ამხანაგი ამას გადაჭარბებულად სთვლიდა. მაგრამ ლენინბუნდის ისტორიამ დაგვანახვა, რომ ოპოზიციის ძირითადი კადრი გადაბარგდა სოციალ-დემოკრატებთან. იყო თუ არა ეს შემთხვევითი? არა ეს მოვლენა შემთხვევითი არ იყო. ჩვენ ცხადად ვხედავთ ეგრ. წოდებულ „ულტრა-მემარცხენეთა" და მემარჯვენეთა ურთიერთობის დიალექტიკას. ამჟამად ცენტრალურ საფრთხეს წარმოადგენს **მემარჯვენე გადახრა**, თუ ავიღებთ კომუნისტურ ინტერნაციონალს მთლიანად. ჩემ მიერ დახასიათებული სტაბილიზაციის პერიოდი, პარლამენტარიზმის ნაშთები, სოციალ-დემოკრატიის გავლენა, პროფმუშაობის ზოგიერთი სპეციფიური თავისებურობა,—ასეთია ცენტრალური მომენტები, რომლებიც ასაზრდოებენ ამ საფრთხეს. ეს საფრთხე სხვადასხვა პარტიაში სხვადასხვა ფორმას ატარებდა. რაში გამოიხატა იგი? პირველ ყოვლისა— ლეგალობისაკენ მისწრაფებაში ყოველ მიზეზს გარეშე. ბურჟუაზიული ლეგალობის ჩარჩოების დაცვაში, მაშინაც კი, როცა საჭირო იყო ამ ჩარჩოებიდან გამოსვლა, ბურჟუაზიულ კანონებისადმი გადაჭარბებულ დამორჩილებაში. ეს მემარჯვენე გადახრა გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ უყურადღებოთ სტოვებდნენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების აუცილებლობას, მაგალითად, გაფიცვების დროს, გაფიცვები არ ჩაუტარებიათ იქ, სადაც საჭირო იყო ეს გადახრა გამოიხატა აგრეთვე შემცდარ ტაქტიკაში სოციალ-დემოკრატიის მიმართ, არა საკმაოდ ენერგიულ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის „მემარცხენე" ბელადების წინააღმდეგ. გამოიხატება ის აგრეთვე პარტიების არასაკმაო ინტერნაციონალიზმში. როგორც ხედავთ, ცოტად თუ ბევრად სწორი ორიენტაციის მქონე პარტიებიც კი ივიწყებენ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებას, როგორც ეს მოხდა ჩინეთის რევოლუციის მიმართ. ეს უეჭველად მკაფიოდ გამოხატული მემარჯვენე გადახრაა. იგივე გადახრა თავს იჩენს პროფმუშაობაში, სადაც საერთო პროფდისციპლინას ხშირად პარტიულ დისციპლინაზე მაღლა აყენებენ, და სხვა მრავალგვარ ფორმაში, რომლებზედაც მე კიდევ შევჩერდები.

### მემარცხენე გადახრები

პარტიისა და პროფკავშირის სწორი ურთიერთობის შეუგნებლობა იწვევს იმას, რომ პარტია ზოგჯერ უშუალოდ ბრძანებლობს მასებს როგორც კომუნისტური ავანგარდი, და არ სცდილობს მასების დარწმუნებას, არ აწარმოებს სისტემატიურ მუშაობას. თავს იჩენენ აგრეთვე მთლიანი ფრონტის ტაქტიკის უარყოფის ზოგიერთი ტენდენციები.

მემარცხენე გადახრებს ადგილი აქვს ჩინეთშიაც — მრავალი მემარჯვენე გადახრის შემდეგ იქ ეს გადახრები ატარებენ პუტჩისტური განწყობილების, პუტჩისტური ტაქტიკის ფორმას და სხვ. მაგრამ საერთოდ სწორი ხაზიდან გადახრები ამჟამად უფრო მარჯვნივ არიან მიმართულნი, ვიდრე მარცხნივ. ავიღოთ თუნდაც ისეთი ქვეყანა, როგორიც ხრის საფრანგეთი. საფრანგეთში ჩვენს პარტიაში დღემდე და ეხლაც არსებობენ აშკარად გამოხატული ტრადიციები — ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. ამ ტრადიციებმა თავი იჩინეს უკანასკნელი არჩევნების დროსაც, როდესაც გამოაშკარავდა ჩვენი ახალი ტაქტიკური გეზის გვერდის ავლის, ამ ტაქტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ერთგვარ მეტად ძლიერ ორიენტაციასთან პარლამენტარიზმისაკენ, ერთგვარ ოპორტუნისტულ გადახრებთან სწორი პოლიტიკური გზიდან. საფრანგეთის პარტიაში ასეთი გადახრები, აიხსნება მაგრად ფესვგადგმული ისტორიული ტრადიციებით, და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენმა ძმურმა საფრანგეთის პარტიამ მომავალშიაც უნდა აწარმოოს ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ, იბრძოლოს სისტემატიურად და პირველ რიგში შეეცადოს თავისი წევრების დარწმუნებას. ლაპარაკია არა მარტო ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე, არამედ აგრეთვე ბრძოლაზე საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების და ყოფილი სოციალისტური პარტიის (რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი კომპარტიაში შევიდა) ცხოვრების ძლიერ და ძველ ტრადიციებთან.

ასეთ გადახრებს ადგილი აქვთ საფრანგეთის კომპარტიაში, რაც გამოაშკარავდა ეგრედ წოდებული რეპრესიების საკითხის განხილვის დროს, როდესაც ზოგიერთმა ფრანგმა ამხანაგმა და მთელმა პარტიამ დაუშვეს შეცდომები, რომლებიც შემდეგში გამოასწორეს. შემდეგ ამ შეცდომებს ვხედავთ ჩეხო-სლოვაკიის პარტიაშიაც. ჩეხო-სლოვაკიის პარტია ნამდვილ მასიურ პარტიას წარმოადგენს, მაგრამ თვალსაჩინოდ არის დაავადებული „ლეგალობის" სენით. ჩეხიის პარტია ზოგჯერ ვერ ბედავს მიმართოს მასებს და ურჩიოს— პროტესტით გამოვიდნენ მის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა კანონების გამო. თუ მუდამ დავუთმეთ მთავრობას და არ მივიღეთ საკმაო ღონისძიებები მასების მობილიზაციის მოსახდენად, კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონებთან და მთავრობის განკარგულებებთან საბრძოლველად, რა თქმა უნდა, ვერავითარ ნიადაგს ვერ შევქმნით ისეთი უფრო დიდი მასიური მოქმედების მოსამზადებლად, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიული ლეგალობის ცნებას. ზოგიერთ ამხანაგს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორ განვითარდებიან მოვლენები. ისინი ასე მსჯელობენ: ჩვენ ლეგალურ ჩარჩოებში ვიმუშავებთ ამა და ამ დღემდე, მაგალითად, ომის დაწყების მომენტამდე, ხოლო შემდეგ შევცვლით ჩვენს ტაქტიკასო. არა, ამხანაგებო, მომზადება წინდაწინვე საჭიროა. მასიური მოქმედება უნდა მივიჩნიოთ, როგორც ერთერთი საუკეთესო საშუალება ჩვენს ბრძოლაში. უნდა მოვახდინოთ მასების მობილიზაცია, გავხდეთ ქუჩის ბატონპატრონი, ისევ და ისევ უნდა გავილაშქროთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესრიგის წინააღმდეგ და დავამსხვრიოთ იგი, უნდა დავიპყროთ ქუჩა რევოლუციონური გზით—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით — და შემდეგ გავსწიოთ წინ — მხოლოდ მთელი რიგი ასეთი მოვლენების საფუძველზე და ამ მოვლენათა მსვლელობაში მთელი განვითარების საფუძველზე, — მხოლოდ ამ პროცესში მოვემზადებით უფრო დიდი, უფრო გაფართოებული და მედგარი მასიური ბრძოლებისათვის.

რაც შეეხება საგაფიცვო მოძრაობას და ამ მოძრაობისათვის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გაწევას, არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არც კი იცოდნენ, რომ ამა თუ იმ დიდ ფაბრიკაში გაფიცვა მზადდებოდა. რამდენსამე ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში.

სოციალ - დემოკრატიის მიმართ არასწორი პოზიციის დაჭერის მხრივ ჩვენ გვაქვს რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი იმის, თუ რა შეცდომები ჩაიდინეს ჩვენმა პარტიებმა გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკიაში და სხვა... ეს პოლიტიკური გადახრები ზოგჯერ შემცდარი ლოზუნგების სახეს ღებულობდნენ როგორც, მაგალითად და უმთავრესად გერმანიაში, სადაც ზოგიერთმა ამხანაგებმა წამოაყენეს წარმოებაზე კონტროლის დაწესების ლოზუნგი, როდესაც სათანადო რევოლუციონური სიტუაცია არ არსებობდა: ობიექტურად ეს წარმოადგენდა მხოლოდ სოციალ - დემოკრატიული „სამეურნეო დემოკრატიის" ტაქტიკის ნაბიჯს „სამრეწველო მშვიდობიანობის" სისტემისაკენ. **რევოლუციონური პირობების არსებობის გარეშე** ნამდვილად სწორი და რევოლუციონური ლოზუნგი თავის წინააღმდეგობად გადაიქცევა ხოლმე. მაგრამ მაშინ ის მარტო შემცდარ ლოზუნგს არ წარმოადგენს, მაშინ ის მთლიანად შემცდარ პოლიტიკურ ხაზს აღნიშნავს, ეს მემარჯვენე საფრთხე ამჟამად პირველ რიგში იხსება ჩვენს წინაშე, და სავსებით გასაგებია, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ტროცკისტული ოპოზიცია დავამარცხეთ, სავსებით გარკვეულ ხაზს უნდა დავადგეთ ამ მემარჯვენე გადახრების და პატარა მემარჯვენე ოპოზიციური ჯგუფების მიმართ.

ამჟამად ჩვენ კრიტიკულად და გამადიდებელი შუშით უნდა გავსინჯოთ ჩვენი სხვა დეფექტებიც. ზოგიერთ პარტიებში, და მათ საკმაო დიდ რიცხვშიაც კი, ჩვენ მაგალითად, ვხედავთ, რომ ისინი ვერ ეგუებიან ახალ მდგომარეობას და, საერთოდ, ვერ ხედავენ, რომ მოხდა რაღაც ახალი. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთში, როდესაც ხელისუფლებას სათავეში პუანკარე ჩაუდგა. ასეთივე მაგალითის მოწმენი ვიყავით ინგლისში, როდესაც მუშათა პარტიამ და გენერალურმა საბჭომ ერთბაშად იცვალეს გეზი. მეორე მაგალითი მოგვცა იმავე ინგლისმა, როდესაც დადგა ახალი ეტაპი საზოგადოებრივ ძალთა შეფარდებაში. საკმაოდ სწრაფად ვერ გამოვეხმაურეთ აგრეთვე ეგრედ წოდებული „Bürgerblock"-ის მოწყობას გერმანიაში და სხვა.

### კონკრეტიული პირობების არასაკმაო აღრიცხვა

ამრიგად, თითქმის ყოველი პარტიის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი ერთობ გვიან ეხმაურება მდგომარეობის შეცვლას. მდგომარეობა უკვე შეიცვალა, პარტიები კი არ ეხმაურებიან ან და ერთობ გვიან ეხმაურებიან ამ შეცვლას, ერთობ გვიან აყენებენ სადირექტივო ლოზუნგებს და სხვა. ვფიქრობ, ეს ეხება კომინტერნსაც და მის ხელმძღვანელობასაც. კომინტერნი ყოველთვის არ ეხმაურება თავის დროზე ახალ გარემოებებს, ახალ მოვლენებს, ახლად შექმნილ მდგომარეობას, ხშირად აგვიანდება სადირექტივო ლოზუნგების შემუშავება, ვერ ვასწრებთ მუშაობას ყოველთვის, როცა საჭიროა საერთო ძირითადი ლოზუნგების წამოყენება. ზოგჯერ ხდება, რომ ერთსა და იმავე პარტიაში აყენებენ 20 სხვადასხვა ლოზუნგს; მაგრამ ხომ იცით, როცა ერთდროულად 20 ლოზუნგს ვაყენებთ, მაშინ ისინი ყოველგვარ აზრს კარგავენ და პარტიის ყურადღება იფანტება, ზოგჯერ ხდება, რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ვერ ახერხებენ ამ ლოზუნგების იმგვარად გაერთიანებას, რომ მეორეხარისხოვანი ლოზუნგები მიჰყვებოდნენ და ამუქებდნენ მთავარ ლოზუნგებს. ეს ხელმძღვანელობის დიდი ნაკლია. ზოგჯერ თავის თავად სწორ ლოზუნგებს მოდუნებით და საერთოდ არადამაკმაყოფილებლად ვატარებთ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტიების შესახებ უნდა ითქვას, რომ ის კლავიატურა, რომელიც შეიძლება და უნდა ჰქონდეთ კიდეც პარტიებს, საკმაოდ არ არის გამოყენებული. ერთის მხრით, ვაყენებთ ერთობ ბევრ ლოზუნგს და მათ შორის არც ერთი ცენტრალური ლოზუნგი არაა. მეორეს მხრით, ზოგჯერ ვლაპარაკობთ საერთო რევოლუციონური ფრაზის ენით და ვივიწყებთ „მცირე" ყოველ დღიური ბრძოლის ლოზუნგებს. თუ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის სხვადასხვა სახეებზე ვილაპარაკებთ, უნდა ითქვას რომ სავსებით სწორია თეზისი სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის გამწვავების შესახებ მაგრამ არ არის სწორი ის, რომ ჩვენ არ ვილაპარაკებით სოციალ-დემოკრატ **მუშებს** ჩვენს პარტიებში კი ადგილი აქვს ასეთ ტენდენციას. რაც უფრო მეტს ვლაპარაკობთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეცდომებზე, მით უფრო მეტად უნდა დავარწმუნოთ სოციალ-დემოკრატი მუშები ჩვენი პოლიტიკის სისწორეში.

ჩვენმა პარტიებმა დღემდე ვერ ისწავლეს **ყოველდღიური მუშაობის საკითხების დაკავშირება ჩვენ მთავარ მიზნებსა და ამოცანებთან**. ჩვენ ან ხმამაღლა ვყვირით მსოფლიო პრობლემებზე და არაფერს არ ვაკეთებთ ყოველდღიური საკითხების გადასაჭრელად, ან ყოველდღიური საკითხების ნიადაგზე ვრჩებით და ვივიწყებთ, რომ საჭიროა ამ საკითხების დაკავშირება მსხვილ პოლიტიკურ საკითხებთან. ამასთან ჩვენ პარტიებს ხშირად არ შეუძლიათ თავის დროზე სწორად შეაფასონ მიმდინარე მომენტი ყველა მისი სპეციფიური მხარეთი. ჩვენი პარტიების ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ისინი დაუყოვნებლივ არ ეხმაურებიან სპეციფიურ ახალ კონიუნქტურას, საკმაოდ სწრაფად არ ითვისებენ და საკმაოდ გარკვეულად არ ახასიათებენ მას, ყოველთვის მოხერხებულად არ აყენებენ საერთო კონიუნქტურულ ლოზუნგს. მე ასე ბევრი იმიტომ ვილაპარაკე ამ დეფექტებზე, რომ შევძლოთ მათი საქმიანი გაკრიტიკება, და ვფიქრობ, რადგან უკანასკნელი კონგრესის შემდეგ უკვე საკმაოდ დიდმა დრომ განვლო. ხაზი უნდა გაესვას **ამ ჩვენ დეფექტებს და სუსტ მხარეებს**, რომლებიც **კომუნისტურ ინტერნაციონალსაც** ახასიათებენ, ავიღოთ საკითხი საორგანიზაციო ნაკლთა შესახებ ან საკითხი ჩვენი გადაწყვეტილებების შესრულების არასაკმაო შემოწმების შესახებ: ჩვენ ვგზავნით სხვადასხვა ცირკულიარებს, სხვადასხვა ღია და დახურულ წერილებს და არ ვამოწმებთ—შესრულებულია თუ არა ყოველივე ეს და გატარებულია თუ არა ცხოვრებაში. ჩვენ ამაზე ვხარჯავთ დიდძალ ქაღალდს, მაგრამ ძალიან სუსტად ვამოწმებთ ჩვენი გადაწყვეტილებების ფაქტიურ შესრულებას. არა ერთხელ დაგვიდგენია, რომ ჩვენს ხელმძღვანელობას ამ დარგში ჰქონდეს ნამდვილად საერთაშორისო ხასიათი და რომ სხვადასხვა პარტიებმა კომინტერნის აღმასკომს გამოუგზავნონ თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები მუდმივი მუშაობისათვის. მაგრამ ფაქტიურად ჯერ კიდევ არ გაგვიხორციელებია ეს გადაწყვეტილებანი.

### ფრაქციულობის წინააღმდეგ

შემდეგ, ხაზი უნდა გაესვა კიდევ ერთს სხვა გარემოებას, რომელიც ამ საკითხს ასე თუ ისე დაშორებულია, მაგრამ, რომელსაც მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიების ცხოვრებისათვის. მე მხედველობაში მაქვს **ფრაქციული ბრძოლა, რომელიც სწარმოებს საკმაო პოლიტიკური საფუძვლების და საკმაო პოლიტიკური გამართლების გარეშე**. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები მეტად რთულია, ნაწილობრივ იგი აიხსნება ისტორიული ტრადიციებით, ზოგიერთ პარტიაში ფრაქციული უთანხმოების საშიშროება, იმდენად დიდია, რომ, ჩემი აზრით, საჭირო იქნება საგანგებო ზომების მიღება მასთან საბრძოლველად. ნება მიბოძეთ აღვნიშნო ორი ასეთი მაგალითი.

ავიღოთ სამხრეთ სლავიის პარტიის შინაური მდგომარეობა. 7 წელიწადი გრძელდებოდა გრანდიოზული ფრაქციული ბრძოლა, რომელმაც მეტად დააზიანა პარტია. უკანასკნელ ხანებში მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციებზე, კონგრესებზე, პლენუმებზე და სხვ. ჩვენ ერთხმად აღვნიშნავდით, რომ პოლიტიკური უთანხმოებანი თანდათან კლებულობენ. მაგრამ, მიუხედავად დიდი დაპირებებისა რომ ამიერიდან ფრაქციული ბრძოლა შესწყდება, ეს ბრძოლა გრძელდებოდა უფრო მეტი გამწვავებით, ვიდრე პარტია სერიოზულად არ დაზიანდა,—დაზიანდა, იმდენად არა პოლიტიკური ტერორით, რამდენადაც შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლით. ამჟამად რეორგანიზაცია პარტიაში ხდება სრულ გადაჯგუფებით პარტიის შიგნით: არის ახალი ხალხი, არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნისტური ინტერნაციონალის VI მსოფლიო კონგრესი

# საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები

## კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ანგარიში

## ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის კონგრესის 18 ივლისის საღამოს სხდომაზე*)

### II. შინაპოლიტიკური პროცესები ბურჟუაზიულ ქვეყნებში

### ომის მზადების ნიშნის ქვეშ

ამის გამო მნიშვნელოვან კაპიტალისტურ ქვეყნებში **შინაგანი პროცესებიც** ომის მზადების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობენ. ეს პროცესები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან სოციალ-დემოკრატიის მთელ ლაყბობას განხორციელებულ პაციფიზმზე, „ულტრა-იმპერიალისტურ ერაზე და სხ. ყველა საკმაოდ იცნობს შეიარაღების ზრდას, ისეთ სამხედრო კანონების მიღებას, როგორიც პოლ ბონკურის კანონია საფრანგეთში, და ბურჟუაზიის გამალებულ მზადებას ეგრედწოდებულ „მშვიდობიანობისა და წესრიგის" დასაცავად ქვეყნის შიგნით ომის დროს. მოვლენათა უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნიან აგრეთვე პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული ცნობილი ბილი ინგლისში, მუსოლინის მიერ გამოცემული „შრომის ქარტია", უმაგალითო ტერორი, რომელიც მძვინვარებს უნგრეთში, პოლონეთში რუმინეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და იტალიაში, გლეხობის ზოგიერთი ფენების მოსყიდვისა და გახრწნის ფართო გეგმები, ეგრედწოდებული „სამრეწველო მშვიდობიანობა", „მონდიზმი" და პროლეტარიატის მოსყიდვის ამერიკული მეთოდები, რომლებიც, ერთის მხრით, ფაშიზმისა, ხოლო მეორეს მხრით—სოციალ-დემოკრატიის დახმარებით ტარდებიან ცხოვრებაში.

ყოველივე ამასთან დაკავშირებულია **სახელმწიფო ხელისუფლების ერთგვარი ორგანიზაციული ცვლილება.** უკვე ვილაპარაკე სახელმწიფო-კაპიტალისტურ ტენდენციაზე. მწარმოებელთა ორგანიზაციებისა და ბურჟუაზიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უშუალო შეზრდის ტენდენციაზე. ამ ტენდენციას აქვს არა მარტო საერთო ეკონომიური და საერთო პოლიტიკური მნიშვნელობა: მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ომის მომზადების თვალსაზრისითაც. შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზია შეგნებულად ცდილობს მწარმოებელთა ორგანიზაციებისა და კაპიტალის სახელმწიფო ორგანიზაციის შეზრდას იმიტომ, რომ იგი ამაში ომის მომზადების საშუალებას ხედავს. პროცესს უფრო სტიქიური ხასიათი აქვს, მაგრამ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ობიექტიურად სახელმწიფო ხელისუფლების ევოლიუცია და სახელმწიფო-კაპიტალისტურ ტენდენციების ზრდა ომის მომზადების მიზნებს ემსახურებიან. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ჩვენ უკვე განვიცადეთ თავისებური სახელმწიფო კაპიტალიზმის ფაზა.

გერმანიის სწავლულთა ენაზე ამას „იძულებითი მეურნეობა" ეწოდებოდა. ამ რეგლამენტაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საწარმოო ძალების მნიშვნელოვნად დაცემა და მოხმარების რაციონალური და მიზანშეწონილი მოწესრიგებისაკენ მისწრაფება „ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრის" პირობებში. შემდეგ ეს ზედმეტი გახდა. ამჟამად კი სახელმწიფო-კაპიტალისტური ტენდენციები ახალ საფუძველზე ვითარდებიან, კაპიტალიზმის საწარმოო ძალების ზრდის საფუძველზე, კაპიტალის ცენტრალიზაციის ნიადაგზე და სპეციფიური იძულებითი დანორმვის გარეშე. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ომის დროს ეს სახელმწიფო - კაპიტალისტური ტენდენციები გამოყენებული იქნებიან მთელი სახალხო მეურნეობის მობილიზაციისათვის ომის მიზნებთან შეფარდებით.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციული ფორმის ამ ევოლიუციას, ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციების ამ ძლიერ ცენტრალიზაციას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი შემდგომი განვითარებისათვის. დიდია ამ მოვლენათა მნიშვნელობა პროლეტარიატის თანამედროვე კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ყველას არა აქვს კარგად შეგნებული რომ ამჟამად პროლეტარიატს საქმე აქვს არა მარტო ცალკე მრეწველებთან ან თუნდაც ცალკე ტრესტებთან, არამედ იმპერიალისტური ბურჟუაზიის, როგორც კლასის, მთელ ორგანიზაციასთან, და რომ ამიტომ ასე ძნელია და რთული პროლეტარიატის მდგომარეობა ყოველ ეკონომიურ ბრძოლაში. რამდენადაც პროლეტარიატს საქმე აქვს უშუალოდ ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატთან შეზრდილ დიდ ტრესტებთან და კარტელებთან, ამდენად ყოველ გაფიცვას აქვს ტენდენცია გადაიქცეს პოლიტიკურ გაფიცვად, ყოველი ნაწილობრივი შეტაკება—მუშათა კლასის ფართო ბრძოლად. ამ თემას მე კიდევ შევეხები სხვა თვალსაზრისითაც.

ეხლა გადავდივარ ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა კი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასების **მდგომარეობის** საკითხზე.

### შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება

სტაბილიზაციის ანალიზის დროს მე აღვნიშნე, რომ მისი შედარებითი ხასიათი გამოიხატება იმ კონფლიქტებში, რომლებსაც ადგილი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, და იმ ანტოგონიზმში, რომელიც არსებობს იმპერიალისტურ და კოლონიურ ქვეყნებსა და იმპერიალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის. მაგრამ ეს მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ შინაგანი წინააღმდეგობანი ყოველ ცალკე იმპერიალისტურ ქვეყანაში უფრო და უფრო არ მწვავდებიან. შინაგანი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებში **მწვავდებიან და აუცილებლად უნდა მწვავდებოდენ კიდეც.** მაგრამ ამ წინააღმდეგობებს უკვე სხვა ხასიათი აქვთ. ეს წინააღმდეგობანი, რომელნიც ახასიათებენ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებას, ეხლა გამწვავდენ **სპეციფიური** მიზეზების გამო და შესამჩნევად ამწვავებენ კლასობრივ ბრძოლას, ნაწილობრივ და დროებით სტაბილიზაციის პერსპექტივაში ომი იხატება.

უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნების მდგომარეობაში სტაბილიზაციის პროცესი მრავალგვარად იჩენს თავს. ნაწილობრივი სტაბილიზაცია — ორმხრივი პროცესია. ერთის მხრივ, ხდება ერთგვარი ტეხნიკურ - ეკონომიური განმტკიცება კაპიტალიზმისა, მეორეს მხრივ კი — ამის დავიწყება არ შეიძლება არც ერთი წუთით—**იზრდებიან წინააღმდეგობანი, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, იზრდება უმუშევრობა.**

ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს შეერთებული შტატები, სადაც კაპიტალიზმის ზრდა ხდება ყველაზე უფრო ჩქარის ტემპით და სადაც, საწარმოო ძალთა ზრდასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მწვავდება უმუშევრობაც. ეს უმუშევრობა ორგანიულად დაკავშირებულია საწარმოო ძალთა ზრდასთან. სრულიად ნათელია, რომ ეს ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას შეერთებულ შტატებშიაც. 4 მილიონი უმუშევარი — ეს წვრილმანი საქმე როდია. უმუშევრობის გამწვავება გავლენას ახდენს პროლეტარიატის სხვა ფენებზედაც. ეს კაპიტალიზმის მძიმე ტვირთია. მაგრამ ამავე დროს სტაბილიზაცია იძლევა პროლეტარიატის ზოგიერთ ფენების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ანალიზი უნდა გავუკეთოთ პროლეტარიატის შინაგან სოციალურ ურთიერთობას. აქ მე საერთო სახით ვსვამ სოციალ-დემოკრატიის პრობლემას.

ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ სოციალ - დემოკრატია, ოპორტუნიზმი გაკოტრდა, — ეს დებულება სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ წყეული სოციალ-დემოკრატია მაინც არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში იზრდება მისი რიცხვი და მნიშვნელობაც. კომინტერნს გერმანიაში დიდი მიღწევები აქვს, განსაკუთრებით წინანდელ დამარცხებათა შემდეგ. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიამ არჩევნებზე 9 მილიონი ხმა მიიღო,—ეს ხომ ნიშნავს რამეს? ჩვენი განვითარებისა და ბრძოლის დღევანდელ პერიოდში ჩვენთვის საჭიროა გამოვძებნოთ ამ მოვლენის მიზეზები.

### სოც.-დემოკრატიის სიცოცხლის უნარიანობის ფესვები

საკითხს ოპორტიუნიზმის ფესვების შესახებ ჩვენ ჩვეულებრივად ვაკავშირებთ კოლონიებსა და იმ ზედმეტი მოგების საკითხებთან, რომელსაც კაპიტალისტები კოლონიებიდან ღებულობენ და რომლის მეოხებითაც ბურჟუაზია ახერხებს მუშათა ზედა ფენების მოსყიდვას. გერმანიას კოლონიები არ მოეპოვება. მაშინ რით არის გამოწვეული გერმანიის სოციალ - დემოკრატიის გაძლიერება ან თუ გინდ მისი პოზიციის სიმტკიცე? რატომ არ ჰქრება სცენიდან გამცემი სოციალ-დემოკრატია, რითი აიხსნება მისი ასეთი მოხერხებული მანევრების უნარი? ამის ახსნა არ შეიძლება ვერაგობით, მოქნილობით — ამას არა აქვს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს არ არის ყოველივე დანარჩენის განმსაზღვრელი. სოციალ - დემოკრატიის სიცოცხლის უნარიანობის ფაქტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სტაბილიზაციის პროცესთან. ამ საქმის ეკონომიური მხარე მეტად რთულია.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ზედმეტ მოგებაზე, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო უშუალოდ ღებულობს კოლონიებიდან. შეერთებულ შტატებს არა აქვს კოლონიათა ასეთი რაოდენობა. მაგრამ იღებს თუ არა იგი ზედმეტ მოგებას? დიახ, იღებს, ამაზე დაწვრილებით ვერ შევჩერდები. გაგახსენებთ მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ მარქსმა გაუკეთა ანალიზი მთელ რიგ ისეთ შემთხვევებს, როცა მსხვილი მრეწველობის ქვეყანა დიდი ხვედრითი წონით მსოფლიო მეურნეობაში იღებს დიფერენციალურ მოგებას თავისი უკეთესი ტეხნიკის წყალობით; კაპიტალიზმის ეს ზედმეტი მოგება კი დიდ როლს თამაშობს ამ ბოლო დროს. მაშასადამე, რეფორმიზმის ეკონომიურ ბაზისს წარმოადგენენ არა მარტო ის ზედმეტი მოგება, რომელსაც იღებენ უშუალოდ კოლონიებიდან, არამედ ის ზედმეტი მოგებაც, რომელსაც იღებენ მსოფლიოს საქონლის ბრუნვის დროს საზოგადოდ, კაპიტალის ექსპორტის დროს არა მარტო თავის კოლონიებში და არა მარტო კოლონიებში საზოგადოდ, და სხვ.

ავიღოთ **შეერთებული შტატები.** მას აქვს გადაჭარბებული მოგება ამერიკული კაპიტალიზმის მონოპოლიური მდგომარეობის წყალობით, თუმცა მას არა აქვს დიდი კოლონიები, რომელნიც ტერიტორიალურად შტატებს ეკუთვნოდენ.

**ინგლისი:** განვითარების მრუდე ეცემა. მაგრამ აქ **კოლონიალური** მონოპოლია ჯერ კიდევ არ გამქრალა. ბრიტანეთის იმპერიალიზმის ბაზა ვიწროვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს. აქ სწარმოებს პროცესი პროლეტარიატის გამემარცხენებისა, იზრდება გავლენა კომუნისტური პარტიისა და სხვა, მაგრამ ბრიტანეთის იმპერიალიზმის მონოპოლისტურ ბრძანებლობას არც ისე მალე ელება ბოლო, როგორც ჩვენ მოველოდით. ბრიტანეთის სამეფოს კოლონიალური მონოპოლია ჯერ კიდევ საკმაოდ მსხვილ და ფართო ბაზას წარმოადგენს ინგლისის რეფორმიზმისათვის.

**გერმანიის** შესახებ უკვე ვილაპარაკე.

იმისათვის, რომ საკმაოდ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა არის მიზეზი სოციალ-დემოკრატიის ძლიერებისა, საჭიროა გავერკვიოთ მთელ რიგ მეტად არსებით ფაქტორებში. მათ რიცხვს ეკუთვნის საკმაოდ მნიშვნელოვანი **შინაპოლიტიკური** ცვლილებები მრავალ ქვეყანაში. ყოფილ სოციალ - დემოკრატიულ და პროფკავშირულ ფუნქციონერთა საკმაოდ დიდი კადრები დღეს ხდებიან სახელმწიფო მოხელეებად, მუნიციპალურ თანამდებობის პირებად, მრეწველთა ორგანიზაციების მოსამსახურეებად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამას ვხედავთ მრავალ ქვეყანაში და უპირველეს ყოვლისა გერმანიაში. მუშათა რეფორმისტული ორგანიზაციების იმპერიალისტური ბურჟუაზიის ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან შეზრდის ტენდენციები ნიშნავს პროფკავშირულ და პარტიულ ბიუროკრატიის სახელმწიფო და მწარმოებელთა ორგანიზაციების მოსამსახურეთა კადრებად გადაქცევას. სწორედ ეს არის კორრუპციის თავისებური მეთოდები ბურჟუაზიის მხრივ.

### ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის შესახებ

მე ვფიქრობ, რომ ფაშისტურ სახელმწიფოებშიაც ნაწილობრივ იგივე პროცესი ხდება. ავიღოთ, თუ გნებავთ, ისეთი სახელმწიფო, როგორიცაა პოლონეთი, პილსუდსკის სამხედრო ორგანიზაციით „სტრელეცით". ეს ორგანიზაცია — „ნებაყოფლობითია". ოფიციალურად, რასაკვირველია, ორგანიზაცია შექმნილია მოხალისეების მიერ; მიუხედავად ამისა, ის ნახევრად სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. არიან თუ არა იქ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი — მუშები? არიან, და ამავე დროს ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებულ **ფენას** სახელმწიფოს სტრუქტურაში. ამგვარად, საერთოდ და მთლიანად სოციალ - დემოკრატიული პარტიის სიმაგრის მთავარ მიზეზებს წარმოადგენენ ჩემ მიერ ჩამოთვლილი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები. თავისთავად ცხადია, აქ როლს თამაშობენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის მოხერხებული მანევრები, ერთგვარი გამოცდილება, მოხერხებული პოლიტიკური საჭადრაკო სვლები და სხვ. ყველაფერი ეს რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგრამ ამით, მხოლოდ და მხოლოდ ამით, არ შეიძლება ავხსნათ მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ **სტაბილიზაციის პროცესი, ერთის მხრივ, ჰქმნის ეკონომიურ დასაყრდენს სოციალ-დემოკრატიისათვის, მეორეს მხრივ სტაბილიზაციის წინააღმდეგობანი ჰქმნიან ნიადაგს კომუნ. პარ. განვითარებისათვის.** ამის გამო ხშირად პარალელურად იზრდება კომუნისტების და სოციალ - დემოკრატიის გავლენა. თავის თავად ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ მრავალი სხვა მიზეზიც: მათი უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლება, ავიღოთ თუ გნებავთ სოციალური გადაჯგუფებანი იმ ფენებში, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. სოციალ-დემოკრატია ხშირად წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენების ხარჯზე იზრდება. არჩევნებში სოციალ-დემოკრატია იზრდება ბურჟუაზიული პარტიების ხარჯზედაც, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიასა და საფრანგეთში, ჩვენ აქამდის მუშათა უმნიშვნელო კადრები დავიპყარით თვით უდიდეს წარმოებებსა და ტრესტებშიაც კი, სადაც სოციალ - დემოკრატია ჯერ საკმაოდ ძლიერია.

### კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება

სტაბილიზაციის შინაგანი წინააღმდეგობანი თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ამწვავებენ კლასობრივ ბრძოლას და იმ ცვლილებების დროს თანამედროვე სახელმწიფოს და თანამედროვე კაპიტალიზმის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელთა შესახებაც მე ვლაპარაკობდი, ყოველგვარ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან გაფიცვას აქცევენ პირველხარისხოვან პოლიტიკურ მოვლენად. ასე იყო ინგლისის საყოველთაო მუშათა გაფიცვის დროს, გერმანიის მელითონეთა გაფიცვის დროს, ასე იქნება მომავალშიაც. ეკონომიური გაფიცვის პოლიტიკურ გაფიცვად გადაქცევას ხელს უწყობენ შემდეგი განსაკუთრებული პირობები: კაპიტალის ტრესტებში გაერთიანება, მწარმოებელთა ორგანიზაციების შეზრდა სახელმწიფოსთან.

ასე იზრდებიან შინაგანი წინააღმდეგობანი თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს თვითეულ ქვეყანაში თან სდევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, კომუნისტური გავლენის ზრდა. ამის საილუსტრაციოთ შეგვიძლია ბევრი ფაქტის მოყვანა. მე მხედველობაში მაქვს გაფიცვების ტალღა საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, გერმანიაში პროლეტარიატის ეგრედწოდებული გამემარცხენება, საბჭოთა კავშირისადმი თანაგრძნობის ზრდა, იმ ბურჟუაზიული პარტიების დაშლა, რომლებსაც მიჰყვებოდა პროლეტარიატი, მაგალითად, ცენტრის პარტიისა გერმანიაში, კათოლიკური ორგანიზაციებისა იტალიაში და სხ.. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გამოხატავენ აგრეთვე არჩევნების შედეგები საფრანგეთსა და გერმანიაში. სტაბილიზაციის პროცესი სავსეა წინააღმდეგობებით. ამიტომ **ვიზრდებით ჩვენც,** თუ ყოველთვის რიცხვობრივად არა, პოლიტიკური გავლენის მხრივ მაინც. ჯერ კიდევ წარსულ წელს ჰილფერდინგი თავის მოხსენებაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტეიტაგზე წინასწარმეტყველებდა: „ამხანაგებო, კომუნისტებს ადრე თუ გვიან ბოლო მოელებათ. ჩემთვის სავსებით გასაგებია, რომ ხალხი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში მძიმე ლოდად აწვა უმუშევრობა, ჩემთვის გასაგებია, რომ ხალხი, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდა თავისი ქონების დაკარგვის გამო ინფლიაციის პერიოდში, რომ ხალხი, რომელმაც დაჰკარგა ყველაფერის იმედი და შეინარჩუნა მხოლოდ რწმენა ძალადობისადმი, — რომ ამ ხალხმა გარდამავალ განწყობილების გამო შეიძლება ხმა მისცეს კომუნისტებს. მაგრამ პოლიტიკური მოძრაობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კომუნისტურ პარტიას. მისი საქმე გათავებულია". (სიცილი). სინამდვილეში სულ სხვანაირად გამოვიდა. კომუნისტური პარტიები შეუჩერებლივ იზრდებიან. ამას მოწმობენ თუგინდ არჩევნები გერმანიაში, სადაც კომპარტიას ხმა მისცა 3 ერთი მეოთხედ მილიონმა ამომრჩეველმა. როგორ სამარცხვინოდ მოსტყუვდა ბ-ნი ჰილფერდინგი ამას მოწმობენ აგრეთვე არჩევნები საფრანგეთში, თუ ამ არჩევნებს მივუდგებით არა იმ თვალსაზრისით, რომელიც გავლენას აფასებს მანდატების რიცხვის მიხედვით. ჩვენი პოლიტიკური გავლენა იზრდება კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა ზრდასთან პარალელურად. მაგრამ ამასთანავე ერთად ნაწილობრივ იზრდება აგრეთვე სოციალ - დემოკრატიის გავლენა და თვით სოციალ - დემოკრატიაც.

უკანასკნელ წლებში სოციალ-დემოკრატიამ ღრმა ევოლიუცია განიცადა. შეცდომა იქნებოდა სოციალ - დემოკრატიის შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რას წარმოადგენდა ის, მაგალითად, 1914 წელს. სოციალ - დემოკრატია 1914 წლის 4 აგვისტოს იყო მხოლოდ ემბრიონი, თანამედროვე, სოციალ - დემოკრატიის მხოლოდ ჩანასახი. სოციალ-დემოკრატიის ეხლანდელმა იდეოლოგიამ დაჰკარგა თვით კვალი — მარქსისტული ფრაზების უკანასკნელი ნაშთებიც კი. ამჟამად სოციალ-დემოკრატიის სულიერ საზრდოს წარმოადგენს მაკდონალდის აბდაუბდა, რომელსაც მას ინგლისიდან აწვდიან. სოციალ - დემოკრატიის ბელადები ცდილობენ, რაც შეიძლება მადიანად მოამზადონ ეს კერძი.

### სოციალ-დემოკრაციის ცეზარისტული სახე

ამ დღეებში ამხ. რიაზანოვმა ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში — „პრავდა"-ში გამოაქვეყნა ლასალის მიწერ-მოწერა ბისმარკთან. ეხლა უკვე სავსებით აშკარაა, თუ რა პოლიტიკური ფიგურა იყო ლასალი. ბისმარკისადმი გაგზავნილ წერილში ფერდინანდ ლასალი ამბობს — კარგი იქნება სოციალური მონარქიის დაარსება, რომლის სათავეში მეფე უნდა იდგეს. ამან დააახლოვა ლასალი ბისმარკთან და დააწყებინა მას პოლიტიკური ინტრიგა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოციალ - დემოკრატია მაინც აყენებს ლოზუნგს: „უკან ლასალისაკენ". ლასალისაკენ ამ ინსტიქტიურ უკან დახევის აზრი ეხლა ჩვენთვის ნათელია. ამაში მდგომარეობს თავისებური იდეოლოგიური ბაზისი ნოსკეს მომხრეების და იტალიის ფაშისტების დახასიათებლად. „სოციალური ცეზარიზმი" დინასტიის მეთაურობით სავსებით შესაფერი იდეოლოგიაა ეხლანდელი სოციალ-დემოკრატიისათვის. 1914 წლის აგვისტოში სოციალ-დემოკრატიამ უღალატა მარქსიზმს და მხარი დაუჭირა კაპიტალისტური სამშობლოს დაცვას. ჩვენს დროში სოციალ-დემოკრატია არის აქტიური ძალა, რომელიც შეგნებულად აშენებს კაპიტალისტურ სახელმწიფოს. სოციალ-დემოკრატიის ამ საშინაო პოლიტიკას შეეფერება მისი საგარეო პოლიტიკაც. ეხლა ის არა თუ იცავს კაპიტალისტურ სამშობლოს, არამედ კაპიტალისტური თვალსაზრისით თავის სამშობლოს აგრესიული ზრახვების განსაკუთრებით მკაფიოდ გამომხატველიც არის. გეკითხებით, განა ეხლა გერმანიაში არ არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გერმანიისათვის კოლონიებს მოითხოვენ? რა თქმა უნდა, ასეთი სოციალ-დემოკრატი ბევრია და ისინი აშკარად აყენებენ ამ მოთხოვნილებას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში იყო ასეთი შემთხვევა: ხემნიცის ყრილობამ პარტიიდან გამორიცხა შილდებრანდი მის მიერ გამოცემული წიგნის გამო, რომელშიაც ის ამგვარ იდეებს აყენებდა. ხოლო ეხლანდელი სოციალ-დემოკრატიის რიგებში მისი წევრები, რომლებიც პატივისცემით სარგებლობენ, აშკარად ქადაგებენ კოლონიალურ იდეას. ეს შემთხვევითი არაა და არც გამონაკლისია. ავიღოთ თუნდაც მეორე ინტერნაციონალის უკანასკნელი რეზოლიუცია კოლონიალურ საკითხზე, —შეიძლება მას რედაქცია გაუკეთა ბაუერმა, რომელმაც მას quasi მარქსისტული ელფერი მისცა. ამ რეზოლიუციაში ჩვენ ვხედავთ შემდეგ დანაწილებას: ზოგიერთმა კოლონიამ უნდა მიიღოს ავტონომია, სხვები პროტექტორატის ქვეშ უნდა დარჩნენ, ხოლო ზოგიერთი განვითარების ისეთ საფეხურზე იმყოფება, რომ იქ საჭიროა დატოვებულ იქნას status quo. მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, ერთა ლიგის დოკუმენტებშიაც ხომ იგივეა ნათქვამი. ამრიგად, არავითარი განსხვავება არ არსებობს ცრუ სოციალისტებსა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბანაკიდან გამოსულ არამზადებს შორის.

ან ავიღოთ თუნდაც ომის საკითხი, ერთა ლიგასთან დამოკიდებულების, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი. შედარებით 1914 წლის დროინდელი ბატონი კაუტსკი ეხლანდელ კაუტსკის: ეხლა ეს სულ სხვა კაცია, აშკარა კონტრევოლიუციონური მისწრაფებით გამსჭვალული.

### სოციალ-დემოკრატიის მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ყველა კომუნისტმა უნდა იცოდეს, რომ მომავალ ომში სოციალ-დემოკრატიის საზიზღარი როლი ყველა ჩვენს წინასწარმეტყველებას გადააჭარბებს. რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია ის განსხვავება, რომელიც არსებობს სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ წრეებსა და სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს შორის. უკანასკნელის რიგებში ადგილი ექნება სერიოზულ კრიზისებს, განხეთქილებებს, მღელვარებას, ახალი გადაჯგუფებას და სხვ. მაგრამ ხელმძღვანელი ხროვა ხელ-ხელ ჩაკიდებული იმოქმედებს უდიდეს დამნაშავეებთან იმპერიალისტური ბანაკიდან. ეს ჩვენთვის სავსებით ეჭვს გარეშეა. ბატონი ჰილფერდინგი ბედავს და ახლავე აყენებს შემდეგ არგუმენტაციას: ევროპაშიაც არსებობს უმუშევრობა; ეს უმუშევრობა იმით აიხსნება, რომ კაპიტალიზმის საქმეები სავსებით კარგად ვერ მიდის; უკეთესი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩაებმებოდეს კაპიტალისტური ქვეყნების საერთო კომპლექსში; ამას ხელს უშლის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. აქედან ისეთი დასკვნა გამოდის, რომ პროლეტარიატი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარღვევაშიო. გეკითხებით: რა არის ეს?— ეს არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პირდაპირი შეტევითი ომის იდეოლოგიური მომზადება. ჰილფერდინგის თეზისში ჯერ კიდევ ბევრია აკადემიზმი, თეორია და სხვ. მაგრამ განვითარების პროცესში ეს ეკონომიური თეზისი გადაიქცევა ძლიერ აქტუალურ და კონკრეტულ პოლიტიკურ თეზისად, ის, რაც ჯერ თეორიაშია ჩამოყალიბებული, შემდეგში მოქმედებად გარდაიქმნება. ბატონ ჰილფერდინგის ამ ფორმულის პრაქტიკული გამოხატულება მოასწავებს მხოლოდ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თავისთავად ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთ ევოლიუციას სათანადო რეაქცია უნდა გამოეწვია ჩვენის მხრივ. ყველა ამხანაგს მოეხსენება, რომ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელმა გაფართოებულმა პლენუმმა დასახა პრაქტიკული გარდატეხა საფრანგეთის და ინგლისის კომპარტიების პოლიტიკაში, და რამოდენიმედ საერთო მასშტაბითაც ეს მოხდა ჩვენი ინიციატივით, აღმასკომის ინიციატივით. ზოგიერთი ამხანაგი ამ გარდატეხას სხვადასხვანაირ მეორეხარისხოვან ფაქტორებთან აკავშირებს. მაგრამ ეს მართალი არ არის, ვინიდან ტაქტიკური გარდატეხა იმ ფაქტორებით განისაზღვრება, რომლებზედაც მე ზევით ვილაპარაკე, ეს გარდატეხა განისაზღვრება სოციალ-დემოკრატიის მთელი ევოლიუციით. ბავშობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს ჩვენ ვცდილობთ „გავმემარცხენდეთ" ოპოზიციის მიერ ჩვენთვის წამოყენებული საყვედურების შემდეგ და სხ. ეს არგუმენტაცია იმის ღირსიც კი არ არის, რომ მას პასუხი გაეცეს. ერთადერთ საყურადღებო მიზეზს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ტაქტიკას, წარმოადგენს ობიექტიური მდგომარეობის შეცვლა. სხვადასხვა კლასების, სხვადასხვა პარტიების და სხ. ძალთა შეფარდების შეცვლა. ამ საკითხს ასე უნდა მივუდგეთ: შეიცვალა თუ არა. ურთიერთობა ჩვენსა და სოციალ-დემოკრატიას შორის? პასუხი ასეთია: დიახ, შეიცვალა. გამომდინარეობენ თუ არა აქედან რაიმე პრაქტიკული დასკვნები? დიახ, გამომდინარეობენ. რატომ უწინდელზე უფრო გაბოროტებულად ილაშქრებენ სოციალ-დემოკრატები ჩვენს წინააღმდეგ პროფკავშირებშიაც და სხვა ორგანიზაციებშიაც? არა მარტო საგარეო პოლიტიკის დიდ საკითხებში, არამედ ყოველ საკითხშიაც, ყოველ დარგში, ჩვენი პოლიტიკური ხაზი პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ ხაზს. ავიღოთ თუნდაც მდგომარეობა ცალკე ფაბრიკებში. როგორია სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა ფაბრიკაში? სამოქალაქო მშვიდობიანობა, გაფიცვების უარყოფა, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის შეზრდა კაპიტალისტურ ორგანიზაციებთან, „მონდიზმი" მთელი ხაზით,—ასეთია სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ფაბრიკაში და არა მარტო ფაბრიკაში, არამედ ტრესტთან, სახელმწიფოსთან, ერთა ლიგასთან დამოკიდებულებაშიაც,—ყველგან. ეს ხაზი მთელი თავისი თანამიმდევრობით ერთბაშად როდი წარმოშობილა. ის თანდათანობით ჩამოყალიბდა მაგრამ რამდენადაც ის ასეთია, უნდა გამოვიყვანოთ, თუ არა აქედან განსაზღვრული დასკვნები? რა თქმა უნდა, აქედან ჩვენ პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი დაგვამარცხებს.

ამხ. ბუხარინი ტრიბუნაზე

### III. ჩვენი ტაქტიკური გეზი

### გეზის შეცვლა--ობიექტიური ცვლილებების სწორი შედეგია

ობიექტიური მდგომარეობის ცვლილებამ გვაიძულა, რომ ამ ტაქტიკური გეზის შეცვლა მოგვეხდინა. ეს იყო სწორი რეაქცია რომელიც მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვია. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს **ინგლისი.** მუშათა პარტია, რომელიც ოდესღაც უსახო ორგანიზაციას წარმოადგენდა და მოკლებული იყო პარტიულ დისციპლინას, ახლა კონტინენტალური ტიპის ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხასიათს იღებს. მას აქვს პროგრამა, პარტიული დისციპლინა, იგი მიისწრაფვის და ცდილობს შეგვბოჭოს პარტიული დადგენილებებით, პოლიტიკურად შეგვბოჭოს თავისი გავლენის შემწეობით, რომელიც მას პროფკავშირებში აქვს. იგი გვრიცხავს, იერიში მოაქვს ჩვენზე. თუ ჩვენ ახლაც წინანდელ ლოზუნგს მივყვებით და წინანდელ ურთიერთობას შევინარჩუნებთ, რათა არ ჩავშალოთ შეკავშირებული პროლეტარიატის საერთო ფრონტი, მაშინ დავილუპებით: დავკარგავთ საკუთარ პოლიტიკურ სახეს, და, მაშასადამე, დამოუკიდებელი არსებობის უფლებასაც. მტერი დაგვამარცხებდა, და ასეთი მდგომარეობიდან დასკვნები რომ არ გამოგვეტანა, სისულელე იქნებოდა, ჩვენ უნდა ვსთქვათ: ინგლისის პარტიაში გეზის შეცვლა გამოიწვია ობიექტური მდგომარეობის შეცვლამ, მუშათა პარტიის ორგანიზაციის ახალმა მეთოდებმა, მუშათა პარტიის და ჩვენი პარტიის ახალმა ურთიერთობამ. ყველაფერი ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორებია.

იგივე უნდა ვსთქვათ **საფრანგეთის** შესახებაც. შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენენ მისი სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე წარმომადგენელნი—პოლ ბონკური თავისი სამხედრო კანონით. ალბერ ტომა, რომელმაც ცამდე აიყვანა მუსოლინი. ტომას და ბონკურს არ აძევებენ პარტიიდან, არამედ პირიქით, მათი გამართლების საბუთს ეძებენ. „მემარცხენე" ფრიც ადლერი სწერს უბადრუკ წერილს და ფაქტიურად იცავს ტომას რომელიც ქებათა-ქებას უძღვნიდა ფაშიზმს. ასე იქცევიან მე-2 ინტერნაციონალის ყველაზე უფრო „მემარცხენე" ელემენტები, ასე სწერს ის კაცი, რომელმაც ომის დროს, მის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად, მინისტრი მოჰკლა!

რაც შეეხება საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, აქ კიდევ რამდენიმე მომენტი იყო, რამაც გვაიძულა, რომ ტაქტიკა შეგვეცვალა. თქვენ იცით, რომ საფრანგეთის პარტიას ჯერ კიდევ ეტყობა საპარლამენტო ილიუზიების ნაშთები. ახლო წარსულის არჩევნები გადაიქცენ პარტიის გზის შემცვლელ პუნქტად, რომელიც უნდა შევაფასოთ არა მარტო ხსენებული არჩევნების თვალსაზრისით, არამედ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მთელი შემდგომი პოლიტიკის თვალსაზრისითაც. რამდენათაც ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ დიდი კლასობრივი ბრძოლა მოგველის, რომლის დროსაც პარლამენტარიზმს, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, შეუძლია მეტად საძაგელი როლი შეასრულოს, ყველაფერი უნდა მოგვეხერხებინა, რომ ასეთ ტრადიციასთან კავშირი გაგვეწყვიტა.

ამგვარად, ჩვენი ტაქტიკური გარდატეხა დაკავშირებულია მდგომარეობის ობიექტიურ შეცვლასთან, და ეს გადაიქცა სიგნალად, რომ ჩვენს უდიდეს კომუნისტურ პარტიებში გეზის შეტრიალება მომხდარიყო. **ამ გეზის შეტრიალების პოლიტიკურ ღერძს წარმოადგენს შეცვლილი დამოკიდებულება სოციალ - დემოკრატიულ პარტიებისადმი.** სოციალ - დემოკრატიულ პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხი — ძირითად პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. სოციალ - დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავება — ასეთია კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკური გეზი, და ვფიქრობ, რომ ეს ლოზუნგი, ეს პოლიტიკური ორიენტაცია უნდა მიიღოს ჩვენმა მე-6 კონგრესმაც. ამავე დროს მე უნდა აღვნიშნო, რომ ბრძოლის მეთოდების მიმართვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების წინააღმდეგ სრულებითაც არ ნიშნავს **მთლიანი ფრონტის ტაქტიკის** უარყოფას, როგორც ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს. პირიქით, რაც უფრო მკვეთრად გავილაშქრებთ სოციალ - დემოკრატიის, მისი პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ, მით უფრო გადაჭრით უნდა დავსვათ მასების დაპყრობის პრობლემა, სხვათა შორის სოციალ-დემოკრატიული მასებისაც, იმ მუშათა მასებისაც, რომლებიც მას მისდევენ და მით უფრო ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ ამ მასებისათვის. ამ მასებისათვის ნაყოფიერი ბრძოლის საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენ გამოვიყენოთ მათთან დაახლოვების სათანადო მეთოდები. მხოლოდ მოუფიქრებელ ადამიანებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ რაკი ჩვენ გაალმასებულ ბრძოლას ვაწარმოებთ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, საჭირო არ იყოს სოციალ - დემოკრატ მუშებთან ლაპარაკი. ჯერ კიდევ ყველას საკმაოდ არა აქვს შეგნებული ეს ორმაგი ამოცანა. ჯერ კიდევ ყველა სერიოზულად არ ჩაჰფიქრებია ამას. **სწორედ ეს შეადგენს ამჟამად ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად ამოცანას.**

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 172.

---

⁂

„ისკრა"-ს გამოსვლით დაიწყო შეურიგებელი და სისტემატიური ბრძოლა „ეკონომიზმთან" და „ბერნშტეინიადას"-თან (არსებითად ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს).

აქაც, ისე როგორც საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოცემის საკითხში, მთელი სიმძიმე თავის ზურგზე გადაიტანა ლენინმა.

ლენინმა ბრძოლა ოპორტიუნიზმთან აკადემიური დავის ვიწრო ფარგლებიდან გადაიტანა რუსეთის სინამდვილესთან და ყოველდღიურ მოვლენებთან დაკავშირებულ ბრძოლის ფართე ასპარეზზე. ლენინმა პირველმა გარკვევით ჩამოაყალიბა ოპორტიუნიზმთან სადაო ყველა საკითხები და ასევე გარკვევით და მკაფიოთ განსაზღვრა რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიის ამოცანები.

მთელ რიგ წერილებში, რომლებიც ლენინმა მოათავსა „ისკრა"-ში და „ზარია"-ში*) და განსაკუთრებით ბროშიურით „რა ვაკეთოთ" **) ლენინმა მოგვცა ევროპისა და რუსული ოპორტიუნიზმის ბუნების ბრწყინვალე ანალიზი და ასეთივე ბრწყინვალე გარკვეული პასუხი იმდროინდელ „წყეულ კითხვებზე".

პირველ ყოვლისა ლენინი და „ისკრა" გამოვიდნენ იმ მემკვიდრეობის სიწმინდის დასაცავად, რომელიც მარქსმა და ენგელსმა დაუტოვეს საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიას.

როცა „ისკრა" გამოვიდა ბერნშტეინიადის და ეკონომიზმის განმანადგურებელი კრიტიკით, „ეკონომისტებმა" ამას „ვიწრო დოგმატიზმი" და „გაუტანლობა" უწოდეს. ისინი ამხედრდენ „შეზღუდულობის" და „დოგმატიზმის" წინააღმდეგ და „კრიტიკის თავისუფლების" დამცველთა როლში გამოვიდნენ.

ლენინმა გესლით აღსავსე ირონიით გამოააშკარავა მათი „კრიტიკის თავისუფლების" ტრფიალის ნამდვილი ბუნება.

„ვინც განზრახ არ ხუჭავს თვალს, მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ახალი „კრიტიკული" მიმართულება სოციალიზმში არის სხვა არაფერი, თუ არა ოპორტიუნიზმის ახალი სახე. და თუ ხალხის შესახებ ვიმსჯელებთ არა იმ ბრწყინვალე მუნდირის მიხედვით, რომელიც მათ ჩაიცვეს, არა იმ ეფექტიანი სახელწოდების მიხედვით, რომელიც მათ თვით მიიღეს, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან და რას ქადაგობენ სინამდვილეში.— ნათელი შეიქნება, რომ „კრიტიკის თავისუფლება" არის თავისუფლება ოპორტიუნისტული მიმართულებისა სოციალ - დემოკრატიაში, თავისუფლება სოციალ-დემოკრატიის გადაქცევისა რეფორმების დემოკრატიულ პარტიათ, თავისუფლება ბურჟუაზიულ იდეებისა და ბურჟუაზიულ ელემენტების ჩანერგვისა სოციალიზმში". *)

ლენინი კატეგორიულად უარყოფდა ჭაობისკენ წათრევის თავისუფლებას.

„ჩვენ მაგრათ ხელიხელ ჩაკიდებული მივდივართ სახიფათო და მძიმე გზაზე. ჩვენ ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ვართ მტრებით და ჩვენ თითქმის მუდამ გვიხდება წინსვლა მათ ცეცხლქვეშ. ჩვენ შევერთდით, თავისუფლად მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად. სწორედ იმიტომ, რომ ვიბრძოლოთ მტრებთან და არ გადავიჩეხოთ მეზობელ ჭაობში, რომლის მცხოვრებლები თავიდანვე გვკიცხავდნენ იმისათვის, რომ ჩვენ გამოვიყავით ცალკე ჯგუფად და ავირჩიეთ ბრძოლის და არა შერიგების გზა. და აი, ზოგიერთი ჩვენთაგანი იწყებს ყვირილს: წავიდეთ ამ ჭაობში! — და როცა მათ არცხვენენ, ისინი გვიპასუხებენ: რა ჩამორჩენილი ხალხი ხართ თქვენ! და როგორ არ გრცხვენიათ, რომ უარყოფთ ჩვენს უფლებას მოგიხმოთ უკეთეს გზაზე! — ო, დიახ, ბატონებო, თქვენ თავისუფალი ხართ არა მარტო მოგვიხმოთ, არამედ წავიდეთ სადაც თქვენ გსურთ, თუგინდ ჭაობში; ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ თქვენი ნამდვილი ადგილი სწორედ ჭაობია და ჩვენ მზად ვართ შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ იქ გადასახლებაში, მაგრამ მაშინ დაინებეთ თავი ჩვენს ხელებს, ნულარ გვეპოტინებით და ნუ სვრით დიად სიტყვას — „თავისუფლება", ვინაიდან ჩვენც ხომ „თავისუფალი" ვართ წავიდეთ, სადაც ჩვენ გვსურს, თავისუფალი ვართ ვებრძოლოთ არა მარტო ჭაობს, არამედ იმათაც, ვინც ამ ჭაობისკენ უხვევს".

ბროშურა „რა ვაკეთოთ", საიდანაც ამოღებულია ეს ამონაწერები, დაბეჭდილია 1902 წ.

ამრიგად, ლენინმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არავინ სერიოზულად არ ფიქრობდა ოპორტიუნიზმის წარმოშობის ნიადაგზე მოსალოდნელ გათიშვის შესახებ სოციალ - დემოკრატიის რიგებში, დაინახა ფაქტიურად არსებული ორი მიმართულება სოციალ - დემოკრატიაში: ერთი, რომელიც ჭაობისაკენ მოუწოდებდა, რომელიც სოციალ-დემოკრატიას უპირებდა რეფორმების პარტიათ გადაქცევას, მეორე — რევოლიუციონური, რომელიც დარჩა მარქს ენგელსის მოძღვრების ერთგული და ამ მოძღვრების ნიადაგზე იბრძოდა სოციალ - დემოკრატიის ჭეშმარიტი იდეალების რეალიზაციისათვის.

⁂

ასეთი იყო „ისკრა"-ს პოზიცია მარქსისტული თეორიის სიწმინდის დაცვის საქმეში.

როგორი იყო „ისკრა"-ს ორგანიზაციული პრინციპები?

ჯერ კიდევ „ისკრა"-ს პირველ ნომერში (1900 წ. დეკემბერი) წერილში „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები" ლენინი სწერდა:

„რუსეთის მთელი სოციალიზმის ისტორიამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენი საარსებო ამოცანად გადაიქცა ბრძოლა თვითმპყრობელურ მთავრობის წინააღმდეგ, პოლიტიკური თავისუფლების მოპოება, ჩვენი სოციალისტური მოძრაობა, ასე ვსთქვათ უტრიალებდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლას. მეორე მხრივ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ რუსეთში რევოლიუციონური აზროვნების მოწყვეტილობა მშრომელი კლასების მოწინავე წარმომადგენლებისაგან გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, და რომ ასეთი მოწყვეტილობის გამო რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა განწირულია უძლური იყოს. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის ამოცანა რომლის განხორციელებისათვის მოწოდებულია რუსეთის სოციალ - დემოკრატია: სოციალისტური იდეებისა და პოლიტიკური თვითშეგნების ჩანერგვა პროლეტარიატის მასაში და სტიქიური მუშათა მოძრაობასთან განუყრელად დაკავშირებულ რევოლიუციონური პარტიის შექმნა".

როგორც ზემოთ გავეცანით, აშკარა და ნახევრად ფარული „ეკონომისტები" პროლეტარიატის „სადღეისო" ამოცანად თვლიდენ ბრძოლას ეკონომიურ გაუმჯობესებათათვის, „კაპეიკის მომატებისათვის მანეთზე", პოლიტიკურ ბრძოლას კი ანდობდენ ლიბერალებს.

„ისკრა" სასტიკ ბრძოლას უცხადებდა პროლეტარიატის როლის ასეთ დაკნინებას და პირიქით, მუშათა კლასს აყენებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სათავეში.

პროლეტარიატის როლისა და ამოცანების ასეთი შეფასებიდან ლოღიკურად გამომდინარეობდა პროლეტარიატის კლასობრივი პარტიის შექმნის ამოცანა. თუ „ეკონომისტები" რომლებიც მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას ან სრულიად უარჰყოფდენ ან არ თვლიდენ „სადღეისო ამოცანად", თავს არ იტკივებდენ ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე წამოსროლილი ლოზუნგის (მთლიანი პარტიის შექმნის შესახებ) რეალიზაციისათვის, „ისკრა", რომელიც დიამეტრიალურად საწინააღმდეგო პოზიციას იდგა რუსეთის პროლეტარიატის როლის საკითხში, მუშათა კლასის უპირველეს საქმედ თვლიდა საკუთარი კლასობრივი პარტიის რაც შეიძლება ჩქარა შექმნას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იყო თვითმპყრობელობის ციხე - სიმაგრის აღება და ბრძოლა სოციალიზმისათვის.

მაგრამ მთლიანი ცხოველმყოფელი პარტიის შექმნას წინ ეღობებოდა ორი გარემოება: კუსტარობა და უნიადაგო „დემოკრატიზმი".

იმ ხასიათით, რომელიც „ეკონომისტების" აზრით უნდა ჰქონებოდა მუშათა მოძრაობას, განისაზღვრებოდა ამ მოძრაობის დაქსაქსულობა. ეკონომისტები თვლიდენ, რომ რუსეთის მუშათა კლასი ჯერ არ ამაღლებულა საერთო კლასიური ორგანიზაციის შექმნის შეგნებამდე. ცალკე წრეები და ჯგუფები თავის მუშაობას ეწეოდენ დაქსაქსულად, მოძრაობის საერთო ამოცანებთან შეუფარდებლად. ხშირად მუშების ეკონომიური გამოსვლები ადგილობრივი სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების გარეშე მიმდინარეობდა, ერთსა და იმავე ქალაქში არსებობდა რამდენიმე სოციალ - დემოკრატიული წრე, რომელთაც ხშირად არავითარი კავშირი არ ჰქონდა ერთმანეთთან და სხვ.

სწორედ ამას უწოდებდა ლენინი „კუსტარობას".

თუ მუშათა და სოციალ - დემოკრატიული მოძრაობის დაწყების გარიჟრაჟზე ასეთი მდგომარეობა („კუსტარობა") შეიძლებოდა ბუნებრივად ჩაეთვლილიყო, მას შემდეგ, რაც სოციალ - დემოკრატიული მოძრაობა გავრცელდა მთელ რუსეთში და მუშათა მოძრაობამაც ფართე ხასიათი მიიღო, ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელი შეიქნა და ეწინააღმდეგებოდა იმ მისიას, რომელიც ისტორიამ რუსეთის მუშათა კლასს დააკისრა. ლენინმა ნათელჰყო, რომ კუსტარობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ეკონომიზმთან" რომელიც ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასი ჯერ არ ამაღლებულა საერთო პოლიტიკური ამოცანების წამოჭრამდე. ლენინმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ამ შეხედულებას.

მეორე ბოროტება, რომელიც არა ნაკლებ დაბრკოლებას წარმოადგენდა პარტიის შექმნის გზაზე, მდგომარეობდა იმაში, რომ „ეკონომისტების" აზრით ორგანიზაციები უნდა შექმნილიყო ფართე დემოკრატიული ნიადაგზე (საარჩევნო სისტემით). თავისთავად ცხადია, რომ ეს ლოზუნგი საშინელი პოლიციური რეჟიმის პირობებში მოასწავებდა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა აშკარად განწირვას ციხეებში ამოსალპობად, სრულიად უსარგებლოდ საერთო საქმისათვის. ბუნებრივია, რომ ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ამის წინააღმდეგ.

„პარტიული ორგანიზაციის „ფართე" დემოკრატიზმი, — სწერდა ლენინი ბროშურაში „რა ვაკეთოთ?, — თვითმპყრობელობის ტერორის პირობებში, ჟანდარმების შერჩევის პირობებში, არის ცარიელი და მავნებელი თამაში (ხაზი ყველგან ლენინისაა), ეს არის ცარიელი თამაში ვინაიდან სინამდვილეში არც ერთ რევოლიუციონურ ორგანიზაციას არას დროს ფართე დემოკრატიზმი არ გაუტარებია და არც შეუძლია გაატაროს კიდევაც, რომ ჰქონდეს ამის დიდი სურვილი, ეს მავნებელი თამაშია იმიტომ, რომ „ფართე დემოკრატიული პრინციპის" გატარების ცდები სინამდვილეში მხოლოდ უადვილებენ პოლიციას მასიურ დაპატიმრებას და დღეებს უგრძელებენ არსებულ კუსტარობას, აშორებენ პრაქტიკოსების აზრს სერიოზულ გადაუდებელ ამოცანიდან—შექმნან თავის თავიდან პროფესიონალური რევოლიუციონერები".

ლენინი ამტკიცებდა, რომ თვითმპყრობელობისა და საშინელი პოლიციურ ჟანდარმული ტერორის პირობებში შეუძლებელია მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა ფართე დემოკრატიის საფუძველზე. ის ამბობდა „არავითარი დემოკრატია, არავითარი არჩევითი სისტემა თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში არ შეიძლება. ცენტრალიზმი განმტკიცებული უნდა იქნეს ერთიანი ცენტრალური ხელმძღვანელობით, კომიტეტის დანიშვნით ზევიდან ყველა ადგილობრივი კომიტეტების დამორჩილებით ცეკასთვის, ვინაიდან სხვაფრივ არ შეიძლება, ვინაიდან სხვაფრივ — ხელსაყრელი იქნება ჟანდარმებისათვის" *).

ლენინი ამავე დროს სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა სოციალ - დემოკრატიული და ტრედ - უნიონისტული (პროფესიონალური) ამოცანების აღრევის წინააღმდეგ. ის ამბობდა (იხ. „რა ვაკეთოთ"?), რომ

„სოციალ - დემოკრატიის პოლიტიკური ბრძოლა უფრო ფართე და რთულია, ვინემ მუშების ეკონომიური ბრძოლა მწარმოებლებთან და მთავრობასთან. ასევე (და ამის გამო) რევოლიუციონური სოციალ - დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია უფრო სხვა უნდა იყოს, ვიდრე მუშების ორგანიზაცია, ასეთი ბრძოლისათვის. მუშების ორგანიზაცია პირველ ყოვლისა, უნდა იყოს პროფესიონალური; მეორე ის უნდა იყოს შეძლებისდაგვარად, უფრო ფართე; მესამე ის უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ნაკლებ კონსპირატიული (აქ და ქვევით მე, რასაკვირველია, მხედველობაში მაქვს თვითმპყრობელური რუსეთი). პირიქით, რევოლიუციონერების ორგანიზაცია უნდა აერთიანებდეს პირველყოვლისა და უმთავრესად ხალხს, რომელთა პროფესიას რევოლიუციონური საქმიანობა შეადგენს (ამიტომ ვლაპარაკობ მე რევოლიუციონერთა ორგანიზაციაზე, სახეში მაქვს რა რევოლიუციონერი — სოციალ-დემოკრატები).. ეს ორგანიზაცია აუცილებლათ უნდა იყოს ძალიან ფართო, უნდა იყოს რაც შეიძლება მეტად კონსპირატიული".

მაგრამ ასეთი პროფესიონალური რევოლიუციონერები, რომლებშიც შეთავსებული იქნებოდა თეორეტიულ - პოლიტიკური მომზადება და ტაქტიკურ საორგანიზაციო ამოცანების ცოდნა, ძლიერ ცოტა იყო, საჭირო იყო ასეთი კადრების შექმნა. ასეთი აღმზრდელისა და ორგანიზატორის როლს ლენინი აკუთვნებდა საერთო რუსეთის პოლიტიკურ გაზეთს.

როგორც ვიცით, ლენინი ჯერ კიდევ გადასახლების დროს გრძნობდა ასეთი გაზეთის აუცილებელ საჭიროებას. „ისკრა"-ს № 4-ში კი, წერილში „რით დავიწყოთ?", მან შემდეგნაირად დაახასიათა საერთო რუსეთის პოლიტიკური გაზეთის როლი:

„ჩვენის აზრით, მუშაობის გამოსავალი წერტილი, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი სასურველი ორგანიზაციის შექმნის გზაზე. მთავარი ძაფი, რომლის საშუალებით ჩვენ შევძლებთ ამ ორგანიზაციის გადაუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას, — უნდა გახდეს საერთო რუსეთის პოლიტიკური გაზეთის დაარსება. ჩვენ გვესაჭიროება პირველყოვლისა გაზეთი, მის გარეშე შეუძლებელია იმ პრინციპიალურად მტკიცე და ყოველმხრივი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება, რომელიც შეადგენს სოციალ - დემოკრატიის მუდმივ და მთავარ ამოცანას საერთოდ და განსაკუთრებით საარსებო ამოცანას დღევანდელ მომენტისას, როცა ინტერესი პოლიტიკისადმი, სოციალიზმის საკითხებისადმი, გაღვიძებულა მოსახლეობის ფართე მასებში. და არას დროს, როგორც ახლა, ისეთი ძალით არ გვიგრძვნია საჭიროება შევავსოთ ადგილობრივი ფურცლების, ბროშურების და სხვ. დაქსაქსული აგიტაცია იმ განზოგადოებული რეგულიარული აგიტაციით, რომლის წარმოება შეიძლება მხოლოდ პერიოდული პრესის საშუალებით".

ბროშურაში „რა ვაკეთოთ?" ლენინმა კიდევ უფრო განავითარა თავისი აზრი საერთო რუსეთის პოლიტიკური გაზეთის მნიშვნელობაზე.

„ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ შინაარსს, ამ საქმიანობის ფოკუსს, — სწერს ლენინი ამ ბროშურაში, —უნდა შეადგენდეს ისეთი მუშაობა, რომელიც შესაძლო და საჭიროა, როგორც ძლიერი აფეთქების, ისე სრული დამშვიდების პერიოდში, სახელდობრ: პოლიტიკური აგიტაცია, გაერთიანებული მთელს რუსეთში, რომელიც გააშუქებს ცხოვრების ყველა მხარეებს და რომელიც გავრცელდება ფართო მასებზე. ეს მუშაობა კი თანამედროვე რუსეთში **წარმოუდგენელია** (ხაზი ყველგან ლენინისაა) საერთო რუსეთის გაზეთის გარეშე, რომელიც ხშირად უნდა გამოდიოდეს, ორგანიზაცია, რომელიც თავისთავად შეიქმნება ამ გაზეთის გარშემო, ორგანიზაცია მისი **თანამშრომლების** (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. იმათი ორგანიზაცია, ვინც ამ გაზეთზე მუშაობს), მზათ იქნება სწორეთ ყველაფრისათვის, დაწყებული პარტიის ღირსების, პრესტიჟის დაცვიდან რევოლიუციონური ბრძოლის შესუსტების მომენტში და გათავებული **სრულიად სახალხო შეიარაღებული აჯანყების** მომზადებით, დანიშვნით და გატარებით".

და „ისკრა"-ც, სანამ ლენინი არ გამოვიდა მისი რედაქციის შემადგენლობიდან, იყო სწორეთ ისეთი გაზეთი, როგორსაც ლენინი სახავდა: ყოველდღიურ ბრძოლას ოპორტუნიზმთან, თვითმპყრობელობასთან, პოლიტიკურ რეჟიმთან იგი განსაცვიფრებელის მოხერხებით აკავშირებდა მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობისა და პოლიტიკური დარაზმვის ამოცანებთან.

1900 წ. დაწყებულ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით მუშებს შორის დაიწყო „ეკონომიზმის" ალმოფხვრის პროცესი, გაიზარდა ინტერესი პოლიტიკისადმი. „ისკრას"-გან დამო[illegible] ლად დაარსდა მთელი რ[illegible] რომლებიც პოლიტიკურ [illegible] პაგანდას ეწეოდნენ („სა[illegible] ში", „ჩრდილოეთის მუშ[illegible] „ბორბა" და სხვ.). ასეთ[illegible] „ისკრა"-ს გამოსვლა [illegible] დროული იყო. თითეულ[illegible] ვიძებდა მუშათა კლასის [illegible] მოუწოდებდა გაერთიანებ[illegible] ლისაკენ. „ისკრა"-ს გავლენის ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ კარგად იყო დაყენებული მისი გავრცელების საქმე. ყველაფერ ამას არ შეეძლო ხელი არ შეეწყო „ისკრა"-ს გავლენის ზრდისათვის. ისკრელი— შეიქმნა რევოლიუციონერის, მტკიცე სოციალ - დემოკრატის სინონიმი. საქმე იქამდიც კი მივიდა, რომ მეფის პოლიცია (ზუბატოვი) „ისკრა"-ს გავლენის შესასუსტებლად თვითონ ავრცელებდა ოპორტიუნისტების ლიტერატურას: ბენშტეინის ნაწერებს, „კრედო"-სა და სხვ. მაგრამ რას გახდებოდა პოლიციის ასეთი ანტიისკრული პროპაგანდა მუშათა კლასის გამოღვიძებულ შეგნებასთან.

ნაპერწკლიდან ინთებოდა ალი.

ე. წ—ძე.

---

*) ისკრელების თეორეტიული ორგანო.

**) რომელიც წარმოადგენდა ვრცელ პასუხს „ისკრა"-ს № 4-ში და № 12-ში მოთავსებულ წერილებში („რით დავიწყოთ", „საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან") აღძრულ კითხვებზე.

*) ლენინი, ტ. 5, გვ. 123 („რა ვაკეთოთ?")

*) ნ. პოპოვი „საკავშირო კომპარტიის ისტორიის ნარკვევი", გვ. 64. ამ დებულების დასაბუთება იხ. ლენინი, ტ. 5, გვ. 220 და შემდეგ.

ახალი ხელმძღვანელობა. მადლობა ღმერთს რომ კიდევ შეიძლება, საერთოდ. პარტიის ხსნა ასეთი გზით. მაგრამ იმისთვის, რომ ყოველივე ეს გაკვეთილად გამოვიყენოთ, საჭიროა ამ საკითხზე შევჩერდეთ. სამხრეთ სლავიის პარტიის შინაგანი კრიზისი, რომელიც ამდენხანს გრძელდებოდა, ამჟამად ასე თუ ისე დაძლეულია ზემოდ აღნიშნული განსაკუთრებული ღონისძიებებით და მეთოდებით.

ეხლა ჩვენ ვდგევართ ახალი უდიდესი საშიშროების წინაშე, რომელიც ემუქრება საკმაოდ დიდ პარტიას, სახელდობრ, პოლონეთის კომუნისტურ პარტიას. აქამდე არ მილაპარაკნია ცალკე პარტიების შესახებ, მე მხოლოდ ჯამი გავუკეთე ჩვენი სხვადასხვა პარტიების დეფექტებს და მოვიყვანე ეს დეფექტები სანიმუშო მაგალითებად, მაგრამ ეხლა ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ცალკე შევეხო პოლონეთის კომპარტიის საკითხს. დღეს არსებულ პირობებში პოლონეთის კომპარტია მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე სდგას. აშკარაა, რა დიდი როლის შესრულება მოუხდება ჩვენს მოძმე პოლონურ პარტიას იმ შემთხვევაში თუ ომი მოხდა. პარტია გადაიქცევა ერთ მთავარ ძალად, რომელიც კომუნისტურ ინტერნაციონალს თავის განკარგულებაში ეყოლება. პილსუდსკის მიერ მოწყობილი გადატრიალების დროს პოლონეთის პარტიამ ერთი მეტად უხეში და მავნე ოპორტუნისტული შეცდომა დაუშვა. ეს შეცდომა ჩაიდინეს გამოუკლებლად ყველა მიმართულების ლიდერებმა. პასუხისმგებლობა ამ ძირითად ოპორტუნისტული შეცდომისათვის ვერაფერის გზით ვერ დავაკისრებთ რომელიმე ამ ჯგუფთაგანს რაც უკვე აღნიშნა კომინტერნმა. პოლონეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე. ყრილობაზე, რომელიც სამ თვეზე მეტს გრძელდებოდა, რადგან ყოველი საკითხი, ყოველი შემთხვევა იწვევდა უთანხმოებას და დავას ორივე ფრაქციის შორის, კომინტერნის წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ პოლიტიკური უთანხმოებანი პოლონეთის პარტიის შიგნით ფაქტიურად თითქმის აღმოფხვრილია. მიუხედავად ამისა, ამ ყრილობის შემდეგაც აღმასკომის და მთელი კომინტერნის უკიდურეს ზეგავლენას მიეწერება, თუ ეს ყრილობა პოლონეთის პარტიის გათიშვით არ დამთავრდა. ჩვენ რომ არ ჩავრეულიყავით, ეხლა პოლონეთის კომუნისტურ მოძრაობაში ორი პარტია იქნებოდა, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური უთანხმოება—ვაცხადებ ამას სრული პასუხისმგებლობით—მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ეს ხდება სულ უკანასკნელ ხანებში მაშინ, როცა გამეფებულია ისეთი ატმოსფერა, რომლის დროსაც „პილსუდჩინა" სრულიად აშკარად ემზადება იმისათვის, როცა ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი გაძლიერება სეიმის წინააღმდეგ ჭკუა-შეშლილი ადამიანის უხეში საქციელი როდია, რომ ეს არის მთელი სისტემა—ცენტრისტული ხაზი, რომელიც, პირველ ყოვლისა, მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთანავე ეს ცენტრისტული პოლიტიკა ფრიად ქვეშიური და მოხერხებულია. მართლაც, „პილსუდჩინა"-მ შესძლო რამდენიმე ოპოზიციონური პარტიის გათიშვა, შესძლო ჩვენი უკრაინული პარტიის გათიშვა, ბელორუსიის გრომადის და სხვების გათიშვა." და, სასრულ, საერთაშორისო ურთიერთობაში „პილსუდჩინამ" მოახერხა გატარება მეტად მოხერხებული პოლიტიკა (ხმა ადგილიდან: „მან შესძლო თავისი პოლიტიკის მუშათა კლასში შეტანა".), მან მოახერხა მუშათა კლასში შეჭრა. მართლაც, პოლონეთში ჩვენმა პარტიამ არა თუ გაიმარჯვა,—ვარშავის მუშათა დიდმა ნაწილმა ხმა მისცა პილსუდსკის, და თუმცა არსებულ პირობებში ჩვენმა პარტიამ მეტად დიდ წარმატებას მიაღწია, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე წარმატებასაც, მაგრამ, როგორც ამ სამი დღის წინად მიღებულ უკანასკნელი ანგარიშიდან ვტყობილობთ, ვარშავის ორგანიზაციაში უკვე ორი კომიტეტი არსებობს. მე მგონია, ეს არ შეეფერება კომუნისტური პარტიის და, საერთოდ, მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის სახელს (ტაში). ამხანაგებო, მე ვფიქრობ აგრეთვე,—თუმცა მე არ შემიდგენია თეზისების პროექტი,—რომ კონგრესი ერთხმად საგანგებოდ დაავალებს აღმასკომს მიიღოს ყოველგვარი ზომები მთლიანობის უზრუნველსაყოფად. (მქუხარე ტაში). ჩვენთვის უმჯობესია მთლიანი პარტია უბრალო მუშების მეთაურობით, ისეთი მუშების მეთაურობით, რომელნიც ომის დროს შეუპოვრად იბრძოლებენ, როგორც რევოლიუციის ჯარისკაცები, ვიდრე ორგანიზაცია ურთიერთთან მოჭიშპე ბელადების მეთაურობით, ისეთი ბელადების, რომელნიც გამწვავებული საშიშროების დროს დაღუპავენ ჩვენს პარტიას. (ტაში.)

# VII. ხელსაყრელი პერსპექტივები

## წინ, ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ!

ამხანაგებო, ჩვენს დეფექტებზე ვილაპარაკეთ, არა იმიტომ, რომ ჩვენს საერთო მდგომარეობას და წინასწარ პირობებს ჩვენი მოქმედებისათვის არადამაკმაყოფილებლად და არახელსაყრელად ვთვლიდე. სრულიად წინააღმდეგ. მთავარი პოლიტიკური საკითხების ომის საშიშროების საკითხის და იმ საკითხის მიხედვით, თუ როგორ უნდა დავახწიოთ თავი კაპიტალიზმის სტაბილიზაციის წინააღმდეგობებით შექმნილ მდგომარეობას,—ყველა ამ საკითხის მიხედვით, ჩვენ გვაქვს მუშათა კლასში უფრო ხელსაყრელი ნიადაგი. ჩვენი გავლენის უპირატესობა უდავოა კოლონიალურ ქვეყნებში, იგი უდავოა ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჩინეთი. დღეს, თუ ხვალ, იგი უდავო იქნება ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ინდოეთი. ჩვენ მოვიპოვეთ აგრეთვე უდავო უპირატესი გავლენა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მუშათა კლასში,—ვაყენებთ რა მთელი სიგრძე-სიგანით ისეთ საკითხს, როგორიც არის საკითხი ომის საშიშროების შესახებ. ამიტომ საერთო წინააღმდეგობათა გამწვავებით, კაპიტალიზმის შიგნით წინააღმდეგობის გამწვავებით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, ე. ი. იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ჟამად ფაქტიურად არსებობენ, იქმნება ხელსაყრელი ნიადაგი და ხელსაყრელი პერსპექტივები ჩვენი მუშაობისათვის, ხელსაყრელი პერსპექტივები ჩვენი წარმატებისათვის. მცირეოდენი საფუძველიც კი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტეხნიკური პროგრესი, კაპიტალისტური ორგანიზმის ნაწილობრივი გამაგრება, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პროცესი ჩვენ კისერს მოგვტეხნიებს, როგორც ამას წინასწარმეტყველებენ სოციალ-დემოკრატები. პირიქით, რაც უფრო მწვავდებიან ეს წინააღმდეგობანი, რომელნიც აუცილებლად თან სდევენ არსებულ მდგომარეობას, მით უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება ნიადაგი ჩვენს ფეხ ქვეშ. როცა ჩვენ შევიჩვევთ,—ჩვენ კი, ეჭვს გარეშეა, ბოლოს და ბოლოს შევეჩვევით,— ჩვენი ყოველდღიური მუშაობის დიდ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებას,—მაშინ შევსძლებთ ჩვენს ფერხულში ჩავაბათ დასავლეთ ქვეყნების მუშათა ფართო მასები, ჩვენს გავლენას დაუქვემდებარებთ მუშათა მოძრაობას დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, შევსძლებთ ამ საკითხების დაკავშირებას დაჩაგრული ერების ძლევამოსილ და ისტორიული მნიშვნელობის მატარებელ მოძრაობასთან. და როდესაც დაჰკრავს საათი, როცა აღიმართებიან იმპერიალიზმის ბრძოლის დროშები, მაშინ ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალი, ჩვენი პარტიები მთელი ქვეყნის მშრომელთა უთვალავი მასები იტყვიან თავიანთ სიტყვას. ეს სიტყვა იქნება სამოქალაქო ომის ლოზუნგი, იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ლოზუნგი, იგი იქნება კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდება გამარჯვებისაკენ! (მქუხარე ტაში, რომელსაც ოვაცია მოსდევს. დელეგატები ფეხზე დგებიან და „ინტერნაციონალს" მღერიან).

# ა.-კ. მებამბეობის კოოპერაციის განსამტკიცებლად

ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა საკითხი ამიერ - კავკასიის მებამბეობის კოოპერაციის განვითარებისა და განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ და დაავალა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას დააჩქაროს აღნიშნული კოოპერაციის გამოკვლევა იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებული იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისა.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს და რესპუბლიკანურ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცათ ერთი თვის განმავლობაში წარადგინონ ა.-კ. საგეგმო კომისიაში თავისი დეტალურად დამუშავებული პროექტები იმის შესახებ, რომ მათი კუთვნილი ტრაქტორები მებამბეობის რაიონებში გადაეცეს მებამბეობის კოოპერაციას გრძელვადიანი კრედიტის საფუძვლებზე.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი ვალდებულია აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო და მებამბეობის კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებთან შეთანხმებით ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს ა.-კ. საგეგმო კომისიაში პროექტი იმის შესახებ, რომ მებამბეობის კოოპერაციას გადაეცეს სრულ მის განკარგულებაში ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის შემსყიდველ პუნქტების შენობები, მოწყობილობა და სხვა ქონება.

რესპუბლიკანურმა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებმა კოოპერაციის სათანადო რესპუბლიკანურ ცენტრებთან შეთანხმებით 1-ლ სექტემბრისათვის ა.-კ. საგეგმო კომისიაში უნდა წარადგინონ თავისი მოსაზრებები აგრონომიული მუშაობის ორგანიზაციის შესახებ მებამბეობის რაიონებში.

აგრონომიულ მუშაობისათვის თანხები გადადებული იქნება მებამბეობის გაუმჯობესების ფონდიდან და კოოპერაციის სპეციალურ კაპიტალიდან.

# პარტიული ცხოვრება

## ა.-კ. თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

27 ივლისის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. პაპიკის მოხსენების გარშემო. გაცხოველებული აზრთა გაცვლა - გამოცვლა გამოიწვია საკითხმა საშუალო გლეხების მონაწილეობის შესახებ ღარიბ გლეხობის კრებებზე და იმის შესახებ, რომ მათ ხმის უფლება მიეცათ. ზოგიერთი ორატორი შიშს გამოსთქვამდა, რომ თუ საშუალო გლეხები დიდი რაოდენობით იქნებიან დაშვებულნი ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, ისინი დაჩრდილავენ ღარიბ გლეხებს.

კამათის მეორე ცენტრალური საკითხი იყო გლეხობისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა, მათთვის კრედიტების მიწოდება, მათი კოოპერატიულად შეკავშირება და კოლმეურნეობებში ჩაბმა. თითქმის ყოველ ორატორს მოჰყავდა მრავალი ფაქტი, რომლებიც ამტკიცებდა მუშაობის სისუსტეს ამ დარგში. ქვედა საფეხურის ხელმოკლე კოოპერატივებს არ მოეპოვებათ ღარიბი გლეხობის დამხმარე ფონდი, უფრო ხშირად კოოპერატივები არ იყენებენ ამ ფონდს. დარჩენილი ნაშთები უნდა გადაეცეთ ქვედა საფეხურების კოოპერატივებს.

კოლმეურნეობაში შესვლის დროს ღარიბმა გლეხმა უნდა შეიტანოს მთელი თავისი ინვენტარი და ცოტაოდენი ფული. თანხების ნაწილ-ნაწილად შეტანის დროსაც კი ღარიბს არ შეუძლია ფულის შეტანა. ამიტომ კოლმეურნეობაში გაერთიანებულ გლეხობას უნდა მიეცეს ფართო შეღავათები, ღარიბი გლეხობისათვის ნივთიერი დახმარების გაძლიერებასთან ერთად უნდა გაძლიერდეს მათ შორის კულტურული მუშაობაც. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ტემპი ღარიბ გლეხობაში.

ამხ. პაპიკის საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. სუტირინმა გააკეთა მოხსენება პრესის მუშაობის შესახებ სოფლის ცხოვრების გაშუქების საქმეში.

ამხ. სუტირინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. კილოსანიძე, ემინბეილი, მოსეშვილი, ულზაროვი და სხვ.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. სუტირინის საბოლოო სიტყვა.

საღამოს სხდომაზე მოხსენება უპარტიო გლეხობის აქტივთან მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. იზმაილოვმა. ამხ. იზმაილოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ტაგიევმა, პაპიკმა და სხვ. (ადს)

## ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში შესდგა ქუთაისის სამაზრო პარტკომის მორიგი პლენუმი, რომელსაც დაესწრო საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ლ. ლოდობერიძე. პლენუმმა მოისმინა პარტკომის მდივნის ამხ. ა. კეკელიას საანგარიშო მოხსენება.

მე არ მინდა ვილაპარაკო ჩვენ მიღწევებზე —ამბობს ამხ. კეკელია,—რადგან ამჟამად განსაკუთრებით საჭიროა აღვნიშნოთ დეფექტები, რომელიც თან სდევს ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას.

მე დავიწყებ ტყიბულის მაღაროების მდგომარეობიდან. იქ ბოლო დროს შეიქმნა უნუგეშო პირობები. ამაში რასაკვირველია მთავარი ბრალი მიუძღვის ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ამ ორგანიზაციებმა თავიდანვე ალღო ვერ აუღეს შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას—თავის დროზე ვერ გაიწმინდა მაღარო არასაიმედო ელემენტებისაგან, რომლებიც, იყო შემთხვევა, საქმიანი კრიტიკისათვის სდევნიდნენ მუშებს და სხვა. ასეთი უპასუხისმგებლო ელემენტები ამჟამად მოხსნილ ადგილებიდან და მათ მაგიერ წამოვაყენეთ პრაქტიკულ საქმიანობაში გამობრძმედილი მუშები.

პარტიამ დირექტივის მიხედვით შრომის ხელფასი მაუდის ფაბრიკაში უნდა გაზრდილიყო 13 პროც. ამავე დროს რასაკვირველია უნდა ამწეულიყო შრომის ნაყოფიერებაც. საუბედუროდ ფაბრიკაში სულ საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი: ხელფასი იზრდებოდა, შრომის ნაყოფიერება კი უკან რჩებოდა; პარტიულმა კომიტეტმა მიიღო საჭირო ზომები ამ საქმის გამოსასწორებლად.

ამხ. ა. ურუშაძის სახელობის სახელოსნოში უგეგმო მუშაობა სწარმოებდა, ვერ იყო მოწესრიგებული შემოსავალ-გასავლის ანგარიშიანობა. ეს უნდა ითქვას ელსადგურზედაც. უკანასკნელის გახსნისას გათვალისწინებული იყო წისქვილის და ხე-ტყის დამამზადებელი ქარხნის აგება, მაგრამ შემდეგ არც ერთის და არც მეორის მოწყობა არ მოხერხდა. ელსადგური კი ყოველდღიურად 150 მან. დეფიციტს იძლევა.

ბარიტის ქარხნის აგების საქმეში წინათ დიდ დეფექტებს ჰქონდა ადგილი, შემდეგ ამ უყაირათობას პარტკომმა ყურადღება მიაქცია და ნაკლოვანებები საგრძნობლად გამოასწორა.

თვითდაბეგვრით შეგროვილი ფულით ზაღდაში აგეს სახალხო სახლი. ეს სახლი 1 მაისს დიდის ზეიმით გაიხსნა, მაგრამ იმდენად ცუდათ ყოფილა აგებული, რომ გახსნაზე დამსწრე საზოგადოების სიმძიმე ვერ აიტანია და დანგრეულა. ადგილობრივმა ამხანაგებმა ეს ამბავი არც კი გამოხილეს, რაც რასაკვირველია მათ შეცდომათ უნდა ჩაეთვალოს.

შემდეგ ამხ. კეკელია დაწვრილებით ეხება ხუნკურის გზის საქმეს, ვანის სასწავლებლის შენობის აგებას, და სხვა, მიუთითებს მუშაობის უარყოფითი მხარეებზე და აღნიშნავს რომ პარტამხანაგებმა დროული ზომები უნდა მიიღონ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხ. კეკელიას მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 29 კაცმა. ორატორები შეეხენ მიწათმოწყობას, სოფლის კოლექტივიზაციას, აღმშენებლობის გეგმიანად წარმოების და სხვა საკითხებს.

კამათში გამოვიდა აგრეთვე ამხ. ლ. ლოდობერიძე, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა რომ ზოგიერთ სოფლებში თავადების ნაშთები ისევ უფრო მდიდრად ცხოვრობენ, ვიდრე გლეხობა, რის გამო გლეხები მათ გავლენის ქვეშ ექცევიან. ამის მაგალითი იყო საჩხერის რაიონში, სადაც თავადაზნაურობას მიწის საუკეთესო ნაჭრები უჭირავს და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევა გლეხობაში, საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს გლეხთა შეკავშირებას, სასოფ.-მეურნეობის კოლექტივიზაციას. და ამ გზით თავადების და კულაკების გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

მეორე საკითხად პლენუმმა მოისმინა ამხ. გ. მეტონიძის მოხსენება პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ.

ორივე მოხსენების გამო პლენუმმა სათანადო პრაქტიკული მითითებანი გამოიტანა.

ეკალ-ვარდი.

### რეზოლიუცია

ამხ. ა. კეკელიას მოხსენების გამო

1. გაძლიერდეს ცოცხალი ხელმძღვანელობა ადგილების მუშაობაზე, კერძოთ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტყიბულის პარტიულ პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას.
2. წინადადება მიეცეს სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, დაუყონებლივ შეისწავლონ შრომის ნაყოფიერების დაცემის და დეფიციტიანობის მიზეზები, რომელსაც ადგილი აქვს ზოგ წარმოებებში, ამ მიზეზთა საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით.
3. პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს განაგრძოს ბრძოლა კულაკებისა და თავადაზნაურობის როლის საკმაოდ შეუფასებლობის წინააღმდეგ და ყოველგვარი ზომები მიიღოს სოფლად კლასიური პოლიტიკის სწორად გასატარებლად.
4. დაუყონებლივ იქნეს შესწავლილი სოფლის ფენებათ დაყოფის საკითხი მაზრაში და აქედგან გამომდინარე ყველა პროცესები.
5. გაძლიერებულ იქნეს სოფლის პარტ-უჯრედების მუშაობა, რასაც საფუძვლად დაედვას იმ პოლიტიკის შესწავლა, რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია სოფლად, ღარიბთა შორის მუშაობა და კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება.
6. დაევალოს ყველა სახის კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა ღარიბებს და საშუალო გლეხების შესაკავშირებლად და ეკონომიურ იზოლიაციის გზით სასტიკი ბრძოლა აწარმოონ კულაკების და თავად აზნაურების წინააღმდეგ.
7. სამაზრკომის პრეზიდიუმმა მიიღოს ზომები, რათა თვითკრიტიკის ლოზუნგი დაყვანილ იქნეს ჩვენი პარტიის დაბალ ორგანიზაციებამდე, იმ მიზნით, რომ სალმა საქმიანმა კრიტიკამ ქვევიდან გამოაფხიზლოს პარტიული მასა და გააძლიეროს მაღლა მდგომ ორგანოების ცოცხალი ხელმძღვანელობა.
8. სასტიკი და ულმობელი ბრძოლა თვითკრიტიკის დამახინჯების წინააღმდეგ, რათა თვითკრიტიკა არ გადაიქცეს მითქმა-მოთქმის და კინკლაობის საშუალებათ.

### როგორ ვმუშაობთ

(კარდანახი, სიღნაღის მაზრა)

მიუხედავად იმისა, რომ პარტიისა და კომკავშირის წევრები ზედმიწევნით ასრულებენ საგზაო ბეგარას, ჩვენმა უჯრედმა მაინც წამოაყენა საკითხი გზატკეცილების კოლექტიურად შეკეთების შესახებ.

ეს საკითხი შემდეგ გადატანილ იქნა კომკავშირის უჯრედის კრებაზე, რომელმაც ერთხმად მიიღო პარტუჯრედის წინადადება.

16 ივნისს დილით შეგროვდნენ მთელი თემის კომუნისტები და კომკავშირელები და გაემგზავრენ გზატკეცილზე სამუშაოდ. კოლექტიურ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თემკომის მდივანი და ადგილობრივი შკოლის მასწავლებლებიც.

გლეხობა დიდათ კმაყოფილი დარჩა კომუნისტების ინიციატივით და უჯრედის ავტორიტეტი მის თვალში საგრძნობლად გაიზარდა.

კოდისუბნელი.

# მუშათა ცხოვრება

**დღეს, საღამოს 7 საათზე სახკინმრეწვის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 168) შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა კრება. დღის წესრიგში სდგას სცენარი „სკორი № 2"-ის განხილვა. კრებაზე მოწვეული არიან აგრეთვე სხვა გაზეთების მუშკორებიც.**

### ვებრძოლოთ სამუშაო საათების გაცდენას

წარმოება-დაწესებულებებში სამუშაო საათების არა საპატიო მიზეზით გაცდენასთან ბრძოლა ჯერ კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მართალია, ადმინისტრაცია ხშირად უცხადებს საყვედურს და აძლევს გაფრთხილებას თანამშრომლებს სამუშაო საათების უმიზეზოთ გაცდენის გამო, მაგრამ ასეთი საყვედურებითა და გაფრთხილებებით ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ. გაფრთხილება და საყვედური მხოლოდ დროებით შეაჩერებს სამუშაოების გაცდენას. მის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად საჭიროა უფრო რთული და ხანგრძლივი მუშაობის წარმოება მუშა-მოსამსახურეებში.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პროფორგანოს სწორ მუშაობას და საკლუბო მუშაობის გაცხოველებას ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენ მუშათა კლუბებს ამ დარგში ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებიათ; თბილისის ვერცერთ მუშათა კლუბში ვერ ნახავთ უბრალო წარწერასაც კი ლოთობის წინააღმდეგ. დრო გამოშვებით იკითხება ლექციები ამ თემაზე, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს ლექციები უფრო ვიწრო მეცნიერული ხასიათისაა და მათ მუშის ყოველდღიურ მუშაობასთან და პირად ცხოვრებასთან ნაკლები კავშირი აქვთ და, მეორე, მარტო ლექციების წაკითხვით ვერ მოვსპობთ ვერც ლოთობასა და ვერც სამუშაო საათების უნაყოფოდ გაცდენას, თუ ამ ლექციებთან ერთად კლუბის წევრებს არ ვაჩვენეთ მხატვრული დადგმები ლოთობის შედეგებისა და საერთოდ მისი მავნებლობის შესახებ. ასეთ მუშაობას კი მუშათა კლუბები ან სულ არ აწარმოებენ, ან, თუ აწარმოებენ, ძალიან სუსტად.

მუშათა კლუბების ყოველდღიური მუშაობა მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენი წარმოებების საქმიანობასთან და მუშათა ყოფა-ცხოვრებასთან. დღემდე ეს ასე არ არის. მუშათა კლუბების უმრავლესობა უმთავრესად თავიანთი ეკონომიურ მდგომარეობის გამაუმჯობესებელ მუშაობას აწარმოებენ. ნამდვილი საკლუბო მუშაობის საკითხები კი უყურადღებოდ რჩებათ. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში, აღმშენებელთა კლუბში, მედსანშრომის მუშაკთა კლუბში და სხვა. ამ მხრივ მხოლოდ სახ. საფეიქრო მუშაკთა კლუბი შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად. უკანასკნელი ასე თუ ისე აწარმოებს ისეთ მუშაობას, რომელიც დაკავშირებულია პროფკავშირის წევრთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

კლუბის გამგეობებმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ და გააცხოველონ მუშაობა ლოთობისა და ამ ნიადაგზე სამუშაო საათების გაცდენის წინააღმდეგ.

ყ—ნი.

მზღვევე სალაროზე, საიდანაც იღებდა თვეში 60 მან. ფურცხალავს სალაროზედ გადარიცხვის შემდეგ ღუმელების ანთება დაავალეს დარაჯებს, შეშის ამოტანა კი კერძო მუშებს, რასაც ცალკე იხდიდნენ ფულს. ასე ატარებს აღნიშნული დარგის ადმინისტრაცია ხარჯების შემცირებას.

ხელაშვილმა უყურადღებოთ არ დასტოვა თავისი უკანონოთ დათხოვნა. მან შეიტანა განცხადება სათანადო ორგანოში, საიდანაც განცხადება გადადის სხვადასხვა დაწესებულებებში განსახილველათ, ხელაშვილი კი დადის მშიერი და სტკეპნის ქუჩებს. მოახლოვდა გაზაფხული, ხელაშვილი სთხოვს მუშკომს და ადმინისტრაციას, რათა ბაღში მაინც მიიღონ სამუშაოთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აქაც მოჰყავთ ვიღაცა ფურცხალავა და აძლევენ მას ბაღის მოსაწესრიგებლათ 200 მან. ამ გარემოებამ აიძულა მოქ. ხელაშვილი მიემართა შრომის სასამართლოსათვის, რომელმაც ხელაშვილი აღადგინა თავის უფლებებში.

ეს დადგენილება ადმინისტრაციამ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საკითხი გადასწყვიტა ხელაშვილის სასარგებლოთ. დღეს ამხ. ხელაშვილი დადის აღმასრულებელი ფურცელით ხელში, მაგრამ მას არც სამსახურს აძლევენ და არც გაცდენილ თვეების ხელფას. რა ქნას, ვისს მიმართოს სიმართლის აღსადგენად არ იცის. საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას და ბოლო მოუღოს ხელაშვილის რვა თვის ტანჯვას და ტყუილ უბრალოდ ფულების ფანტვას.

სოფლელი.

### მუშკორთა წერილებიდან

**ავლაბარშიც მოაწყვეთ გამოფენა.** ახლო მომავალში, მუშათა კლუბებში მოეწყობა მხატვრული ნაწარმოების გამოფენა. საჭიროა ასეთი გამოფენა მოეწყოს ავლაბარშიაც.

ხ. ლომთათიძე.

---

**ვერის დაღმართი არ ირწყვება.** გასულ წელს, თითქმის ყოველ დღე, დილითაც და საღამოთიც რწყავდნენ ვერის დაღმართს. წელს კი რატომღაც მიანებეს თავი დაღმართის მორწყვას. აღმასკომო, რატომ არ რწყავთ ვერის დაღმართს?

იუპიტერი.

---

**მცენარეებს არ უვლიან.** ყოფილი ვერ-ს პარკი, ბორანის მახლობლად, ამჟამად ძალიან უყურადღებოდ არის მიტოვებული. მოუვლელობის გამო მცენარეები სულმთლად გაყვითლებულია. აღმასკომო, მოუარეთ ბაღს.

მნახველი.

---

**ქუჩას გვიფუჭებს.** ლენინის უბანში, ფირკოფელისა და კრიაგის ქუჩების კუთხეში სცხოვრობს ვინმე პ. ტაბატაძე, რომელსაც წვიმის დროს გამოაქვს თავის ეზოდან აუარებელი მიწა და ჰყრის ქუჩაში. ამის შესახებ მეორეთ მეტი უბნის კომისარიატმა რამოდენიმეჯერ მისცა წინადადება, რომ აღარ გაემეორებია მიწის ქუჩაში დაყრა, მაგრამ მოქ. ტაბატაძე მაინც განაგრძობს მიწის გადმოყრას და ქუჩის დაზიანებას. აღმასკომო, მიაქციე ყურადღება.

სოლმინ.

---

**ბიუროკრატი გამგე.** (ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა). ახალ დაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის გამგე მოქ. ლ. ბლიაძე უდიერად ეპყრობა მუშებს. ამას წინად მან მუშები, რომლებმაც სთხოვეს გაზეთის ფასის დასაფარავად გაეღო ავანსი, ყვირილით და უშვერი სიტყვებით გამოაგდო კაბინეტიდან. ასეთი შემთხვევა წინადაც ყოფილა. პროფკავშირმა უნდა გამოასწოროს ბიუროკრატი გამგე.

დაუნდობელი.

# საბჭოთა კავშირი კელნის გამოფენაზე

(საუბარი საბჭოთა მთავრობის რწმუნებულთან კელნის გამოფენაზე ამხ. ა. ხალატოვთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებული კელნის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე და საბჭოთა პავილიონის გამგე ამხ. ა. ხალატოვი. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ხალატოვმა საბჭოთა პავილიონის წარმატების შესახებ განაცხადა:

— მე პირადათ კელნიდან წამოსული ვარ თითქმის ერთი თვეა, მაგრამ ჩემს მაგიერ იქ დატოვებული ამხ. სტოკლინსკი სისტემატიურად გვატყობინებს, თუ როგორ იზრდება საბჭოთა პავილიონით დაინტერესება, განსაკუთრებით უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულთა შორის. საბჭოთა პავილიონს ყოველდღიურად ათვალიერებს 20-ზე მეტი ექსკურსია, რომელიც ჩამოსული არიან სხვადასხვა ქვეყნებიდან. შეიძლება ითქვას, რომ გამოფენის არც ერთი პავილიონი არ იწვევს ისეთ ინტერესს ჩამოსულთა შორის, როგორც საბჭოთა პავილიონი. ტეხნიკური მოწყობილობის და მხატვრული მორთულობის მხრივაც საბჭოთა პავილიონი არ ჩამოუვარდება არც ერთი სახელმწიფოს პავილიონს.

საბჭოთა პავილიონში მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეების პერიოდული გამოცემების დემონსტრაცია ტრანსმისიების საშუალებით.

პავილიონის ტერიტორიაზე მოწყობილია აგრეთვე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ რევოლიუციონურ კინოფილმების ჩვენება, რასაც ყოველდღიურათ 6 საათის განმავლობაში აუარებელი ხალხი ესწრება. დღემდე ე. ი. 26 ივლისამდე, სულ მთელი გამოფენა და მათ შორის საბჭოთა პავილიონიც დაუთვალიერებია 1.500.000-ზე მეტ კაცს.

გამოფენა კიდევ გაგრძელდება დაახლოებით სამი თვე. აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ან სექტემბრის დასაწყისში გამოფენაზე მოწვეული იქნება ორი კონგრესი, რომელსაც დაესწრებიან ყველა ქვეყნების წარმომადგენლები. 1-ლი კონგრესი მოწვეული იქნება აგვისტოს ბოლო რიცხვებში პოლიგრაფიული საქმეებისა და წიგნის გარეგანი ფორმის საკითხების შესახებ. საბჭოთა კავშირიდან აღნიშნულ კონგრესზე დასასწრებლათ გაიგზავნება დელეგაცია 3 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში არჩეული არიან მუშა ნილოვი (ლენინგრადიდან), დაწინაურებული მუშა-მბეჭდავი რიაბოვი (მოსკოვიდან) და პროფ. შელკუნოვი.

მეორე საერთაშორისო კონგრესი, რომელიც გაიხსნება სექტემბერში, მოწვეულია საგაზეთო საქმის გაუმჯობესების საკითხებზე. აღნიშნულ კონგრესზედაც გაგზავნილი იქნება ცალკე დელეგაცია.

გამოფენაზე დასასწრებლათ საბჭოთა კავშირიდან უკვე გაიგზავნა ერთი ჯგუფი, ხოლო მეორე ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით გაემგზავრება 28 ივლისს მოსკოვიდან. აგვისტოში საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილი იქნება კიდევ სამი ჯგუფი. საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილ ჯგუფების წევრებს ევალებათ გამოფენის ყველა განყოფილებათა შესწავლა საკუთარ სპეციალობათა მიხედვით.

გამოფენის დახურვის წინ, გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ ე. წ. „საბჭოთა კვირეული", რომლის ჩასატარებლათაც გავემგზავრები კელნში აგვისტოში.

სხვათაშორის ამხ. სტოკლინსკიმ შემატყობინა საჩქაროდ გაუგზავნოთ მას გამოფენისათვის ზოგიერთი მასალები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ.

# როგორ მიმდინარეობს პურის დამზადება

თბილისში ჩამოვიდა პურის დამამზადებელ სრულიად საკავშირო საქ-კიო საზ-ბის „სოიუზ-ხლების" წარმომადგენელი ამხ. ვიგვინსკი, რომელმაც პურის დამზადების მიმდინარეობის შესახებ განაცხადა:

— პურის დამზადება უკვე დაწყებულია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რაიონებში, სადაც პურეულის კულტურას მისდევენ. დამზადების საქმეს ხელმძღვანელობს მხოლოდ ჩვენი საზოგადოება, რომელშიაც გაერთიანებული არიან ყველა რესპუბლიკანური, საოლქო და საგუბერნიო პურის დამამზადებელი ორგანიზაციები. საზოგადოება „სოიუზ-ხლებ"-ს გადაეცა აგრეთვე საბჭოთა კავშირში არსებული ყველა ელევატორები, გარდა სანავთსადგურო ელევატორებისა. „ხლებოპროდუქტის" ა.-კ. კანტორა უკვე გადაკეთებულია „სოიუზხლებ"-ის კანტორათ.

ახალი მოსავლის დამზადება ყველგან წარმატებით მიმდინარეობს, ასე, რომ 2—3 კვირის განმავლობაში ყველა დიდი ქალაქები და მსხვილ საწარმოო ცენტრები უზრუნველყოფილი იქნებიან პურის დიდი მარაგით. კერძოთ, ამიერ- კავკასიისათვის უკვე მიღებულია ხორბლეულის დიდი პარტია, რომელიც გაგზავნილია ბაქოს წისქვილებში დასაფქვავად.

ამიერ-კავკასიის ქალაქებს დაახლოებით ერთ თვეში მიეცემათ თეთრი პურის ფქვილი.

# ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

საკავშირო სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის „კავშირთ-კავშირი"-ს დავალებით, „სოფლის კავშირი" 1 აგვისტოსათვის იწვევს ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირს. თათბირზე მოწვეული არიან საქართველოდან „სოფლის კავშირი"-ს, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის, „აჭარწარმოკავშირის", „საქართველოს ღვინო"-ს, აფხაზეთის „სოფლის კავშირის" და ოსეთის „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორები; აზერბეიჯანიდან „ქებირლიკი"-ს, „ბამბუკბირლიკი"-ს, ყარაბაღის და ნახიჩევანის კავშირის ინსტრუქტორები; სომხეთიდან — „აიგიუხკოოპის", „აიგინკოოპის" და „მასლოცენტრი"-ს ინსტრუქტორები. მოწვეული არიან აგრეთვე სას. სამ. კოოპერაციის ძირითად ქსელის წარმომადგენლები.

თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სას. სამ. კოოპერაციის ცენტრის „კავშირთ - კავშირი"-ს წარმომადგენლები, რომლებიც მოხსენებებს გააკეთებენ თათბირის დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე.

# აბრეშუმის პარკის დამზადება

„საქართველოს აბრეშუმმა" დასავლეთ საქართველოში დღემდი დაამზადა 130.000 ფუთი პარკი, აქედან ქუთაისის მაზრაში—45.000 ფუთი, ოზურგეთის მაზრაში —30.000 ფუთი, ზუგდიდის მაზრაში— 27.000 ფუთი, სენაკის მაზრაში—23.000 ფუთი, შორაპნის მაზრაში—4.000 ფუთი, რაჭის და ლეჩხუმის მაზრაში—1.000 ფუთი.

დასავლეთ საქართველოს მთიანი ადგილებიდან კიდევ მიღებულ უნდა იქნეს 5.000 ფუთზე მეტი პარკი, აღმოსავლეთ საქართველოში —10.000 ფუთი, აფხაზეთიდან —6.000 ფუთი.

პარკის ჩაბარების დროს მეაბრეშუმენი ფულს ნაღდად ღებულობდნენ.

პარკის დამზადება კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება. (ადს)

# საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურული დაახლოვებისათვის

ამჟამად თბილისში მყოფმა რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის გამგის მოადგილემ ამხ. ა. ხალატოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ მომავალი წლიდან რუსეთის სახელგამი შეუდგება საბჭოთა კავშირში მოსახლე ეროვნებათა პროლეტარული მწერლების ნაწარმოებთა გამოცემას. ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის გამოსაცემათ გადადებული იქნება განსაკუთრებული თანხა და გამომცემლობაც იწარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმით.

გამოსაცემი ლიტერატურის შესახებ რუსეთის სახელგამი შეუთანხმდება (ცალკე ეროვნებათა მწერლების კავშირებს და სხვა დაინტერესებულ ადგილობრივ ორგანიზაციებს.

ნაწილობრივათ ეროვნებათა ლიტერატურის გამოცემა უკვე დაწყებულია. ასე, მაგალითად, მოსკოვში ამ დღეებში უკვე გამოვიდა სომხეთის პროლეტარული მწერლის აკოპ აკოპიანის ნაწარმოებთა წიგნი ამხ. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობით. ახლო ხანში გამოვა აგრეთვე სამი ქართველი პროლეტ. მწერლის ნაწარმოებთა კრებული, რის შესახებაც გაზეთებში უკვე იყო მოთავსებული ცნობა. ითარგმნება რუსულ ენაზე აგრეთვე რამოდენიმე უკრაინელი მწერალი.

გარდა ამისა მომავალი წლიდან მაქსიმ გორკის წინადადებით რუსეთის სახელგამი შეუდგება ერთდროული კრებულების გამოცემას სხვადასხვა ერთა ნაციონალურ კულტურის შესახებ (ცალ-ცალკე. კრებულების გამოცემას უხელმძღვანელებს თვით მაქსიმ გორკი. კრებულებისათვის მასალების შეკრება იწარმოებს რესპუბლიკებში.

# ქვეყნის ქიმიზაციის შესახებ

ელექტროფიკაცია უდიდესი იარაღია სოციალიზმის მშენებლობაში. ეს საქმე ამჟამად მტკიცე საფუძველზე სდგას. აშენებულია და შენდება მრავალი ელსადგური და მომავალშიაც ეს მშენებლობა ისეთი ტემპით იწარმოებს, როგორიც მშრომელი ხალხის შემოქმედებას შეეფერება.

დროა შეუდგეთ სოციალიზმის მეორე ამოცანის განხორციელებას — ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციას. რათა ეს საქმე ისევე მტკიცედ მოეწყოს, როგორც პირველი საჭიროა, მისი მნიშვნელობა საფუძვლიანად შევაგნებინოთ მშრომელ მასებს. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვარკვიოთ, რა არის ქიმია და რისთვისაა იგი საჭირო, ხოლო შემდეგ განვსაზღვროთ ქიმიზაციის ცნება.

ქიმია ეწოდება მეცნიერებას, რომლის საგანს შეადგენს ნივთიერების ღრმა ცვლილებათა, შესწავლა. ნივთიერების შეერთებით, განცალკევებით და გარდაქმნით ქიმია გვაძლევს სრულიად ახალ, უდიდესი ღირებულების ნივთიერებებს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

როცა ხორბალს ვფქვავთ, ამით ვახდენთ მხოლოდ ფიზიკურ, წმინდა გარეგნულ გარდაქმნას, ვინაიდან იცვლება მხოლოდ გარეგნული სახე და არა ნივთიერების (მარცვლის) რაობა. მაგრამ თუ ხორბალს გავალფუვებთ და გამოვხდით, მივიღებთ ცოტად თუ ბევრად მაგარ სპირტს. აქ მოხდა ქიმიური გარდაქმნა, ვინაიდან შეიცვალა ნივთიერების არა მარტო სახე, არამედ რაობაც: სპირტი სრულიად ახალი ნივთიერებაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ხორბალთან, რისგანაც ის დამზადებულია.

ყოფა - ცხოვრებაში ჩვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვსარგებლობთ ქიმიით. არსებითად ჩვენ თვითონ წარმოვადგენთ ქიმიურ ქარხანას (საჭმელს ვაქცევთ ენერგიათ), მაგრამ ადამიანების დიდ უმრავლესობას ეს შეგნებული არა აქვს. ამიტომ ხშირად მოსდით შეცდომები, რაც ასე მავნებელია ჯანმრთელობისათვის და მაზარალებელი მუშაობისათვის.

მიწის განოყიერებით, მცენარეების მოშენებით, საქონლის გამოკვებით ადამიანი ქიმიურ ცვლილებებს ახდენს. დახნულ მიწაზე მოყრილი ნაკელი ქრება და მის ნაცვლად იზრდება მცენარე, რომელიც მას არაფერით არა ჰგავს. როცა ამ მცენარეთი ვკვებავთ საქონელს, ვღებულობთ ახალ ნივთიერებებს— ძვალს, ხორცს, ცხიმს, რომლებსაც თითქმის საერთო არაფერი აქვთ მცენარესთან.

მრეწველობაში გადამუშავებული მადანი, მაგალითად, სრულიად არ წააგავს იმ ლითონს, რომელიც ამ მადნისაგან მიიღება.

მაგრამ სოფლის მეურნეობის გაძღოლა და ლითონის მოპოება შეუძლია ველურსაც, ე. ი. განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს, რომელიც ცხოველისაგან შორს არ წასულა.

ველურსა და კულტურულ ადამიანს შორის ის განსხვავებაა, რომ ველური სცხოვრობს წინაპრების ანდერძით, ცუდათ იყენებს თავის შრომას და იმ პირობებსა და საგნებს, რომლებშიაც ის არსებობისათვის იბრძვის. შეგნებული ადამიანი კი ზოგავს შრომას და მასალას, იმორჩილებს ბუნების ძალებს და თავის თავს გრძნობს ცხოვრების შემოქმედათ და არა უჩინარი ძალების მონად.

ველური თავის ბინას ანათებს კვარით და პრაქით, შეგნებული ადამიანი კი ახერხებს იმავე მასალის გარდაქმნას ელექტრონის სინათლედ. როცა ველურს პურის დასათესად მიწა სჭირდება, იგი გადასწვავს ტყეს, რამდენიმე მოსავლის შემდეგ, ხტოვებს გაფიტულ ნიადაგს და მიდის ახალი ტყის გასანადგურებლად. შეგნებული ადამიანი მიწის ერთისა და იმავე ნაკვეთით სარგებლობს მუდამ, ანოყიერებს მას ნაკელით ან (კულტურის მაღალ საფეხურზე) მინერალური სასუქით, ე. ი. სპეციალური ქვების ფხვნილით ან განსაკუთრებულ ნივთიერებებით, რომლებსაც ელექტრონის საშუალებით ჰაერისაგან ამზადებს. მინერალური სასუქი ხუთჯერ და უფრო მეტჯერ ადიდებს მოსავალს, ზოგავს შრომას და მიწის მოედანს.

კულტურის მაღალ საფეხურზე ადამიანი კუნთების შრომის ნაცვლად ამუშავებს მანქანებს, რომლებშიაც მეტ წილად იწვის ქვანახშირი ან ნავთი, ე. ი. მინერალური სათბობი მასალა. ამ რიგად, ადამიანი მინიმუმამდე ამცირებს კუნთების ენერგიას და ნაკელის გამოყენებას. ქიმიის ცოდნის წყალობით, მისთვის არ არსებობს ცუდი მიწა, ვინაიდან მას ყოველგვარი მიწა შეუძლია აქციოს ნაყოფიერად. ამ გარდაქმნის შესაძლებლობა განსაზღვრავს მხოლოდ სარგებლიანობისა და მიზანშეწონილების თვალსაზრისი. უნაყოფო ქვიშნარს, ჭაობიან ადგილებს და ომით მოწამლულ და გადათხრილ მიწას ადამიანი აქცევს ნაყოფიერ ნიადაგად მხოლოდ ქიმიის შემწეობით. მიწის მორწყვა და ჭაობების ამოშრობაც ქიმიურ გამოკვლევას მოითხოვს. ერთის სიტყვით, მთელი კულტურული შეგნებული მიწათ მოქმედება ქიმიას ემყარება.

ქიმიას მრეწველობაშიაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქიმიის საშუალებით ვამზადებთ მეტად მაგარ ლითონებს, ახაფეთქებელ მასალას, რომელიც გამოსადეგია არა მარტო ომისათვის, არამედ მშვიდობიანი მშენებლობისათვისაც და სხვ.

კაპიტალისტური ქვეყნები მაშინაც კი, როცა სისხლისმღვრელ ომს არა აქვს ადგილი, აწარმოებენ მუდმივ, უსისხლო, მაგრამ მეტად მძიმე ომს — ეკონომიურ ბრძოლას არსებობისათვის. ვინაიდან ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის მიუღებელია ამ ბრძოლისა და ექსპლოატაციის სხვადასხვა მეთოდები, ამიტომ ჩვენ მთავარ საიმედო იარაღს არსებობისათვის ბრძოლაში წარმოადგენს მეცნიერულ საფუძველზე მოწყობილი შრომა. შრომის მთავარი ხელმძღვანელი, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, არის ქიმია — თანამედროვე კულტურის საფუძველი. ამიტომ ქიმია არსებობისათვის, უსისხლო ბრძოლისათვის ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაგრამ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც გარს გვარტყიან, გარდა მუდმივი ეკონომიური ბრძოლისა, დროგამოშვებით სწარმოებს ომები. ეს ომები უფრო და უფრო სასტიკი და განმანადგურებელი ხდებიან.

სამხედრო ხელოვნების მიღწევებს უკანასკნელ მსოფლიო ომის დროს მიემატა საშინელი იარაღი — საწამლავი ნივთიერება, ე. ი. სხვა და სხვა ქიმიური შხამი კვამლისა, ნისლისა და უჩინარი გაზების სახით.

პირველ ხანებში საწამლავი გაზები უმთავრესად მიმართული იყო მებრძოლთა წინააღმდეგ, რომელთაც ეს გაზები ართმევდენ ბრძოლის უნარს, ასახიჩრებდენ და სიცოცხლესაც უსპობდენ. მაგრამ სამხედრო საქმის მცოდნენი საფუძვლიანად ამტკიცებდენ, რომ მომავალ ომებში ადგილი არ ექნება მოქალაქეების დაყოფას მებრძოლებად და მშვიდობიან მცხოვრებლებად, არ იქნება ფრონტი და ზურგი: მტერი მოწამლავს თუ მთელ ქვეყანას არა (ეს მეტად ძვირი დაჯდება), ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე სოფელს მაინც. საჭიროა ვემზადოთ ამ ომისათვის, რომელსაც ჩვენი მტრები ამზადებენ მთელი ხალხების გასანადგურებლად.

ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა შევაგნებინოთ მოსახლეობას მოახლოვებული საფრთხე და გავაცნოთ ამ საფრთხესთან ბრძოლის საშუალებები. მოუმზადებელი ადამიანი ვერ შესძლებს იმ საშუალებების გამოყენებას, რომლებსაც მოგვცემს მეცნიერება ამ ბრძოლისათვის. მე ვამბობ მოგვცემს და არა გვაძლევს, და აი რატომ. მტრები თავდასხმისათვის ემზადებიან ჩუმად, ამას ისინი თავიანთ მოკავშირეებსაც კი უმალავენ. ამიტომ შეუძლებელია დანამდვილებით ცოდნა იმისა, თუ როდის რა მოგველის, შეუძლებელია მოსახლეობის წინასწარ საბოლოოდ და სავსებით მომზადება იმ საწამლავ გაზებთან საბრძოლველად, რომელთაც მტერი გამოიყენებს ჩვენს წინააღმდეგ უახლოეს ომში. შეიძლება მხოლოდ საერთო მზადება — ჩვენი ქიმიური ცოდნის გადიდება და ქიმიური მრეწველობის განვითარება. ცოდნა საშუალებას მოგვცემს სწრაფად შევითვისოთ ბრძოლის ის მეთოდები, რომლებზედაც მიგვითითებენ ჩვენი სპეციალისტები ახალი შხამებისა და თავდასხმის ახალი საშუალებების შესწავლის მიხედვით. ჩვენი მრეწველობა კი მოგვაწვდის საჭირო მასალასა და მოწყობილობას.

ქიმიური თავდაცვა სწარმოებს ორი საშუალებით: პირველი — შხამისაგან დასაცავად მიმართავენ შხამის საწინააღმდეგო საშუალებას, მეორე — შხამს შხამითვე უპასუხებენ. ბრძოლის ამ ორივე საშუალებისათვის საჭიროა განვითარებული ქიმიური მრეწველობა.

აი, რატომ სწარმოებს ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნების გააფთრებული შეჯიბრება ქიმიური მრეწველობის დარგში. მოელიან რა მეზობლების თავდასხმას, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავენ, რათა წინ გაუსწრონ ერთმანეთს ამ დარგში. საფრანგეთი დაეპატრონა გერმანიის უმთავრეს ქიმიურ ქარხნებს. ინგლისმა თავისი კაპიტალი შეუერთა გერმანიის მეცნიერებასა და ტეხნიკას ქიმიური მრეწველობის ხელ-ახლა შესაქმნელად. ამერიკა დიდძალ გერმანელ ტეხნიკოსებსა და მეცნიერებს იწვევს იმ მიზნით, რომ წინ გაუსწროს ევროპას ქიმიურ მრეწველობაში.

ამ სამხედრო მზადებას ისინი ფარავენ და ნაწილობრივ ამართლებენ ეკონომიური მოსაზრებებით.

საქმე იმაშია, რომ იმ ქარხნებს, მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ომის დროს შხამებს დაამზადებენ, მშვიდობიან დროს შეუძლიათ სასარგებლო ნივთიერებათა — წამლების, საღებავების და სხვ. დამზადებაც.

გარდა ამისა, ზოგიერთი ახალი საწამლავი ნივთიერება, ან მისი შემადგენელი ნაწილები, გამოსადეგია მავნებელი ცხოველების და მწერების და ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთია, მაგალითად, ბრძოლა კალიას, და მინდვრის თაგვებთან, რომლებიც სოფლის მეურნეობის საშინელი მტრები არიან. გადამდებ სენებთან ბრძოლაში მთავარი მნიშვნელობა აქვს სადეზინფექციო ნივთიერებას.

ამ შემთხვევაში ადამიანისათვის „ბოროტი ქიმია" მისი დამცველი „კეთილი ქიმია" ხდება. ამ მიზნით დაარსდა ქიმის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება. ამ საზოგადოების მთავარ მიზანს შეადგენდა ქიმიის გამოყენება მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებისათვის. მაგრამ მთელი მისი მუშაობა გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხნენ. ქიმიის მოყვარულთა საზოგადოება საშუალებებისა და ძალების გასადიდებლად შეუერთდა ავიაციის მოყვარულთა საზოგადოებას და შეიქმნა ძლიერი ორგანიზაცია — თავდაცვა - ავიაქიმი, ე. ი. თავდაცვისა და საავიაციო - ქიმიური მშენებლობის მეგობართა საზოგადოების კავშირი.

საბჭოთა კავშირი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია ნედლეულით ქიმიური მრეწველობის ყველა დარგის შესაქმნელად.

საჭიროა მხოლოდ ცოდნა და შრომა, იმისათვის, რომ შეიქმნას არაჩვეულებრივად ძლიერი ქიმიური მრეწველობა. თუ ჩვენ ზოგიერთი ქიმიური მასალა და პროდუქტები უცხოეთიდან შემოგვაქვს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უფრო ხელსაყრელია მათი ყიდვა, ვიდრე საკუთარი ძალებით დამზადება, ან და იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ჩვენი ნედლეულის გამოყენება. მაგრამ რაც გაიზრდება ჩვენში ცოდნა და გამოცდილება, მით უფრო შემცირდება უცხოეთიდან ქიმიური პროდუქტების შემოტანა. ეს კიდევ ცოტაა: ჩვენი სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს ზოგიერთი ჩვენი ქიმიური პროდუქტების გადატანას უცხოეთში. ვინც ჩვენ ნედლეულს გაეცნობა, ის პირდაპირ გაოცდება, როცა გაიგებს, რომ ძველი წესწყობილების დროს ჩვენს ქვეყანაში შემოჰქონდათ ისეთი ნედლეულიც კი, რომელიც ჩვენ ბლომად მოგვეპოება—მინერალური საღებავები, ცეცხლგამძლე თიხა და სხ.

თავდაცვა-ავიაქიმის მიზანს, ავიაციის განვითარების გარდა, შეადგენს ჩვენი ქვეყნის ქიმიზაცია, ამ უკანასკნელი ცნების განმარტება ასეთია: 1) ელემენტარული ქიმიური ცოდნის გავრცელება, 2) ქიმიური განათლების გაძლიერება და 3) ქიმიური მრეწველობის განვითარება.

ქიმიური ცოდნის გავრცელება საჭიროა არა მარტო თავდაცვისათვის ომის დროს, არამედ უმთავრესად, ჩვენი ქვეყნის გარდაქმნისათვისაც.

საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო შენდება არა ცალკე ადამიანებისა ან ადამიანთა ჯგუფების მიერ, არამედ მშრომელი მასების სტიქიური მისწრაფებებით. რევოლიუციამდე ამ ძლიერ მისწრაფებას არ ჰქონდა მწყობრი და შეგნებული ხასიათი და ამიტომ ხშირად უნაყოფო იყო. ეხლა კი ხალხის მისწრაფებას ჩვენს ქვეყანაში აქვს მწყობრი და გეგმაშეწონილი ხასიათი და ამასთან იგი უფრო ძლიერიც არის ჩვენი მასების ღრმა შეგნების გამო.

ქიმიური ცოდნის გავრცელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავდაცვა-ავიაქიმს. ამიტომ საბჭოთა კავშირის ყოველი შეგნებული მოქალაქე უნდა ჩაეწეროს ამ საზოგადოებაში, რომელსაც „წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების" მსგავსად, ამჟამად შეიძლება ეწოდოს „ქიმიური უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოება".

მაგრამ არ კმარა იყო თავდაცვა-ავიაქიმის პასიურ წევრად. ყველამ, ვისაც შეგნებული აქვს ქიმიის სარგებლობა, სიტყვითა და საქმით ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციას, ხოლო იმათ, ვისაც არა აქვს ქიმიური ცოდნა, უნდა გაეცნონ ქიმიასა და ქიმიზაციას. ამ მიზნისათვის კი საჭიროა მოთავსდეს პრესაში წერილები ქიმიის სხვადასხვა საკითხებზე.

ინჟ. ა. ლემანი.

# ერთი კვირით ბაქოში

ვისარგებლე ექსკურსიით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 20-მდე მუშა-ქალი და კაცი, ამხ. მ. უთმელიძის თაოსნობით, და 7 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე გავუდექი ბაქოს გზას.

გადავურბინეთ ზაჰესით გაჩირაღდნებულ ქალაქს, სადგურ ნავთლუღს, გარდაბანს, რუსთავს, ყარაიაზს. შეძინება. მაგრამ სად დაიძინებ. მატარებელი გაჭედილია ხალხით. თვით ბარგის დასაწყობ თაროებზედაც კი სძინავთ მგზავრებს. თენდება. სადგურ ალსტაფას მივატანეთ. ერთმა მგზავრმა ზემო თარო დამითმო და მეც გავიჭიმე მკვდარივით.

ორი საათის ძილის შემდეგ ისევ წამოვყავი თავი. მივრბივართ აზერბეიჯანის თვალუწვდენელ მინდორ - ველებზე. ყანები ბევრ ადგილას უკვე მოუმკიათ და პურის ზვინები დგანან. ზოგან ლეწავენ კიდეც. მოსჩანან ტყეები აუარებელი ჩიჩარის ხეებით.

გათავდა ნაყოფიერი ადგილები. ბალ-ბოსტნები. ტყეები დაილია. ჩვენი მატარებელი ახლა მშრალ, ქვიშა-მარილიან უნაყოფო ნიადაგზე მიხრიგინებს. მაგრამ შრომის მოყვარე გლეხებს ეს უნაყოფო ნიადაგიც ბევრ ადგილას ნაყოფიერად გადაუქცევიათ და პური მოუყვანიათ. აქაც პურის ზვინებია მრავლად. გავცდით აჯიკაბულსაც. ბაქოს ვუახლოვდებით. სადგური ფუთა თითქმის მეორე საბუნჩად გადაქცეულა. აუარებელი ახალი ნავთის წყაროები აღმოჩენილა და აქაც გაცხარებული მუშაობაა.

აგერ ის დაბალი „ვიშკა" რომ არის, იქ შარდევანი სცემს, აგერ იქაც, იქაც. იმ გორაკის ძირზედაც, — მუხნება ჩვენი ვაგონის გამცილებელი.

სხვა ადგილებშიაც მრავლად არის ნავთის ჭები და მაზე დაყუნტული ფიცრის „ვიშკები".

მივატანეთ ბაქოს. საბუნჩო, სურახანი თვალწინ გვაქვს. თავისი ვიშკების სიმრავლით უცხო კაცს ტყე ეგონება.

საღამოს 8 საათზე მატარებელი სადგურ ბაქოზე გაჩერდა. უკვე დაღამებულია. ჩვენი ექსკურსანტები სადგურში რჩებიან და სამი ამხანაგი ამხ. უთმელიძესთან ერთად შუა ქალაქისაკენ შრომის სასახლეში მივეშურებით.

ჯერ 25 წლის წინად და უკანასკნელად 14-16 წლის წინად იქ ნამყოფმა ბაქო ვეღარ ვიცანი.

სადგურის წინ უშველებელი უდაბნო ცარიელი ადგილი რომ იყო, ახლა იქ სახლებია გაშენებული. მერე ფართო ქუჩაა დატოვებული და ქუჩის მეორე მხარიდან 28 აპრილის ქუჩამდე მშვენიერი ბაღია გაშენებული.

იქვე თავს იყრიან სხვადასხვა მარშრუტის ტრამვაები. ტრამვაი № 3, რომელიც სხვადასხვა ქუჩებით მიიმართება ბაილოვის კონცხისაკენ, უვლის ყოფილ გუბერნატორის ბაღს და კომუნისტურ ქუჩით მიდის ისევ ამ ალაგას; № 4 მიდის ჩორნიგოროდში, სადაც აუარებელი მუშა-მოსამსახურენი დაიარებიან; № 5 მიდის არმენიქენდში, სადაც წინად სულ ათიოდე სახლი იყო, ახლა კი იქ მთელი ქალაქია გაშენებული და დაგეგმილ ადგილზე ფართე მშვენიერი ქუჩებით კიდევ აუარებელი სახლები შენდება; № 8 მიდის ვაგზალს იქითა მხარეს, სადაც წინად ორი ქუჩა იყო რკინის გზასთან პარალელურად მიმავალი, შორს მალაკანთა ახალშენში, ხოლო დანარჩენი ადგილები კი უდაბნოს წარმოადგენდა, ახლა იქ მთელი ქალაქია გაშენებული და მალაკანთა ახალშენიც ამ ახლად გაშენებულ ქალაქის ნაწილს შთაუნთქავს. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებშიაც დადიან ტრამვაები №№ 1, 2, 6 და სხვ.

შრომის სასახლეში მოვიკითხეთ კულტგანყოფილების გამგე და ვთხოვეთ ექსკურსანტებისათვის ბინის შოვნაში დახმარება აღმოეჩინა. მაგრამ ის ამ დროს ნარდს თამაშობდა და ჩვენთვის ვერ მოიცალა. საექსკურსიო ბაზაში მისვლა კი არ გვირჩია, რადგან ის ამჟამად სავსეა თურმე ექსკურსანტებითო, ხოლო როდესაც ამხ. უთმელიძე დაელაპარაკა ტელეფონით ბაზაში, აღმოჩნდა, რომ საქ. მბეჭდავთა კავშირის მიერ თბილისიდან გაფრთხილებული იყვნენ და ჩვენ იქ გველოდნენ კიდეც.

შრომის სასახლიდან საჩქაროდ დავბრუნდით სადგურში და ჩვენი ამხანაგებით მივედით ბაზაში, იქვე ვაგზალთან ახლო, სურახანის ქუჩაზე. ბაზა მოთავსებულია მეოცე სკოლის მესამე სართულში. დიდრონ საკლასო ოთახებში საწოლებით, ლეიბ-ბალიშებით, — ქალებისთვის და კაცებისთვის ცალკ-ცალკე. დილა-საღამოს ყველა ექსკურსანტებისათვის მზადაა ჩაი. იქვეა წითელი კუთხე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებით. ვივახშმეთ, ჩაი დავლიეთ და მივაშურეთ საწოლებს.

„ახლა კი მოვისვენებ", — გავიფიქრე ჩემთვის და ჩავგორდი ლოგინში.

— ის თხელი ბადე რად არის აკრული ფანჯრებზე, — ვეკითხები ერთ სხვა ექსკურსანტს.

— რომ კოღოები არ შემოფრინდნენ, — იყო პასუხი.

„კარგია" — კვლავ გავიფიქრე და ძილს მივეცი თავი.

— ზზზ, — დაიზუზუნა რაღაცამ და შიგ ცხვირის ნესტოში დამეტაკა.

— ზზზ — დამეტაკა მეორე, მესამე, მეოთხე. „კოღოები" — გავიფიქრე და დაკბენილი ადგილები მოვიფხანე.

მაგრამ რომელი ერთი ადგილი ვიფხანო. ძაღლებივით მესევიან.

მთელი ღამე ვიბორგე ლოგინში, მთელი ღამე მჭინჩეს და სისხლი მისვეს ბაქოს კოღოებმა.

მეორე დღეს განგებ გვიან დავწექი, რომ მაგრად დამძინებოდა და კბენა არ მეგრძნო, მაგრამ რას არ იგრძნობ. ახლა უფრო მწვავედ დამიწყეს კბენა.

სხვა ექსკურსანტებიც იფხანენ დაკბენილ ადგილებს და თავებს იწყევლიან, რომ ბაქოში მოვიდნენ.

ვწევარ ლოგინში, ვიგლეჯავ სხეულს და მენატრება ჩემი ბინა თბილისში, ჩემი პატარა აივანი, წყნარი ქუჩა ზაჰესით გაჩახჩახებული, შორი-ახლო ტკბილად მოდუდუნე მტკვარი... ვწევარ აივანზე, ვსტკბები მისი დუდუნ-შრიალით, ძილშიაც კი მესმის ეს საიდუმლო დუდუნი, კოღოები არ მაწუხებენ, არ მკბენენ...

მეორე დღეს ჩვენი ექსკურსიის ინიციატორი ამხ. უთმელიძე გაეშურა პროფსაბჭოში „პუტიოვკების" მისაღებად და აქედან დაიწყო ჩვენ მიერ ბაქოს მიმოხილვა.

აქ ჩვენ გავიცანით ერთი ჩვენი ექსკურსანტის ნათესავი კაცი, მინას მულულიანცი, რომელიც ყველგან თან დაგვდევდა დაუზარებლივ და გზას გვიჩვენებდა.

10 ივლისს გავემართეთ სურახანისკენ „აზნევთის" ნავთის ჭების სანახავად. სამრეწველოს გამგის თანაშემწემ ამხ. ენიკეევმა დაგვატარა და გვიჩვენა ნავთის ჭის ბურღვა, ნავთის ამოღება საქაჩავით და შადრევანი.

დავათვალიერეთ ლენინის სახელობის საქსოვი ფაბრიკა (ყოფილი ტაგიევის), სადაც მუშაობს 3.000 ქალი და კაცი. ფაბრიკაში დადგმულია ახალი მანქანები და ის ფართოვდება. მუშა-მოსამსახურეთ იქვე აქვთ ბინები განათება-გათბობით, ხოლო იმ მუშას, რომელიც ქალაქში სცხოვრობს, ეძლევა დამატებით 4 მანეთი.

ფაბრიკა იმყოფება ბელიგოროდში, ზღვის პირად. უბრალო მუშის ხელფასია თვიურად 60-70 მანეთი.

ახსნა-განმარტებას გვაძლევდა მუშა ახუნდოვი, მაგრამ მანქანების მოძრაობის გამო ისეთი ხმაურობა იდგა, რომ არა თუ გავიგეთ რამე, არამედ კინაღამ დავყრუვდით ყველანი.

საქსოვ ფაბრიკიდან გადმოვედით ჩორნიგოროდში „აზნევთის" მესამე ჯგუფის ნავთის საწმენდი ქარხნის დასათვალიერებლად. აქ ჩვენ დაგვხვდა სტუდენტი-პრაქტიკანტი ამხ. მირზაიანი. რომელმაც დაგვატარა მთელი ქარხანა და გვაჩვენა, თუ როგორ მუშავდება ნავთი, ბენზინი, ზეთი და სხვა.

13 ივლისს დავათვალიერეთ აზ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ყოფ. მილიონერ ტაგიევის სასახლეში. მუზეუმში ცოტ-ცოტა ყველაფერია მოთავსებული (ზოოლოგიიდან, ანტროპოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან და სხვ.). ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ამხ. აბდულა ჯაფაროვი.

სულ ბოლოს დავათვალიერეთ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი ამხ. ოთაბეკოვას ახსნა-განმარტებით. თავშესაფარი მოწყობილია ქალთა განყოფილების მიერ და მისივე გამგეობაშია. აქ არის სამოცამდე ბავშვი. თავშესაფარში მოწყობილია სხვადასხვა სახელოსნოები, სკოლა, ამბულატორია, აბანო, სასადილო და საავადმყოფო 7 საწოლით.

ბავშვებს ეძლევათ სადილი ორი თავი საჭმელისაგან ჩვეულებრივ დღეებში, ხოლო უქმეებში — 3 თავი საჭმელი.

აქ ისინი მუშაობენ დღეში 4საათს. სწავლობენ ხელობას და წერა-კითხვასაც. ეძლევათ ჯამაგირი, 17 მანეთის გამორიცხვით, რომელიც ხმარდება მათ კვებას და ჩაცმა-დახურვას.

შეკითხვაზე — კმაყოფილი არიან თუ არა თავშესაფარით, ერთმა ბავშმა გვიპასუხა:

— მეტი რა მინდა, წერა-კითხვა მასწავლეს, ხელობასაც ვსწავლობ, ბინით და სასმელ-საჭმელითაც უზრუნველი ვარ.

დათვალიერების შემდეგ მადლობა გადავუხადეთ ამხ. ოთაბეკოვას და შინისაკენ გავეშურეთ.

ჩვენზე ბაქომ მშენებლობის მხრივ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

შენდება ბაქო. შენდება გიგანტური ნაბიჯით, საოცარი სისწრაფით.

შენდება სახლები შიგ ქალაქში, გარეთ და ნავთის სამრეწველო უბნებში.

ბიბიეიბათში, იქ, სადაც წინად ზღვა იყო, ზღვა ამოუშრიათ მიწის დაყრით და აუარებელი ნავთის ჭებია ნაზღვავზე.

იქ, სადაც მინდორი იყო წინად, ახლა მთელი ქალაქია გაშენებული. მაგალითად მოვიყვან არმენიქენდს. ეს ნაწილი ქალაქისა წინად დაშორებული იყო ქალაქიდან და იქ სულ რამდენიმე სახლი იყო, ახლა კი მთელი ქალაქია დიდი ფართე ქუჩებით და ტრამვაით, რომელიც მიდის ვაგზლიდან, ორ წუთში ერთხელ.

ტრამვაის მოძრაობის მხრით ბაქო გაცილებით სჯობია თბილისს.

უწინ რომ ცარიელი ადგილები იყო ქალაქში, ახლა იქ ყველგან ბაღებია გაშენებული და ხალხი ისვენებს.

ბაქო-საბუნჩო-სურახანის გზაზე, სადაც წინად მუშაობდა მატარებელი და საათში ერთხელ გადიოდა ბაქოდან, ახლა მუშაობს ელექტრონის რკინის გზა და გადის ნახევარ საათში ერთი მატარებელი. მას აქვს ცალკე სადგური, თათრულ სტილზე ახლად აშენებული დიდი და მშვენიერი შენობა.

კვირა დღე დაღამდა. ხვალ თბილისისაკენ მივდივართ. ჩვენს ღარიბ, მაგრამ ლამაზ, კოხტა თბილისისაკენ.

დღეს უკანასკნელად ვიძინებ ბაქოში.

შემჭამეთ, კოღოებო, შესვით ჩემი სისხლი, როგორც იქნება ამ ერთ ღამესაც გავატარებ, დღეს თქვენს ხელში ვარ, ხვალ კი ვეღარ მოგართმევთ.

გამიგეს კოღოებმა, რომ მივდივარ, ვშორდები და უფრო მწვავედ დამიწყეს კბენა.

ვბორგავ, ვიფხან, ლამის მთელი ტანი დავიგლიჯო.

ქუჩაში ვიღაც მიიმღერის. ალბად იმას კოღოები არ ჰკბენენ, არ აწუხებენ.

ნეტავი იმას!

მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე ბაქოს გამოვემშვიდობეთ.

— მშვიდობით კოღოებო.

„მორბის, მოგუგუნებს ჩვენი მატარებელი.

17 ივლისს მოვედით თბილისში.

— გამარჯობა, თბილისო!

ნიკო ასლამაზაშვილი.

# ქრონიკა

### აკადემიკოს ლევინსონ-ლესინგის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი, რომელიც მოწვეულია სამხრეთ-ოსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსაკვლევად.

სამხრეთ-ოსეთში აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი დარჩება ერთი კვირა, რის შემდეგაც გაემგზავრება სომხეთში სევანის ტბის გამოსაკვლევათ.

### ფაბქარხადგილკომების კონფერენცია

სამშაბათს, 31 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის ახალ დარბაზში, შესდგება კერძო საწარმოების ფაბქარხადგილკომების კონფერენცია.

კონფერენცია იმსჯელებს თბილისის კერძო საწარმოების მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე და გამოიმუშავებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებს.

### ტიფის ეპიდემიის საშიშროება

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, უკანასკნელ ხანებში თბილისში შემჩნეულია მუცლის ტიფით დაავადების გახშირება. მარტო ივნისის მეორე ნახევარში ავათ გამხდარა 30 მოქალაქე, ხოლო ივლისში ავათმყოფთა რიცხვმა კიდევ უფრო იმატა.

ჯანმრთელობის განყოფილებამ მუცლის ტიფის გაჩენის მიზეზების შესწავლა დაავალა ექ. ს. ქიქოძეს და ელ. ჩიჯავაძეს.

### 900 კილო ქინა-ქინა

ჯანმრთელობის კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ საქართველოს საჭიროებისათვის გამოგზავნილი 900 კილო ქინა-ქინა, რომელიც ერთ კვირაში იქნება მიღებული.

### გინეკოლოგიური რაზმი ხევსურეთში

ხევსურეთიდან მიღებული ცნობით, იქ უკვე ჩავიდა და მუშაობას შეუდგა ჯანმრთ. კომისარიატის გინეკოლოგიური რაზმი.

### ქლექის სამდღიური

ჯანმრთელობის კომისარიატის გადაწყვეტილებით ქლექის სამდღიური ჩატარებული იქნება 15 სექტემბრიდან.

### ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად

ამჟამად შავი ზღვის სანაპიროებზე მუშაობს ორი საგამომკვლევო ექსპედიცია რკინაქვიშისა და ბიტუმის მადნების გამოსაკვლევათ. ექსპედიციები მუშაობას დაამთავრებენ სექტემბერში.

### თბ. აღმასკომში

◆ **შეღავათები სათეატრო მუზეუმს.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სათეატრო მუზეუმს მიეცა სხვადასხვა კომუნალური შეღავათები და უფასო სინათლე საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

◆ **წითელი თეატრის შესაკეთებლათ.** წითელი თეატრის შესაკეთებელი ხარჯების დასაფარავათ აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი.

◆ **საექიმო რაზმის გაგზავნა.** თიანეთის რაიონში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გამოსაკვლევათ აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გაგზავნა საექიმო რაზმი.

### განათლების კომისარიატში

◆ **საყოველთაო სწავლის გეგმა.** დამთავრდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმის დამუშავება.

◆ **5 წლიანი გეგმები.** განათლების კომისარიატმა შეატყობინა ავტონომიურ რესპუბლიკებს, რომ სახალხო განათლების დარგში 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების დამუშავება უნდა დამთავრდეს პირველ აგვისტომდე.

—:—

### ხელოვნების ქრონიკა

### „ქართული მწერლობა“ № 6—7

გამოვიდა სრ. საქ. მწერალთა ფედერაციის ჟურნალი „ქართული მწერლობა“ № 6—7. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **სიმონ ხუნდაძე**—თანამგზავრობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში; **მხატვრული ლიტერატურა: ვ. გაფრინდაშვილი**—პური და სიტყვა. **ნ. ლორთქიფანიძე**—შელოცვა რადიოთი, **ს. შანშიაშვილი**—გავლილი შარა, **გრ. რობაქიძე**—ფალესტრა, **დ. მეგრელი**—ქუთაისის ხანძრის გამო, **ვ. რუხაძე**—სამიკიტნოს ნანგრევებზე, **ი. ვაკელი**—ჩამოთხოვნების სამძიმარი, **ს. ჩიქოვანი**—ბედი-რესპუბლიკა, **დ. შენგელაია**—ბათა ქექია, **ნ. ზომლეთელი**—გული, **გრ. ცეცხლაძე**—ოთხი მაუზერი, **ივ. ყიფიანი**—ავადმყოფის სიზმარი, **ბ. მელიქიშვილი**—სალთუხი. **წერილები: ს. დანელია**—ჩერნიშევსკის ესთეტიკა, **ზეს. ულენტი**—ახალი დრამატურგიისათვის, **ს. ამაღლობელი**—კრიტიკის ამოცანები, **ბ. გორდეზიანი**—როგორ კეთდება ახალი ხელოვნება, **ს—ნი**—დ. კაკაბაძის სურათების გამოფენის გამო, **კ. ბაქრაძე**—თანამედრ. ფილოს. ევროპაში, **რ. კალაძე**—მ. გორკი და ეგ. ნინოშვილი. **ვარია ალექსი-მესხიშვილი**—ლადო ალექსი-მესხიშვილი. **ლ. ა—ნი**—სილოვან ხუნდაძის ბიოგრაფია. **პროფ. გ. ახვლედიანი**.—მოხსენება სილოვან ხუნდაძეზე, **გრ. რობაქიძე**—სილოვან ხუნდაძე.

ლიტერატურული დოკუმენტები: **პავლე ინგოროყვა**—გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, **ბიბლიოგრაფია: გ. გ.**—ლეო ქიაჩელი, **ლ. ასათიანი**—ლ. არდაზიანი, **ნ. ი.**—სარეპერტუარო ბიულეტენი.

—:—

◆ **შემოქმედების კლასის გახსნა კონსერვატორიაში.** მომავალი სამოსწავლო წლიდან სახელმწიფო კონსერვატორიაში თეორიის ფაკულტეტთან იხსნება შემოქმედების კლასი, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია ლენინგრადელი პროფესორი მ. ბაგრინოვსკი.

◆ **დისპუტი მხატვრობაზე.** კვირას 29 ივლისს, საღამოს 8 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია დისპუტი მხატვრობის საკითხებზე.

◆ **სამხატვრო გამოფენა მუშათა კლუბში.** 31 ივლისიდან სახალხო-სამხატვრო სტუდიის გამოფენა გადატანილი იქნება მუშათა ახალ კლუბში.

## ინჟენერ-არქიტექტორების და მხატვარ-არქიტექტორების მომზადება

26 ივლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელ ინჟ. ბ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების თათბირი უმაღლეს სასწავლებლებში საარქიტექტორო განათლების საქმის დაყენების შესახებ.

თათბირზე განხილულ იქნა სამხატვრო აკადემიისა და დოც. თულაშვილის მიერ წარმოდგენილი გეგმა საარქიტექტორო განათლების საქმის ორგანიზაციის შესახებ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე სპეციალურად ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილი კომისიის დასკვნები, რის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

საჭიროდ იქნას აღიარებული, რომ საარქიტექტორო განათლების სპეციალიზაცია განვითარდეს ორი მიმართულებით: ერთის მხრივ მომზადებული უნდა იქნენ არქიტექტორი - მხატვრები და მეორეს მხრივ არქიტექტორი - ინჟინერები.

სპეციალისტ ინჟენერ - არქიტექტორების მომზადების მიზნით თათბირს საჭიროდ მიაჩნია თბილისის პოლიტიკურ ინსტიტუტთან დატოვებულ იქნეს საინჟენერო - საარქიტექტურო განყოფილება, ხოლო მხატვარ - არქიტექტოლება, ხოლო მხატვარ - არქიტექტორო აკადემიასთან დარჩეს საარქიტექტორო კლასი.

## თათბირი აღმშენებლობის საკითხებზე

26 ივლისს ს. მ. უ. ს. ახალშენებათა სამმართველოსთან შესდგა თათბირი ახალ ფაბრიკა - ქარხნების აღმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად.

მთელ რიგ მოხსენებათა მოსმენის შემდეგ თათბირმა საჭიროდ აღიარა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ქუთაისის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკასთან კანალიზაციის მოსაწყობათ მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები და მიღებულ იქნეს აგრეთვე, ზომები, რომ ფაბრიკაში მოწყობილ იქნეს ხელოვნური ვენტილიაცია.

ოზურგეთის და ხონის აბრეშუმის სახვევი ქარხნების ასაგებ სამუშაოთა დამთავრებისა და მათი ამუშავების გამო თათბირმა საჭიროდ აღიარა ერთი კვირის განმავლობაში მოხდეს ქარხნების ოფიციალური გადაცემა აბრეშუმის ტრესტისათვის.

მოწამეთის კირის ქარხნისათვის საჭიროდაა ცნობილი 2 ელექტრო-ტრანსფორმატორის შეძენა.

## მუშა-მოსამსახურეთათვის ცნობების მიწოდების გასაადვილებლად

მშრომელი მასებისათვის შრომის საკითხების შესახებ ცნობების მიცემის გაადვილების მიზნით საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა, შრომის სახ. კომისარიატში და შრომის ორგანოებში შემოღებული იქნეს კოლეგიის წევრების და პასუხისმგებელ მუშაკების მორიგეობა ნორმალურ სამუშაო დროს გარეშე.

შრომის სახ. კომისარიატში მორიგეობა იწარმოებს შემდეგნაირათ: შრომის სახ. კომისარი მთხოვნელებს მიიღებს ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე. გარდა ამისა კოლეგიის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები (ნორმალურ სამუშაო დღის გარდა) იმორიგევებენ ორშაბათობით, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკეობით და კვირა-უქმე დღეებში.

მორიგეობა საქმის დღეებში ზაფხულობით იწარმოებს საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე, ზამთრობით 5 საათიდან 7 საათამდე, ხოლო კვირა-უქმე დღეებში (როგორც ზაფხულობით, აგრეთვე ზამთრობითაც) დილის 10 საათიდან 12 საათამდე.

მაზრებში, შრომის ინსპექტორის კამერებში მორიგეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ (საქმის დღეებში): ზაფხულობით — საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე და ზამთრობით — ნაშუადღევის 4 საათიდან 6 საათამდე.

კვირაობით მორიგეობა იწარმოებს (ორჯერ კვირაში) — დილის 9 საათიდან 12 საათამდე.

ავტონომიურ რესპუბლიკების შრომის ორგანოებში მორიგეობა შემოღებული იქნება ადგილობრივი პირობების მიხედვით.

სამუშაო დროს გარეშე მორიგეობა შემოღებული იქნება შრომის ბირჟაშიც.

## „სოფლის კავშირში“

### „საქართველოს ღვინო“-ს ქსელი

„სოფლის კავშირის“ გამგეობამ დადგინა „საქართველოს ღვინო“-ს დაუკავშიროს ის ამხანაგობები, რომლებიც უმთავრესათ ეწევიან მევენახეობა-მეღვინეობას„ საქართველოს ღვინო“-ს ქსელი საბოლოოთ ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: სპეციალური ამხანაგობები—„იმერეთი“ და „უნიონი“; უნივერსალური სახის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობები—„კარდანახი“, „ბაკურციხე“, „გურჯაანი“, „ალისციხე“; „შაშიანი“, „შილდა“, „ყვარლის კახეთი“, „სვირი“, „ბაღდათი“, „ჭრებალო“ და „დასავლეთი საქართველო“.

„საქართველოს ღვინო“-ს ქსელში საორგანიზაციო მუშაობის საწარმოებლათ გამოყოფილია ერთი ინსტრუქტორი. „საქართველოს ღვინო“-ს ქსელი „სოფლის კავშირში“ შევა „საქართველოს ღვინო“-ს საშუალებით.

### ბუხჰალტერ-მოანგარიშეთა თათბირი

8 აგვისტოს „სოფლის კავშირში“ შესდგება უნივერსალური სახის სას.-სამ საკრედიტო ამხანაგობების ბუხჰალტერ-მოანგარიშეთა თათბირი, რომელზედაც ანგარიშ-წარმოების ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნება ანგარიშ-წარმოების ახალი ფორმები.

### ბაკურციხის მექანიკური წისქვილი

„სოფლის კავშირმა“ გამოიკვლია ბაკურციხის მექანიკური წისქვილის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ წისქვილი ამ რაიონისათვის მეტად საჭიროა და მიზანშეწონილი იქნება მისი ამუშავება. წისქვილის შესაკეთებლათ და ასამუშავებლათ საჭიროა 5 000 მანეთი. „სოფლის კავშირი“ შეუდგა ამ საქმის მოგვარებას.

### მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები

მიმდინარე წლის აგვისტოში „სოფლის კავშირი“ აწყობს სას.-სამ. კოოპერაციის ქსელში მომუშავე მოანგარიშეთა გადასამზადებელ კურსებს. კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ანგარიშწარმოების ახალ ფორმებს და ნომენკლატურას. კურსებზე მეცადინეობა გასტანს ორ კვირას.

# სასამართლო

### „სინდის-ნამუსის“ კაცი

ამას წინად თბილისში სამუშაოს საძებრად ჩამოვიდა ახალგაზდა ქალი თამარ პ—ი. დიდ გაჭირვებას განიცდიდა ქალი უბინაობის გამო; ჩავარდა იგი საგონებელში.

ერთ მშვენიერ დღეს ქალმა გაიცნო ვინმე მიხეილ ნიკოლოზისძე ჭანტურიძე, რომელმაც თავი დიდ „სინდის-ნამუსის“ კაცად მოაჩვენა და გაცნობისთანავე წინადადება მისცა ქალს გაყოლოდა ცოლად. გულუბრყვილო ქალი წამოეგო ანკესზე და გაჰყვა მას ცოლად.

მესამე ღამეა, უკვე ღამის 2 ნახ. საათი გახდა. თამარს სძინავს. ბნელა...

ქალს ძილში მოესმა ფრთხილი ფეხის ხმა გრძნობს, რომ მის ოთახში ვიღაც შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ მკლავში ჩასჭიდა ხელი...

ნახევრად მძინარე ქალმა იფიქრა, რომ ქმარი არისო და მოემზადა ძილის გასაგრძელებლად.

ის კაცი გახლავთ ჭანტურიძეს მუშტარი—ვიღაც მეყასბე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ქალთან მამაკაცების „რიგი“ გაჩნდა.

ქალი მიხვდა რაშიც იყო საქმე და მორთო კივილი.

ჭანტურიძემ გაზეთის ქაღალდით ამოუვსო მას პირი.

დიდი ბრძოლის შემდეგ მუშტრებმა დაიკმაყოფილეს ჟინი.

მეორე დღეს ატირებული ქალი გაიქცა კომისარიატში და მილიციის უფროსს უამბო რაც თავს გადახდა.

დაიწყო საქმის გამოძიება.

გამოირკვა, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია ჭანტურიძის ცხოვრებაში. დიდი ხანია, რაც ის ეწეოდა მაჭანკლობას, რომელიც „საშემოსავლო წყაროთ“ გახადა.

მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით აშკარა გახდა, რომ მისი სახლი გარყვნილების ბუდეთ ყოფილა გადაქცეული.

დადასტურებულია. რომ ჭანტურიძეს ქალეგზე დაწესებული ჰქონდა „პროცენტული ანარიცხი“. იღებდა 40 და მეტ პროც.

ჭანტურიძე გასამრთლებული იქნება თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ.

—

### „კოოპერატორი“—გამფლანგველი

ალექსანდრე გრიგოლისძე ბერიაშვილი ირიცხებოდა კოოპერატივ „პატარა რუს“ გამგეობის წევრათ. სულ მცირე დროის განმავლობაში მან „მოასწრო“ 443 მანეთის გაფლანგვა.

სასამართლომ ბერიაშვილს მიუსაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

მსჯავრადდებულმა უნდა დაფაროს სასამართლოს ხარჯები და დააკმაყოფილოს კოოპერატივის გამგეობის სარჩელი 443 მანეთის რაოდენობით.

### ექიმბაში

— ექიმი სახლში ბრძანდება?—კითხულობს ამ. ყაზაროვი.

— რაშია საქმე, ვისთვის გინდა,—გამოდის თვით „ექიმი“ გარეგინ როსტომისძე პოლოსოვი.

— 5 წლის ბავშვი მყავს ავად. უგრძნობო მდგომარეობაშია. გადამირჩინე სიკვდილს და მუდამ თქვენი პატივისმცემელი ვიქნები.

— მაშ კარგი, მოვალ, მხოლოდ ხომ იცი ჩემი წამლები ძვირი ღირს. ცოტა ფული მოიმარაგე.

— მაგ მხრივ დარდი ნუ გაქვს, ბატონო მხოლოდ მიშველე რამე.

დაიმედებული ყაზაროვი ბრუნდება სახლში.

ცოტა ხნის შემდეგ პოლოსოვი მიდის ყაზაროვის ოჯახში „დიაგნოზის“ დასასმელად.

— ცუდათ არის საქმე. შენს ბავშვს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა. ჯერ-ჯერობით საჭიროა 80 მანეთი,—ღაღადებს „ექიმბა“.

ფულის დანახვაზე პოლოსოვს გაუბრწყინდა სახე. თვალის დახამხამებაში ფული ჯიბეში გადაუშვა.

ამოიღო ჩანთიდან წითელი საღებავი შეფერიანებული ბინძური ბალახის ძირები და მათი წვენი დაალევინა ბავშვს.

ბავშვის მშობლებს შეჰპირდა, რომ მეორე დღეს ინახულებდა ავადმყოფს, მაგრამ მეორე დღეს ახლოსაც არ გაჰკარებია.

ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა. საექიმო შემოწმებით დადასტურდა, რომ ავადმყოფობის გართულება გამოიწვია პოლოსოვის „წამალმა“.

ასეთი მაგალითები ერთი და ორი არ არის პოლოსოვის „პრაქტიკაში“ მას ბევრი მოქალაქე დაუტყუილებია და ზოგიერთებისათვისაც სიცოცხლეც კი მოუსპია.

ბრალდების მოწმეები ლაპარაკობენ, რომ პოლოსოვი აგიტაციას ეწეოდა უვიც ხალხში: „ექიმებმა არაფერი იციან; ავადმყოფობისაგან განკურნება თუ გნებავთ, მხოლოდ მე მომმართეთო“.

მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სახლის წინ გამოაკრა წარწერა დიდი ასოებით „ექიმი გ. რ. პოლოსოვი მკურნალობს მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით“.

ბოლოს ეს ამბავი მივიდა სისხლის სამართლის მილიციის ყურამდე.

წინასწარი გამოძიებით დადასტურდა, რომ პოლოსოვი ექიმბაშობას ეწეოდა ანგარების მიზნით.

ს. ს. მილიციამ საჭიროთ სცნო თვით პოლოსოვის „მკურნალობა“ და გაგზავნა სპეცდანიშნულების იზოლიატორში.

ამ დღეებში პოლოსოვი წარსდგება სასამართლოს წინაშე.

თ.

## საკავშირო სპარტაკიადის წინ

### როდის ჩამოვლენ უცხოელი სპორტსმენები

ფრანგი, გერმანელი, ნორვეგიელი და შვედელი ფიზკულტუროსნები საკავშირო სპარტაკიადაზე გამოემგზავრებიან შტეტინიდან: პირველი პარტია 7 აგვისტოს, ხოლო მეორე პარტია 8 აგვისტოს. ლენინგრადიდან მოსკოვამდე უცხოელ სპორტსმენებისათვის გამოყოფილია სპეციალური მატარებელი.

### საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდი მიწვეულია შვეციაში

სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა შვეციის მუშათა სასპორტო კავშირისაგან მიიღო წინადადება გაგზავნოს შვეციაში საბჭოთა ფეხბურთელების გუნდი. შეჯიბრებების ჩატარების შემდეგ ეს გუნდი დაბრუნდება მოსკოვში შვეციის ფეხბურთელთა გუნდთან ერთად.

### საბჭოთა ფეხბურთელები მიემგზავრებიან ავსტრიაში

სპარტაკიადის კომიტეტმა მიიღო ცნობები რომ ავსტრიის მუშა-ფეხბურთელების ნაკრებ გუნდმა დაამარცხა გერმანიის მუშათა სასპორტო-გიმნასტურ კავშირის ნაკრები გუნდი 5:2. ამ გამარჯვებით ავსტრიელებმა საბოლოოდ პირველი ადგილი დაიჭირეს ფეხბურთში ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის რიგებში.

ვინაიდან ამჟამად საბჭოთა კავშირში მყოფმა ქვემო ავსტრიის მუშა ფეხბურთელების ნაკრებ გუნდმა სთხოვა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს გაგზავნოს სექტემბერში ავსტრიაში საბჭოთა ფეხბურთელების გუნდი, მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ჩვენს ფეხბურთელებს საშუალება ექნებათ შეხვდენ ავსტრიის გამარჯვებულ გუნდს. აქამდე ავსტრიის და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი მატჩი მოიგეს ავსტრიელებმა, მეორე საბჭოთა ფეხბურთელებმა. პირველობის საკითხს ამ ორ გუნდს შორის გადასწყვეტს მომავალი შეხვედრა.

# შემთხვევები

### დაჭრა სამიკიტნოში

მოქ. ჩოფურაშვილის დუქანში (კოჯრის გზაზე) ქეიფობის დროს ვიღაც უცნობმა პირმა დანით მძიმედ დასჭრა არჩილ ანჯაფარიძე (მცხ. კალინინის ქ. № 37).

ანჯაფარიძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

### თავის დაჭრა

გუშული ანტონის ძე ვართანოვმა (მცხ. პასკევიჩის ქ. № 50) თვითმკვლელობის მიზნით ჯიბის დანით დაიჭრა თავი. ვართანოვი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

### უცაბედათ, თუ წინასწარი განზრახვით

გუშინწინ, თოფიდან გამოსროლილ ტყვიით ვიღაც ბოროტმოქმედმა დასჭრა ზენა არშაკის ძე კარაპეტიანცი (მცხ. კვიკვიძის ქ. № 48), როცა უკანასკნელი საღამოს 8 საათზე ბრუნდებოდა სახლში. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

### კატასტროფა

გუშინ, დღისით, დუშეთიდან მცხეთის მიმართულებით ფურგონით მოდიოდნენ ეკსკურსანტები: ფილიპე შევჩენკო, ვარია ალტუნიანცოვა, ანა სიმაპინენკო, იაკობ ალტუნოვი, ბიკტორ ნიკონი და ვალენტინა დობროვსკაია.

ამავე გზაზე მოდიოდა ავტომანქანა. ავტომობილის მოახლოებისას დაფრთხენ ფურგონში შებმული ცხენები, რის გამო ფურგონი დაეჯახა რკინის ბოძს. დაჯახების დროს ფურგონი გადაბრუნდა და ყველა მგზავრები ქვეშ მოიყოლია.

იაკობ ალტუნოვი და ბიკტორ ნიკონი მძიმედ დაშავდნენ, დანარჩენები მსუბუქად.

დაშავებულნი საექიმო დახმარების აღმოჩენის შემდეგ მოათავსეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

### გამოტყუება

მილიციამ დააპატიმრა მათე ისტატენძე პუზანოვი და გრიგოლ კიმოთეს ძე კარპოვი, რომლებმაც მოქ. რევიშვილს აფერისტული გზით გამოსტყუეს ოქროს საათი.

### ქურდობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სტეფანე ივანეს ძე ჩინჩალაძე, ნავრუზ ბაირამ-ოღლი და მამედ ასან-ოღლი, რომლებიც სისტემატიურად იპარავდენ ოთხფეხ საქონელს.

კედლის გამოჩგრევის საშუალებით გაქურდეს გრ. დონაძის ფეხსაცმლების სახელოსნო (მოსკოვის ქ. № 3), წაიღეს 175 მანეთის საქონელი.—მოჩვენებული გასაღების საშუალებით გაქურდეს აშოთ ანანოვის სახელოსნო (კრუზენშტერნის ქ. № 6), მოპარულია 100 მანეთის საქონელი.—გაქურდეს იან-სინ ლანის ბინა (ბეჟუთოვის ქ. № 4), წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—ალექსანდრე მოქაძეს ვიღაც უცნობმა პირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 70 მანეთი და მიიმალა.

—:—

◆ **მხეცური მკვლელობა.** 20 ივლისს სოფ. კურუჯაანში გიორგი ვასილის ძე მორხელაშვილმა მოკლა თავისი ცოლი ელენე ბეზარაშვილის ასული და თავის 11 თვის ბავშვს ხანჯლით გამოსჭრა ყელი. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. გამოძიებას აწარმოებს სამაზრო გამომძიებელი უშვერიძე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ვაგონების გასარეცხი მანქანა

საფრანგეთში, პარიზის ახლო, მოაწყვეს და აამუშავეს სპეციალური მანქანა, რომელიც დანიშნულია სპეციალურად რკინის გზის ვაგონების გასარეცხად.

მანქანა წარმოადგენს ფარდულს. ფარდულის კედლები კი წარმოადგენენ ვერტიკალურ ღერძებზე მბრუნავ ჩოთქებს. სამგზავრო ვაგონი ფარდულში გადის 5 კილომეტრის სისწრაფით საათში და იწმინდება წყლის ნაკადითა და ჩოთქების ხახუნით.

თითეული ჩოთქი ამავე დროს წარმოადგენს ღერძს. რომელზედაც მიმაგრებულია რეზინის ლვედები. ღერძის ბრუნვის დროს ლვედები ჰორიზონტალურ მდგომარეობას იღებს და ერტყმება ვაგონის კედლებს და სწმენს მტვერსა და ტალახს.

### მცენარეების „გაზიფიკაცია“

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ნაკელი, რომლითაც მიწას ანოყიერებენ, გარდა კალიუმის, ფოსფორის სიმჟავის და აზოტის მარილებისა, ქმნის კიდევ ერთ ქიმიურ ნივთიერებას, რომელსაც მცენარეთა კვებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩამოთვლილ ნივთიერებებს.

საქმე იმაშია, რომ ნაკელის დაშლის დროს იქმნება დიდი რაოდენობა ნახშირმჟავასი, რომელსაც მცენარეთა ფესვები კი არ ითვისებენ, არამედ ნთქამენ მცენარეთა ის მწვანე ნაწილები, რომლებიც ღია ჰაერზეა.

დიდხანს სჯეროდათ, რომ მცენარეთა აღმოცენებისათვის ჰაერში ნახშირმჟავას საკმაო რაოდენობა მოიპოება. მაგრამ, როგორც დამტკიცდა, ეს აზრი შემცდარი იყო. შეიძლება მცენარეთა აღმოცენების კიდევ უფრო გაძლიერება, თუ მიწა განოყიერებული იქნება ნახშირის მჟავათი, მსგავსათ კალიუმისა, ფოსფორისა და აზოტისა.

თუმცა ფრაზა „გაზით განოყიერება“—უცნაურათ გვეჩვენება, მაგრამ ამ მიმართულებით უკვე დიდი შედეგებია მიღწეული.

მაგალითად გამოსცადეს ღუმელებიდან მიღებული გაზები, რომლებიც ნახშირის მჟავას 10—15 პროცენტს შეიცავს და ხორბლის მოსავალი ერთი ორათ გაიზარდა.

„განოყიერების“ მიზნით ნახშირმჟავას აქცევენ მაგარ სხეულათ. ამისათვის ნახშირბადი სხვადასხვა ნივთიერებათა შერევით და გადამუშავებით ისეთ მდგომარეობაში გადაჰყავთ, რომ მისგან ამზადებენ ნახშირის ფირფიტებს, რომლებსაც მცენარეებზე ჰკიდებენ და აწებებენ

მცენარის ასეთ „გაზიფიკაციას“ ახდენენ დღისით, როცა მცენარის მწვანე ნაწილები ნახშირმჟავას სინათლეზე ამუშავებენ. ნახშირმჟავას ზეგავლენით, მცენარეები სწრაფად გაიზარდა. ნახშირმჟავას განოყიერების შემდეგ კიტრმა ერთი თვით ადრე გამოიბა ნაყოფი, ვიდრე ჩვეულებრივ.

—:—

### უდიდესი გემი

ბელფასტში (ირლანდია) ამჟამად შენდება მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო გემი—„ოლიმპია“, რომლის წყალწყვა უდრის 60.000 ტონას. გემის სიგრძე—300 მეტრამდეა, განი—30 მეტრამდე. „ოლიმპიკ“-ის წყალწყვა 3.000 ტონით სჭარბობს ახლანდელი უდიდესი გემის „მაჟესტიკ“-ის წყალწყვას. ახალი გემის აგება ჯდება 70.000 მანეთი. „ოლიმპიკ“-ს წყალში ჩაუშვებენ 1931 წ.

## მასიური აცრის დაწყება

31 ივლისისათვის თბ. ჯანმრთელობის განყოფილება იწვევს სანიტარულ ექიმებისა და ბაქტერიოლოგების საქალაქო თათბირს, რომელზედაც გარჩეული იქნება თბილისში დიფტერიტისა და ქუნთრუშის წინააღმდეგ მასიური აცრის ჩატარების საკითხი.

სკოლებში და საბავშვო სახლებში მასიური აცრის ჩატარება განზრახულია პირველი სექტემბრიდან.

## რადიო-გადაცემა

### შაბათი, 28 ივლისი

დღეს, 28 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გლეხთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე.

საბჭოების მასიური მუშაობისა და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ—მოხსენება ქართულ ენაზე.

საუბარი მეზღვართა საერთაშორისო კავშირზე—რუსულ ენაზე.

მოხსენება პარტიის მეორე ყრილობის შესახებ—სომხურ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები - ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

კვირეული ცხრილის გადაცემა.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებებს შუა-მუსიკალური ნომრები.

## შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 28 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

**კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან:** ვასილ ვარძიელაშვილს; ევა ოგანეზოვას, ალექსანდრე მინაევს; მატრონე ბიბილაშვილს კირილოვა—ესაკიას, ევგენი გალდიშევს და ვართან გრიგორიანს. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ერასტი ჭავჭანიძეს, დავით სვანიძეს, ჟოზეფინა დოლფანის, ელენე ემირჩკოვას, ლიუდმილა ხარბინიას, ელენე მიქელაძე—ჩხეიძისას, ბარბალე სულავას; ისინა კასპერსკაიას; ანასტასია პროლიცევას; ლიდია იანხუშეტევას; გრიგოლ ბაბახანოვს, გრიგოლ ჯიახჩუნცევს, გიორგი ჯოშკარიანს; შაქრო გრიგორიევს, სოლომონ ალხაზაშვილს, ლეონ მატინოვს; ალექსანდრე დობორჯგინიძეს; სურენ სუქიასოვას; მარიამ მაისურიანს. ანტონინა ლუპოვას; სიმონ ვახვახიშვილს, ვალენტინ ვაკარჩუკს; ბარბალე ბუცხრიკიძეს; სოლომონ რიფოლის, ეკატერინე პატარიძეს, ნინა მელიქაივაზოვას და ანასტასია ვერდემეტს. **შავ მუშათა სექციიდან:** მოსე ბაღათურიას, ალექსი ბეჟანოვს, შაქრო ბესიაშვილს, ივანე პაჭკორიას; დიმიტრი გოგნიაშვილს; ივანე ხრახულის; ანატოლი კარტავას; ერვანდ სარქისიანს; ალექსანდრე დარახველიძეს; ალექსი იოლაშვილს, იოსებ შარბანაშვილს, იაკობ ჩილინგაროვს; ივანე ჩიტოშვილს; კალისტრატე სირაძეს, ერასტი ძამამის; გუსეინ კულიევს; ნიკო ლორთქიფანიძეს, ალექსი ოტიაშვილს. კონსტანტინე უზმახოვს; ხალატონ ცოლავას, კონსხეილ ქაჯაიას; ნიკოლოზ ბარნოვს; ანნა სულაძეს, **მედსექციიდან:** ქეთო კუკულაშვილს ლიუდმილა მატინოვას და ერვან ბერეზიანს. **რკინის გზელთა სექციიდან:** ირა ჩხელაშვილს, ნინო ბახტაძეს და მიხეილ კოზმანაშვილს.

## პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ამ. შალვა ურუშაძეს და ელისაბედ გარგალაჯევს გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკელიასთან.

—

**სახ. უნ. არსებულ ამხ. მიხა კახიანის სახ. ქართული მუშფაკის კომ. პარტ. კოლექტივთა** ბიურო იტყობინება, რომ დღეს 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე მუშფაკთან არსებულ კომუჯრედის კრება. დასწრება წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

### ვინ არის წინაალმდეგი?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-7-ე ასეულის კომუჯრედში ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ:

ალექსანდრე პეტრეს ძე გულორდავას, ალექსანდრე სოკრატის ძე ბულიას, ესე კონსტანტინეს ძე კალანდაძეს, ვარლამ პავლეს ძე გელაშვილს, ვლადიმერ ალექსის ძე შონიას და ზაქარია ანდრიას ძე კობალიას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, ორი კვირის ვადაში უნდა შეატყობინონ ზემო აღნიშნულ კომუჯრედს.

უღრმეს მწუხარებაში მყოფი მშობლები ვარვარა და იონა, ძმები შალვა და გუგული, ბებია ელისაბედი და ბიძა ლევანი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხ ნგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მე-4-ხე კურსის მოსწავლე

**გაგო იონას-ძე ოჩიგავა**

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, სამოქალაქო პანაშვიდი დღეს—6 საათზე; კოოპერაციის ქ. № 12 3146

ღრმად დამწუხრებულნი დ და სოფიო და და ნინო ფარჩუკაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 29 ივლისს დღის 12 საათზე

**ვანიჩკა (ვანუშა) ფარჩუკაშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 3138

ულრმესად დაღონებულნი: მამა ერმალო, დედა ელენე, ბიძები: სილოვან, ალექსანდრე, იუსტინე, ბიცოლა ანნა, სონია, და-ძმანი: ავთანდილი, თინა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

**რეზო (რეზიკო) ჩორგოლაშვილი**

გამოსვენება კრწანისიდან შაბათს, 2 საათზე, დაკრძალვა რკინის გზის გადაღმა ავლაბრის სასაფლაოზე 3139

დამწუხრებულ ხი შვილები: ვანო, მაშო, აგრაფინა, პატკულია და ევგენია ბერიძეები, რძალი ელენა შვილებით, სიძე ეს კი გურგენიძე შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დედის

**მაკრინე მინდაძის ასულის ბერიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა—კვირას, 29 ივლისს, ერკეთში (გურია) (დეპ)

ორშაბათი, 30 ივლისიდან

2 ახალი სურათი

**საყვარელი მაწანწალა**
ნ. კოლინის მონაწილეობით

**ჭირვეული დედაკაცი**
მთავარ როლებში:
რუფ კლიფორდი,
გასტონ გლას
და სხვ.

ნ. 1434

სახკინმრეწვის კინოები

| | | |
|---|---|---|
| **განთიადი** | დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან | **„მეორე ცოლი“** |
| საზაფხულო **ეთერი** | ხატვრული სურათი | **„გარდატეხილი ზამბახი“** დ. გრიფიტის დადგმა |
| საზაფხულო **დარბაზი** | ოსი ოსვალდ სურათში | **„ნინიშ“** |
| საზაფხულო **პალასი** | კინო-რომანი | **„რობინზონ კრუზო“** 1 და 2 სერია ერთად |
| **პროლეტარი** ავლაბარი | | **„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“** 1 და 2 სერია ერთად. |

მალე 2 ახალი სურათი „საყვარელი მაწანწალა“ და „ჭირვეული ცოლი“ 0 49

**მშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბი** პლეხანოვის პროსპ. 65
შაბათს, 28 ილისს,

**დიდი კონცერტი**

მონაწილეობენ: ლ. კავსაძე, მაყაშვ ლი, საბინინი, იძიკოვსკაია, გაგიჩვაძე, ოქროპირიძე, ჭუმბურ ძე, ცირღილაძე, ლასკარი, არხიშვილი.
როიალთან ძუპერმანი. კინო ახალი პროგრამა.
კონცერტი დაიწყება საღამოს 9 საათზე. ბაღში უკრავს სამხედრო ორკესტრი.
ნ 1435

**ქ. ჭრებალოში და მის რაიონში**
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
**ხელისმოწერა და განცხადებები**
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
ამხ. **კოტე ცხვედიანთან**
3—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

**საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საზაფხულო კლუბი**
დღეს, 28 ივლისს,

**სიმფონიური კონცერტი**

დირიჟორ **ნ. ზ. ხეიფეცის** ხელმძღვანელობით
ვიოლონზე დამკვრელ სოლისტ ე. კაკელნიცკის მონაწილეობით.
პროგრამაში: მიასკოვსკი, ლისტი, ბრუხი. ბაღში კინო. კონცერტის ბილეთით შეიძლება კინოშიც შესვლა.
შემოღებულია ძოწ ფეთა ბილეთები. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ხვალ 29 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის კლუბში. ნ. 1415

**ქალ. ქუთაისში**
გაზ. „კომუნისტ“-ზე **ხელისმოწერა**
ბინაზე მიტანით **მიიღება კონტრაგენტ**
**მინა ტყაბლაძესთან**
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
3—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ამა ივლისის 28-დან **იხსნება**
**საავტომობილო მიმოსვლა**
ქუთაისს აბასთუმან შორის,
ზეკარის უღელტეხილით.
„ზაკავტოპრომტორგი“-ს ქუთაისის განყოფილება, წერეთლის ქ. № 9 (სახელმწიფო ბანკის პირდაპირ). 3—2

**მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე**
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეცტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 6—1 2974

**მიხეილ გედევანიშვილის**
სახელობის
**სამკურნალო**
სხივებით
**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

**ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი ა. გიორგაძე**
ამით აცხადებს, რომ ის 30 ივლისს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 174 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვლ. მამულაშვილის მოძრავ ქონებას: რბილ ავეჯს, კედლის სარკეებს, საწერ მაგიდას, ჭურჭლეულობას და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 286 მანეთად, მოქ. გრიგოლ ბახტაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-5 სახელმწ. სანოტარო კანტორისაგან 11 ივლისს 1928 წ. თარიღით № 1637 გაცემულ აღსრულებითი წარწერისა. 3145

**ექიმი გ. მ. ფხალაძე**
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

**ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი კ. ოდიშარია**
აცხადებს, რომ ის 31 ივლისს 1928 წ. საათის 1 დღისა ბაქოს ქ. № 13 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კაზიმირ ჩებერეკი მოძრავ ქონებას ერთ ძროხას და ერთ ტანისამოსის შკაფს შეფასებულს 240 მან. დასაკმაყოფილებლად ალექსი შიშკინისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3141

**ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი კ. ოდიშარია**
აცხადებს, რომ ის 1 აგვისტოს 1928 წ. საათის 1 დღისა, ჟორესის ქ. № 24 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ავეტიკ ბოლდანოვის, არშაკ და სარქის მესროპოვის მოძრავ ქონებას 224 კილო თეთრ საკანდიტრო პურის ფქვილს, მარმარილოს ფიცარს, სასწორებს, ჟესტის ფურცლებს, ხილის კონსერვს, ტორტის ქაღალდს, მაგიდას და სხ. შეფასებულს 260 მან. დასაკმაყოფილებლად ალექსანდრე ხოჯაშვილისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3144

**სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებ. კიზირია**
აცხადებს, რომ 29 ივლისს დილის 10 საათზე სოფ. საჭილაოში, მარნის თემში, ბაქანის მახლობლად **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მარნის აგურ - კრამიტის ქარხანა თავისი ინვენტარით, შენობებით, მოტორი (ატლასის სისტემის), კრამიტის მოსაჭრელი მანქანა დაზგით, აგრეთვე კრამიტები 4000 ცალი, შეფასებული ერთად 2380 მან. დასაკმაყოფილებლად იმავე ქარხნის მუშების და სხ. ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3150

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ექიმი ს. ა. გალუსტიანი**
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის ძუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინას ქ № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

**ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი**
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ(ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

**კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. დ 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

**ექიმი გ. ო. ზანდუკელი**
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

**დაიკარგა:** ინვალიდობის მოწმობა მიხეილ ალექსანდრეს-ძე ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 3139

**დაიკარგა:** სამხედრო წიგნაკი № 755 ილია როდონაიას სახელზე, ჩ. გ. 3148

**დაიკარგა:** შორაპნის საგზაოსატრ. კოოპ. საწევრო წიგნაკი № 5700 ალექსანდრე კორგაძის სახელზე, ჩ. გ. 3147

**დაიკარგა:** ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მოწმობა № 347 ნესტორ ჯიმშელეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3147

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა № 66 ანტუშა ნებიერიძის სახელზე, ჩ. გ. 3142

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა № 3748 მიხეილ მიხეილის-ძე მამისთვალოვის სახელზე, ჩ. გ. 3143

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობები №№ 247, 248 ივანე აბხაზავას სახელზე, ჩ. გ. 3143

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა № 245 პლატონ - ქუთელიას სახელზე, ჩ. გ. 3143

**დაიკარგა:** მეტრიკული ამონაწერი შალიკო მელქისედეკის-ძე ლებანიძის სახელზე, ჩ. გ. 3140

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი კარაპეტ სეროფიანის სახელზე, ჩ. გ. 3137

**დაიკარგა:** მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 162 ილია ქოჩიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3142

**დაიკარგა:** ქ. ხონის 9 წლედის დამთავრების მოწმობა და ავიაქიმის წიგნაკი აპოლონ ალექსის-ძე დოჭვირის სახელზე, ჩ. გ. 3142

**დაიკარგა:** ქუთაისის მეშვიდე ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 15 ელისე საჩინოს-ძე ნოდიას სახელზე, ჩ. გ. 3142

**დაიკარგა:** მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 180361 არჩილ საგინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3149

**დაიკარგა:** მბეჭდავთა კავშირის საწევრო წიგნაკი, ტ მბეჭდავთა კავშირის ც. გ. წევრობის მოწმობა, სამხედრო ნუსხა ფორმა № 4 მუშკოოპის საწევრო წიგნაკი და უვადო პირადობის მოწმობა ვარლამ მიხეილის ძე ქარქაშაძის სახელზე, ჩ. გ.

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა გაცემული ქუთაისის მილიციიდან ვასასი კონსტანტინეს ასულის კიკნაძის სახელზე, ჩ. გ.

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა კამოს ქ № 68.